

"თქვენი აფხაზეთი" A8





კანონიერების კულტურა B2



ავტომობილი B3


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 2005 წელი. №265 (1165)

ფასი 50 თეთრი


## სტუმარი

### საქართველოს ორი ალტერნატივა



კარგია, რომ პატარა ქვეყანა ვართ - ძალიან ბევრი ფული არ გვჭირდება.

B1

## ამბები

### კომისია ბექაურის ქონებრივი დეკლარაციის აუდიტს მოითხოვს

სხდომაზე კომისიის წევრმა, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა სამშენებლო ფირმების მიერ კობა ბექაურთან და სხვა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზის ჩატარება მოითხოვა.

A2

## სპორტი

### რონალდინიო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია

ანდრეი შევჩენკო აღარ არის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. "ფრანს ფუტბოლის" ვერსიით კონტინენტის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ბრაზილიის ნაკრებისა და ესპანეთის "ბარსელონას" ფეხბურთელს რონალდინიოს გადაეცა.

A6


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 30/11 | 1 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 14 |
| ტყიბული | 16 | 18 |
| სოხუმი | 16 | 17 |
| გორი | 11 | 13 |
| ონი | 8 | 11 |
| ზუგდიდი | 17 | 19 |
| ახმეტა | 16 | 13 |
| სამტრედია | 17 | 20 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7900 |
| ევრო | 2.0919 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.0539 |
| რუბლი | 0.0620 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ტენდერი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| ამბები | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| კანონიერების კულტურა | B 2 |
| ავტომობილი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# გარანტია ნატო-სგან

### რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელს ვერ შეუშლის

მიხეილ ლანჩავა
*ბრიუსელიდან*

ბრიუსელში ჩაფრენისთანავე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნატო-ს გენერალურ მდივანს იააპ დე ჰოფ სხეფერს შეხვდა.

ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელი ხაზგასმულად კეთილგანწყობილი იყო საქართველოს დელეგაციის მიმართ, რომლის შემადგენლობაში, აგრეთვე, შედიოდა ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე.

სხეფერმა იმთავითვე განაცხადა, რომ საქართველო წარმატებით ართმევს თავს ნატო-სთან თანამშრომლობის ინდივიდუალურ პროგრამას. რა თქმა უნდა, მას არ უთქვამს, რომ ქვეყანამ უკვე ყველა პარამეტრის მიღწევა და ყველა ვალდებულების შესრულება შეძლო. მით უმეტეს, რომ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ამ ურთულესი პროგრამის შესრულებას

გაგრძელება A3 გვერდზე



*სხეფერი საქართველოს ნატო-ს ღია კარში იწვევს.*

# სამშვიდობო პროცესი არ უნდა იყოს გაყინული

ზაზა ფაჩუაშვილი

*როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში და რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება? აქვს თუ არა სამშვიდობო გზას ალტერნატივა და როგორ შეიძლება რუსეთის ფაქტორის განეიტრალება? – ამ კითხვებით მივმართეთ გამოცდილ დიპლომატს სალომე ზურაბიშვილს, რომელიც დღეს საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერია და აფხაზეთთან დაკავშირებითაც აქვს სამშვიდობო გეგმები.*

გაგრძელება A8 გვერდზე



სოფო ბაკიას ფოტო

*საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერი სალომე ზურაბიშვილი.*

# კანადა მთავრობის გარეშე დარჩა

### კანადის პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა

კანადის საკანონმდებლო ორგანოში გამართულ კენჭისყრაზე მთავრობის გადაყენებას 306 დეპუტატიდან 171-მა დაუჭირა მხარი. საგულისხმოა, რომ ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობას სამი ოპოზიციური პარტია შეადგენს და აღნიშნული პოლიტიკური გარდატეხა სწორედ მათი ინიციატივით განხორციელდა. ოპოზიციურ პარტიათა მიერ ხელისუფლების გადაყენების მთავარ მოტივად ლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობის კორუმპირებულობა დასახელდა. ოპოზიციონერთა თქმით, აღნიშნულ პარტიას, რომელსაც კანადის პრემიერ-მინისტრი პოლ მარტინი ხელმძღვანელობს, ქვეყნის მართვის მორალური უფლება არ აქვს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*მარტინის კაბინეტს პარლამენტი არ ენდობა, მთავრობა კი პარლამენტის დაშლას მოითხოვს.*

# პირველი საინვესტიციო ინტერნეტ-მეგზური საქართველოში

*ამიერიდან საქართველოთი დაინტერესებულ ნებისმიერ უცხოურ ინვესტორს ქვეყნისა და მისი ბიზნეს-კლიმატის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება სპეციალური ვებ-გვერდის საშუალებით შეეძლება. ვებ-გვერდი, რომლის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" მოეწყო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის სავაჭრო პალატის მხარდაჭერით შეიქმნა.*

მარიამ ჭაჭვაძე

www.investmentguide.ge ეს იმ ინტერნეტ-გვერდის მისამართია, რომელიც პოტენციური ინვესტორების მოთხოვნას სრულად პასუხობს.

**"ეს ვებ-გვერდი პოტენციური ინვესტორებისთვის საიმედო წყარო იქნება. ერთი ფანჯრის პრინციპით აქ თავმოყრილია ის ინფორმაცია, რომელსაც საზღვარგარეთ მცხოვრები ინვესტორები საჭიროებენ და იგი მათი გზამკვლევი გახდება საქართველოში ბიზნესში წარმატების მისაღწევად,"** - განაცხადა ემი დენმანმა, ამერიკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა.

ამერიკის სავაჭრო პალატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ხათუნა გიორგაძემ გვითხრა, რომ ინტერნეტ-მეგზურის განვითარებაში, პალატის წევრების გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ბანკირთა ასოციაციამ, Agrocorp, AgVantage, სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აიმ", American Designs/Tbilisi Gardens-მა, "ჯეოსელმა", "ჯეოინჟინერინგმა", ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა, Medi Club Georgia და "იუ-ჯი-თიმ". ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვით იმით, რომ დროული და ზუსტი ინფორმაცია ნებისმიერ ინვესტორს გადაწყვეტილების დროულად მიღებაში მნიშვნელოვნად ეხმარება. ინტერნეტ-მეგზურისთვის თვალის ერთი გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ ის ამ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს.

როგორც ვებ-გვერდის შემქმნელები ვარაუდობენ, ახალი გზამკვლევი გახდება საჭირო რესურსი იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება და ის ასევე ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ინვესტორების მოზიდვას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ევროპა სამეცნიერო ავტონომიის ძიებაში

ტრადიციულად, ევროკავშირი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მეცნიერული კვლევების დაფინანსებას. ასეთ საკითხებზე თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლება თავად ზრუნავს, რადგანაც მეცნიერებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნამ ისინი შესაძლოა, ისეთ აღმოჩენებამდე მიიყვანოს, რაც ამ სახელმწიფოების არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ სამხედრო ძლიერებასაც განამტკიცებს.

თუმცა დღეისათვის ეს მიდგომა იცვლება. ევროკომისია წინადადებით გამოდის, შეიქმნას ევროპის კვლევების საბჭო, რომელიც ყოველწლიურად მაქსიმუმ 12 მილიარდ ევროს (14 მილიარდი დოლარი) დახარჯავს მეცნიერულ კვლევებზე. ამ გეგმას ზოგადად მხარს უჭერენ ევროპის წევრი სახელმწიფოები, თუმცა დეტალებზე შეთანხმება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

სამეცნიერო საბჭოს შემოთავაზებული მოდელი ევროპაში უფრო კონკურენტუნარიანი სამეცნიერო გარემოს შექმნას ისახავს მიზნად. ევროპას მაღალი კლასის უნივერსიტეტები, სამეცნიერო დაწესებულებები და კვლევითი ორგანიზაციები გააჩნია. თუმცა საბჭოს შექმნის იდეის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ მათი ქმედებები ფრაგმენტულია, ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზებას.

შეერთებულ შტატებში მეცნიერთა ჯგუფები მთელი ქვეყნის მასშტაბით იბრძვიან ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდიების მოსაპოვებლად. ევროპის კვლევითი საბჭოს მიერ შემოთავაზებული მოდელიც ამ ფონდის სქემის მიხედვითაა შექმნილი. იგი გრანტებს ინდივიდუალურ კვლევებზე გასცემს, მხოლოდ სამეცნიერო ღირებულებისა და კოლეგიალური შეფასების საფუძველზე. ევროპული კვლევითი საბჭოს ჩამოყალიბების შემთხვევაში, მეცნიერები გრანტის მოსაპოვებლად არა მარტო თავიანთ თანამემამულეებს გაეჯიბრებიან (როგორც დღეს ხდება), არამედ - მკვლევარებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „მარეკ დუდაევი ჩვეულებრივი მკვლელია„ - აცხადებს შს მინისტრი

*პირველი ინსტანციის სასამართლომ ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმეზე გუშინ განაჩენი გამოიტანა. სასამართლო კოლეგიამ ნოდარ, იგივე მარეკ დუდაევს, რომელიც პროკურატურის მიერ 16 ეპიზოდში - მძიმე დანაშაულებში იყო ბრალდებული, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 23 წლით პატიმრობა მიუსაჯა.*

ინგა ალავიძე

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ნაირა გიგიტაშვილი მარეკ დუდაევისთვის გამოტანილ განაჩენს რამდენიმე საათის მანძილზე კითხულობდა. მართალია, სასამართლომ მარეკ დუდაევი რამდენიმე ეპიზოდში - მკვლელობაში, ყაჩაღობაში და თანხის გამოძალვაში გაამართლა, თუმცა იგი დამნაშავედ მაინც ცნო და, საბოლოოდ, განზრახ მკვლელობებისთვის, ადამიანთა გატაცებისთვის, ყაჩაღობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისა და სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის მკაცრი სასჯელი გამოუტანა.

მსჯავრდებულის ადვოკატის ნათია სირაძის განცხადებით, მართალია იგი მკაცრ განაჩენს ელოდა, თუმცა, არა ასეთს. ადვოკატის თქმით, სასამართლომ პროკურატურის დაკვეთა სრულად შეასრულა.

მისივე თქმით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში და იმ შემთხვევაში, თუ დუდაევი არ გამართლდება, ადვოკატი სარჩელს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში შეიტანს.

სახელმწიფო ბრალმდებელი, პროკურორი გიორგი კავსაძე აცხადებს, რომ განაჩენი კანონიერია, ვინაიდან სასამართლოზე დადასტურდა, რომ დუდაევი დამნაშავეთა ჯგუფის აქტიური წევრი იყო. გიორგი კავსაძის განცხადებით, სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და ბრალდების მხარე განაჩენს არ გაასაჩივრებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## უპატრონო მიცვალებულებს სუდარაში გახვეულს კრძალავენ

*უპატრონო მიცვალებულთა დასაკრძალად თბილისის ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარია გამოყოფილი. მათ მუხათგვერდისა და ველის სასაფლაოზე ასაფლავებენ. თითოეული უპატრონო მიცვალებულისათვის ინდივიდუალური სამარხი ითხრება და სამარეში სუდარაში გახვეულებს ასვენებენ. თუ უპატრონო მიცვალებულს გაუმართლა და პატრონმა მოიკითხა, მაშინ მისი ამოცნობა ლითონის ფირფიტაზე გაკეთებული წარწერით არის შესაძლებელი.*

ნათია მსხილაძე

თბილისის ბიუჯეტიდან უპატრონო მიცვალებულთა დასამარხად გამოყოფილ 30 ათას ლარს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური ოთხ ობიექტს უნაწილებს (სასამართლო ექსპერტიზა, კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი და ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ცენტრი). დაკრძალვა უშუალოდ შ.პ.ს. "ჰერმეს პლიუსს" ეხება.

თავდაპირველად, უპატრონო მიცვალებული კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში იკვეთება. პათოლოგანატომიური გამოკვლევის შემდეგ, აღნიშნული სამსახური ოფიციალური წერილით მიმართავს "ჰერმესს". **''უზედამხედველო მიცვალებული ჩვენს ცენტრში კლინიკებიდან ხვდება. პათოლოგიური გამოკვლევის შემდეგ ოფიციალურ წერილს ვწერთ შ.პ.ს. "ჰერმეს პლიუსს" და გარდაცვალების სამედიცინო მოწმობას ვუგზავნით,''** - აღნიშნა კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელმა ნუკრი ჯორბენაძემ.

შ.პ.ს. "ჰერმეს პლიუსი" უპატრონო მიცვალებულს მუხათგვერდისა და ველის სასაფლაოზე კრძალავს. დაკრძალვის პროცესი საკმაოდ მარტივია, ანუ მიცვალებულს მხოლოდ სუდარაში გაახვევენ და გათხრილ სამარეში ჩაასვენებენ. ამ დროისთვის მსგავსი მეთოდით 307 უპატრონო მიცვალებულია დაკრძალული. **"მიცვალებულები იკრძალებიან მუხათგვერდისა და ველის სასაფლაოზე. ბოლო დროს, ძირითადად, ველის სასაფლაოზე ასაფლავებენ. მათთვის ინდივიდუალური სამარხი ითხრება და სუდარაში გახვეული იკრძალება,"** - აცხადებს "ჰერმეს პლიუსის" გენერალური დირექტორი რუსუდან ფანცულაია. მიცვალებულის სამარხზე კეთდება ლითონის ფირფიტა, სადაც გარდაცვლილის ვინაობაა მითითებული. **"მთელი წლის მანძილზე უპატრონო მიცვალებულთა შორის მხოლოდ ორს გაუმართლა, პატრონი გამოუჩნდა,"** – გვითხრა ფანცულაიამ.

როგორც გავარკვიეთ, ზრდასრული ადამიანებისთვის სამარხის გათხრა 92 ლარი ჯდება, 7 წლის ზემოთ ბავშვებისთვის - 46 ლარი, ხოლო ჩვილებისა და საოპერაციო ნარჩენებისთვის – 13,4 ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი 30 ათასი ლარიდან, დღეისთვის, 20 872 ლარია ათვისებული. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, მომავალი წლის ბიუჯეტში უპატრონო მიცვალებულების დასაკრძალად 40 ათასი ლარი იქნება გათვალისწინებული.

### მოკლედ

#### უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისია შესაძლოა, გაუქმდეს

სამშვიდობო ქსელი "ქალთა ერთობა მშვიდობისათვის" აპროტესტებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, შესაძლოა, გაუქმდეს "ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისია." ამ საკითხთან დაკავშირებით ერთობლივი პრესკონფერენცია სასტუმრო "ვარაზში" გამართეს აღნიშნული კომისიისა და სამშვიდობო ქსელის წარმომადგენლებმა. პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს, მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს ამ კატეგორიის ოჯახებისა და კომისიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. "ამ კომისიის გაუქმებით, ხელისუფლება გადაჭრის იმედის იმ უკანასკნელ ძაფებს, რაც შვილდაკარგულ მშობლებს, დედებს, მეუღლეებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ასევე, ამ მოქმედებით დაიკარგება კონფლიქტით დაპირისპირებულ მხარეთა დაახლოების კიდევ ერთი მტკივნეული, მაგრამ ქმედითი გზა," - განაცხადეს პრესკონფერენციაზე. მათი თქმით, ამ კომისიის წლიური ბიუჯეტი 150 ათასი ლარია. "ეს კი ის თანხაა, რომელიც სახელმწიფომ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოსაძიებლად უნდა გაიღოს," - მიაჩნიათ "ქალთა ერთობა მშვიდობისათვის" წარმომადგენლებს, რომლებმაც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ ოფიციალური სტატისტიკა წარმოადგინეს.

ეს სტატისტიკა, ძირითადად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დროს დაკარგულებს შეეხება. მათი ოჯახის წევრებს პოვნის იმედი ჯერ არ დაუკარგავთ. ამჟამად იძებნება ქართული მხარის2,100, აფხაზური მხარის 130 და ოსური მხარის 15 უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### "სალომე ზურაბიშვილის მოძრაობა" სამეგრელოში ჩავიდა

სალომე ზურაბიშვილი მარტვილის, დიდი ჭყონის, ტალერის, სალხინოს, ინჩხურის მოსახლეობასთან გასაუბრებას გეგმავს.

სალომე ზურაბიშვილი სამეგრელოში მიმდინარე კვირის ბოლომდე დარჩება და ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილის, ზუგდიდის რაიონებში არსებული სოფლების მოსახლეობას შეხვდება. სამეგრელოს შემდეგ სალომე ზურაბიშვილი ეწვევა აჭარას, მომავალი წლის თებერვალში კი შეხვედრები კახეთში გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" დამფუძნებელი ფორუმი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშილი 2 დეკემბერს კიევში გამართულ "დემოკრატიული არჩევნის თანამეგობრობის" დამფუძნებელი ფორუმის I კონფერენციას დაესწრება. ფორუმში მონაწილეობის მისაღებად კიევში მიწვეულნი არიან უკრაინისა და საქართველოს რეგიონული პარტნიორები – აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის, ბალკანეთისა და შავი ზღვისპირეთის, სუამ-ის წევრი ქვეყნები. ფორუმის დასრულების შემდგომ, მიღებული იქნება "დემოკრატიული არჩევნის თანამეგობრობის" ქვეყნების დეკლარაცია. კიევში დაგეგმილი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობაზე ოფიციალური თანხმობა უკვე განაცხადეს საქართველოს, ლიტვის, ესტონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, მაკედონიისა და უნგრეთის პრეზიდენტებმა. გარდა ამისა, სტუმრის სტატუსით, კონფერენციას დაესწრებიან გაეროს, ეუთოს, ნატო-ს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები.

"დემოკრატიული არჩევნის თანამეგობრობა" არის ახალი ევროპული დემოკრატიების თავისუფალი კოალიცია (საკონსულტაციო ფორუმი), რომელიც მოწოდებულია გაათავისუფლოს ბალტიის-შავი-კასპიის ზღვების რეგიონი გამყოფი ხაზებისაგან, ადამიანთა უფლებების დარღვევებისგან, კონფრონტაციის ნებისმიერი გამოვლინებებისგან. ამგვარად მოხდება იმ იდეის რეალიზაცია, რომელიც საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა გააჟღერეს "ბორჯომის დეკლარაციაში" (2005 წლის 12 აგვისტო). "დემოკრატიული არჩევნის თანამეგობრობა" ასევე უნდა იქცეს იმ ძლიერ ინსტრუმენტად, რომელიც დააჩქარებს მოცემულ რეგიონში "გაყინული" კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას. ფორუმის კარი ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც იზიარებს საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ფასეულობებს და მიისწრაფვის, რათა გააძლიეროს ბალტიის-შავი-კასპიის ზღვების რეგიონის ევროპული იდენტურობა.

"დემოკრატიული არჩევნის თანამეგობრობის" II კონფერენცია გაიმართება 2006 წლის მარტში რუმინეთში; III კონფერენცია - 2006 წლის მაისში ლიტვაში; IV კონფერენცია - 2006 წლის შემოდგომაზე საქართველოში. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### საქართველოს სასაზღვრო უწყებას დღეს გერმანელი კოლეგები ეწვივნენ

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს გუშინ ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შსს-ს ფედერალური სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ.

როგორც საქართველოს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, ვიზიტის მიზანს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ კანონპროექტის დახვეწა წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანელი ექსპერტები თბილისში ივლისშიც იმყოფებოდნენ. სამუშაო ჯგუფი საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და შსს-ს წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ამ საკითხებზე გერმანელი ექსპერტები ქართულ მხარესთან 2001 წლიდან მუშაობენ. 2002 წელს ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეფორმირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციათა პაკეტი შეიმუშავა, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა წარმოადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## პირველი საინვესტიციო ინტერნეტ-მეგზური საქართველოში

პირველი გვერდიდან



www.investmentguide.ge-ს პრეზენტაციის საზეიმო ცერემონიალი ტორტის დაჭრით დაგვირგვინდა.

www.investmentguide.ge-ასევე მოთავსებულია ინფორმაცია მარეგულირებელი და საკანონმდებლო ნორმების შესახებ, პრიორიტეტულ სექტორებზე, პრივატიზაციის პროცესზე, უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზაზე, არსებულ საგადასახადო და საბაჟო რეჟიმებზე, დაფინანსების საშუალებებზე, გააანალიზებს სხვადასხვა სექტორში არსებულ ვითარებას და სხვა.

როგორც ინტერნეტ-გვერდის შემქმნელები ირწმუნებიან, ამ გზამკვლევს რამდენიმე უპირატესობა აქვს და ეს შემდეგში მდგომარეობს: ბიზნესსაზოგადოება აქტიურად იყო ჩართული გზამკვლევის შემუშავებაში, რაც ზრდის მის სანდოობას ინვესტორების თვალში, და კიდევ, იგი ითვალისწინებს საქართველოში მიმდინარე პროცესების დინამიურობას, განთავსდება ინტერნეტში და მუდმივად განახლდება.

აი, რა განაცხადა ამ პროექტის მენეჯერმა ჯოანა დადიანმა გუშინდელ პრეზენტაციაზე: **"საინვესტიციო ინტერნეტ-მეგზური უნიკალურია იმ გაგებით, რომ იგი ინტერნეტშია განთავსებული და მისი განახლება სისტემატურად მოხდება, რათა პოტენციურმა ინვესტორებმა ქვეყანაში ბიზნეს და საინვესტიციო საკითხების ცვლილებას მიადევნონ თვალყური. ამას გარდა, ამერიკის სავაჭრო პალატა ვებ-გვერდის პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონის ფარგლებში და საზღვარგარეთ განახორციელებს, რათა კარგად მიაწვდინოს ხმა სამიზნე ჯგუფებს და აცნობოს მათ, რომ ასეთი ინტერნეტ-რესურსი არსებობს."**

ხსენებულ ვებ-გვერდს აქვს ე.წ. "შესაძლებლობების" სექცია, რაც საშუალებას აძლევს ყველა ბიზნესს, უცხოურს თუ ადგილობრივს, რომლებიც ან პარტნიორებს ეძებენ ან საქართველოში ბიზნესის წარმოების შესაძლებლობები აინტერესებთ, ასეთი მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია ვებ-გვერდზე განათავსონ. სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ, სადაც მითითებული იქნება ყველა საჭირო ინფორმაცია, მეწარმეებს საშუალება მიეცემათ, პირდაპირ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

## ქართველ და იტალიელ ბიზნესმენთა თანამშრომლობა გადამწყვეტ ფაზაში შედის

*საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში გუშინ "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამის" პირველი ეტაპის შედეგები შეაჯამეს. პროექტი, რომელიც საქართველოში არსებული საწარმოებისათვის სასურველი იტალიელი პარტნიორის მოძიებას გულისხმობს, დაახლოებით ოთხი თვეა მოქმედებს და ქართული ჯგუფებიდან იტალიელებთან თანამშრომლობაზე უკვე 2 ათასამდე განცხადება არის შესული.*

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე იტალიელმა და ქართველმა ბიზნესმენებმა ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ იმსჯელეს და "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამის "პირველი ეტაპი განიხილეს. როგორც აღმოჩნდა, იტალიელი ბიზნესმენები საქართველოში, ძირითადად, გადამამუშავებელი მრეწველობით ინტერესდებიან.

პროექტს უკვე 2 000-ზე მეტი ქართველი ბიზნესმენი გაეცნო. რამდენიმე მათგანმა კონკრეტული დაინტერესებაც გამოთქვა, მათ შორის, კომპანია "იბერია ჯგუფმა", "არქიტრავმა" და "თბილავიამშენმა", რომლებიც იტალიელებთან ერთად კონკრეტულ პროექტებზე იმუშავებენ.

ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, იტალიელები კვების მრეწველობით, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებით და მშენებლობით ინტერესდებიან.

საქართველოში იტალიის ელჩს ფაბრიციო რომანოს იმედი აქვს, რომ იტალიელი ბიზნესმენები საქართველოთი აქტიურად დაინტერესდებიან და მათი ინტერესი ქართველების ინტერესებს დაემთხვევა. **"ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების კუთხით,"** - განაცხადა იტალიის ელჩმა.

შეგახსენებთ, რომ "საქართველო-იტალიის პარტნიორობის პროგრამას" საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში იტალიის კამპანის რეგიონის კაზერტას პროვინციის მეწარმეთა კავშირთან ერთად ახორციელებს.

აღნიშნული პროგრამის პრეზენტაცია მიმდინარე კვირას ბათუმშიც გაიმართება.

*24 საათი*

## 15 საბაჟო რეჟიმიდან მხოლოდ 8 დარჩება

ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ამჟამად მოქმედი 15 საბაჟო რეჟიმიდან მხოლოდ 8 საბაჟო რეჟიმი დარჩება. ამის შესახებ გუშინ განცხადება პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი სირაძემ გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ამჟამად პარლამენტში განიხილება, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზებულია.

**"ახალი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერას, ტრანზიტის განვითარების ხელშეწყობას და საბაჟო ადმინისტრირების ლიბერალიზაციას,"** - განაცხადა სირაძემ. მან კომიტეტის წევრებს ახალი საბაჟო კოდექსის ძირითადი მიმართულებები გააცნო. როგორც სირაძემ განაცხადა, საბაჟო კონტროლის ზონაში კონტროლს მხოლოდ ერთი - საბაჟო დეპარტამენტი განახორციელებს. ამჟამად მოქმედი ფიტო, ვეტერინარული და სანიტარული კონტროლის დელეგირება მთლიანად საბაჟო დეპარტამენტს გადაეცემა. ახალ საბაჟო კოდექსში, აგრეთვე, გათვალისწინებულია საბაჟო დავების განხილვის სამეტაპიანი პროცედურა. კერძოდ, საბაჟო დავების განხილვას თავად საბაჟო-გამშვები პუნქტი დაიწყებს, ხოლო მეწარმეს საბაჟო-გამშვები პუნქტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება საბაჟო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროში შექმნილ დავების განხილვის კომისიაში ექნება. ამასთან, მებაჟეს უფლება რჩება, ამ სამი ინსტანციიდან არც ერთს არ მიმართოს და პირდაპირ სასამართლოში იჩივლოს. ახალ საბაჟო კოდექსში მცირდება საბაჟო რეჟიმების ოდენობა. ამჟამად არსებული 15 საბაჟო რეჟიმიდან რჩება მხოლოდ 8. კერძოდ, საქონლის იმპორტი, საქონლის ტრანზიტი, საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსება, საქონლის გადამუშავება საბაჟოს ტერიტორიაზე, საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ, საქონლის დროებით შემოტანა, საქონლის გადამუშავება საბაჟოს ტერიტორიის გარეთ და საქონლის ექსპორტი. ამასთან, 5 საბაჟო რეჟიმი - თავისუფალი ზონა, თავისუფალი საწყობი, რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, სახელმწიფო საკუთარებაში საქონლის გადაცემა - გადაკეთდა საბაჟოს დამუშავების ოპერაციად. ორი საბაჟო რეჟიმი - დროებითი გატანა და რეიმპორტი გადატანილია საბაჟო შეღავათების ნაწილში დაბრუნებული საქონლის სახით. წინასწარი ინფორმაციით, ახალი საბაჟო კოდექსის განხილვას პარლამენტი 2006 წლის 1 იანვრამდე ვერ მოასწრებს, შესაბამისად, კოდექსი ძალაში ახალი წლიდან ვერ შევა. საქართველოს მთავრობა ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებას 2006 წლის 1 იანვრიდან გეგმავდა.

საბაჟო კოდექსის ახალ პროექტი გუშინ კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა ზურაბ ცქიტიშვილმა გააკრიტიკა. მისი თქმით, ახალი საბაჟო კოდექსი მეწარმეებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. **"ახალ პროექტში არ არის მოწესრიგებული ის პრობლემური საკითხი, რომელიც ამჟამად საბაჟო გამშვებ პუნქტებზე აქტუალურად დგას და იმპორტის განხორციელების ვადებს უკავშირდება. იმპორტიორებმა არ იციან, როდის იწყება და როდის მთავრდება საბაჟო პროცედურები. ასევე გაურკვეველია, აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ვინ არის კონკრეტული პასუხისმგებელი პირი,"** - განაცხადა ცქიტიშვილმა. მისივე თქმით, ახალი საბაჟო კოდექსი მეწარმეების ხარჯების გაზრდას გამოიწვევს, რადგან ამ პროექტით მეწარმე ვალდებულია, გადაიხადოს მომსახურების თანხა, თუ მებაჟეს იმპორტირებულ ტვირთთან დაკავშირებით შეკითხვები გაუჩნდება და აღნიშნული ტვირთის აწონვა ან გადალაგება გახდება საჭირო. **"აწონვა, გადალაგება და ამგვარი პროცედურები კონტროლში შემავალი პროცედურებია, კონტროლს კი სახელმწიფო უწყება ახორციელებს. ამიტომ, აღნიშნული სახის კონტროლი მან ანაზღაურების გარეშეც უნდა განახორციელოს,"** - განაცხადა ცქიტიშვილმა. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა დღეს ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის განხილვა დაიწყო. **ინტერპრესნიუსი**

## კანონი ოჯახური ძალადობისგან დასაცავად

ლამარა შაყულაშვილი

ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის (თავმჯდომარე ნატო შავლაყაძე, რეგიონული კოორდინატორი ელისო ამირეჯიბი) კრიზისული ცენტრი და არსებობს თავშესაფარი მსხვერპლთათვის, სადაც მათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლიათ თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნონ; სურვილისამებრ, მიიღონ სამართლებრივი (იგულისხმება უფასო საადვოკატო მომსახურება), ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური დახმარება.

თავშესაფარი წელიწადნახევრია, რაც ფუნქციონირებს და უკვე ათობით მსხვერპლმა მიიღო დახმარება. რა თქმა უნდა, მსხვერპლის ანონიმურობა გარანტირებულია.

არასამთავრობო სექტორი ცდილობს დაეხმაროს ადამიანებს, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის. როგორც აღვნიშნეთ, პრობლემა გლობალურია და მასთან ბრძოლა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია, რადგან პარლამეტი + პოლიცია + მასმედია + არასამთავრობო სექტორი + საზოგადოება = საზოგადოებას ძალადობის გარეშე.

საქართველოს პარლამენტში პლენარულ სხდომაზე განსახილველად მალე შევა კანონპროექტი ოჯახური ძალადობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის წევრს, პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს კოორდინატორს ქეთი მახარაშვილს: **"კანონპროექტმა უკვე გაიარა ყველა კომიტეტი. საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში იარაღის შესახებ და შრომის კანონთა კოდექსში. ასე რომ, უკვე შეიკრა კანონების პაკეტი ოჯახური ძალადობის საკითხზე. ძირითადი პრობლემა საბიუჯეტო დაფინანსებაა, რომელიც შეიცვლება და ეს მუხლი ძალაში 2008 წელს შევა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ჯერჯერობით, სტატისტიკის და ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობის გამო ვერ შევძელით გათვლების გაკეთება მსხვერპლთა თავშესაფრების და სარეაბილიტაციო ცენტრების დაფინანსების შესახებ. ანუ, რეალურად ასეთი ფაქტები არსებობდა, მაგრამ მათი რეგისტრირება სხვა ფორმულირებით ხდებოდა. ამ სტატისტიკის მოძიებას ერთი წელი მაინც დაჭირდება. ამიტომ თავშესაფრების ამოქმედებამ 2008 წლისთვის გადაიწია."**

ამ ეტაპზე მთავარი ის არის, რომ ქართულ კანონმდებლობაში ჩნდება განსაზღვრება - ოჯახური ძალადობა. შემოდის ახალი სისტემა - შემაკავებელი და დამცავი ორდერები, რომლებიც სამოქალაქო წესით იხილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იქ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებია.

კანონი ექსპერტების ჯგუფმა მოამზადა. უზრუნველყოფა კი ამერიკის იურისტთა ასოციაციამ გაუკეთა. ჯგუფი ძირითადად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებისგან შედგება. მუშაობა 2-3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

საპატრულო პოლიციის მონაცემებით, შემოსული ზარების დიდი ნაწილი ოჯახურ ძალადობას ეხება. კონფლიქტის შემთხვევაში პოლიციამ არ იცის, რა გააკეთოს, რადგან საკანონმდებლო მექანიზმი არ აქვს. ახალი კანონის საფუძველზე მას საშუალება ექნება განაცალკევოს კონფლიქტის მონაწილე ადამიანები, რაც ბევრი უბედური შემთხვევის პრევენცია იქნება.

### მოკლედ

#### "სახალხო ფორუმი" პირველ დეკემბერს ოფიციალურად დაფუძნდება

საზოგადოებრივი მოძრაობა "სახალხო ფორუმი" პირველ დეკემბერს ოფიციალურად დაფუძნდება. ამის შესახებ გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერმა აკაკი ასათიანმა განაცხადა. მისი თქმით, "სახალხო ფორუმის" პირველი ღონისძიება იქნება ხელმოწერების შეგროვება მერებისა და გამგებლების არჩევითობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩასატარებლად. ასათიანის განცხადებით, ამ თემაზე კონსულტაციები მიმდინარეობს "მრეწველებთან", "რესპუბლიკურ პარტიასთან", "ლეიბორისტულ პარტიასთან" და "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან" და ხელმოწერების შეგროვება სწორედ ამ პარტიების ორგანიზებით დაიწყება.

აკაკი ასათიანი დარწმუნებულია, რომ "სახალხო ფორუმი" ნახევარი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებს, რომელიც შემდეგ პარლამენტს წარედგინება. "ვიწყებ ხელისუფლების ჭკუაზე მოყვანის პოლიტიკას," - განაცხადა დღევანდელ ბრიფინგზე "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერმა აკაკი ასათიანმა. "სახალხო ფორუმის" პრეზენტაცია 1 დეკემბერს რკინიგზელთა სახლში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

#### ესტონეთის პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტის დელეგაცია თბილისში

საქართველოს პარლამენტს დღეს ესტონეთის პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტის დელეგაცია ესტუმრება. ესტონეთის პარლამენტის კომიტეტი პირველ შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან და მის თავმჯდომარე ელენე თევდორაძესთან გამართავს. დღესვე იგეგმება შეხვედრები იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებთან, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვან საქართველოსთან". ესტონეთის საპარლამენტო კომიტეტის წევრების ვიზიტი საქართველოში ოთხდღიანი იქნება. კომიტეტის წევრები შეხვდებიან, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, უშიშროების საბჭოს მდივანს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. **ინტერპრესნიუსი**

#### "კონსერვატორები" საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ

პარლამენტში მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით შესულ კანონპროექტს "სახელწიფო პენსიის შესახებ" "კონსერვატორები" საპროტესტო აქციებით დაუპირისპირდებიან. პირველი აქცია 2 დეკემბერს, კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის პარალელურად, პარლამენტის წინ გაიმართება. გუშინ კი "კონსერვატორების" ლიდერებმა კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ამ კანონპროექტთან დაკავშირებით არსებული პრეტენზიების შესახებ ისაუბრეს.

როგორც "კონსერვატორები" აცხადებენ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, უქმდება შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, კერძოდ კი, 2003 წლის ივლისში მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც პენსიების დანიშვნა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით უნდა მომხდარიყო. მათი თქმით, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიას მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირები - მთავრობისა და პარლამენტის წევრები, მოსამართლეები და პროკურორები მიიღებენ. მათივე განცხადებით, საპენსიო კანონპროექტის მიხედვით, ქალებისთვის საპენსიო ასაკი 65 წლამდე იზრდება, რაც "კონსერვატორების" პროტესტს იწვევს. "ეს არის თავხედობა, მოსახლეობის მოტყუება და წინასაარჩევნო დაპირებების სრული იგნორირება," - აცხადებენ "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" წევრები, რომლებიც პენსიონერების უფლებების დასაცავად პენსიონერთა მოძრაობის დაწყებას და ყრილობის მოწვევასაც გეგმავენ. **ინტერპრესნიუსი**

#### ასფალტის სისქეს სპეციალური მეთოდით შეამოწმებენ

ახალდაგებული ასფალტის სისქეს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური სპეციალური ფირფიტების საშუალებით შეამოწმებს.

როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა განაცხადა, ლითონის ფირფიტებს ასფალტის დაგებისას 5-10 მეტრის დიამეტრით ჩააყოლებენ. ასფალტის დაგების შემდეგ მასზე სპეციალურ სკანერს გადაატარებენ, ფირფიტების საშუალებით კი ასფალტის სისქის დადგენა გახდება შესაძლებელი. მისი განცხადებით, ასფალტის აუცილებელი სისქე 10 სანტიმეტრი უნდა იყოს, აქედან 6 სანტიმეტრი ფუნდამენტური ფენის სისქეა, 4 სანტიმეტრი კი - გასაცვეთი ფენა. "ფირფიტებისა და სკანერის საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, გავიგოთ, სად გაცვდა უფრო ადრე ასფალტის საფარი და რამდენად შესრულდება ის პირობა, რომელსაც ასფალტის დაგებისას კომპანიები გვპირდებიან," - განაცხადა სუბელიანმა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# გარანტია ნატო-სგან

პირველი გვერდიდან

კიდევ დაახლოებით 12-18 თვე დასჭირდება, რის შემდეგაც დაიწყება მოლაპარაკება ნატო-სთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის საკითხებზე. იგულისხმება საქართველოს მონაწილეობა 2008 წლის სამიტში, რომელზეც უნდა გადაწყდეს, დაიწყება თუ არა ნატო-ს გაფართოების კიდევ ერთი, უკვე მესამე ტალღა და მოიცავს თუ არა იგი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს.

ჯერჯერობით ნატო (და მთლიანად ევროატლანტიკური სივრცე - ევროკავშირის ჩათვლით) ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებთან შეჩერდა. ევროპასა და ამერიკაში დღემდე არ წყდება კამათი იმის თაობაზე, უნდა გაგრძელდეს თუ არა ეს პროცესი და მოიცვას თუ არა მან ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკები, ანუ ის გეოპოლიტიკური არეალი, რომელიც რუსეთს თავისი გავლენის სფეროდ მიაჩნია და სერიოზულ ბერკეტებსაც ფლობს, დაწყებული ენერგეტიკული "მარწუხებით", დამთავრებული კონფლიქტურ ზონებში ვითარების კონტროლით.

თუმცა, იააპ სხეფერმა კვლავ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, ნატო-ს კარი ყველა დემოკრატიული და "შემდგარი" სახელმწიფოსათვის ღიააო.

დემოკრატია და სახელმწიფოს ქმედითობა (მათ შორის მთელი ტერიტორიის კონტროლი) დასავლეთში იდენტურ ცნებებად მიაჩნიათ. ეს თეზისი კი (რომ ნატო-ს კარი ყველასათვის ღიაა) იმ ურყევი ღირებულების გამომხატველია, რომელიც არ აძლევს საშუალებას რუსეთს (და ამის მოსურნე ძალებს იმავე დასავლეთში), სეპარატისტულ გარიგებებს მიაღწიონ პატარა დემოკრატიული სახელმწიფოების ხარჯზე, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური სივრცისაკენ მიისწრაფიან. სხვათა შორის, ამიტომაცაა უსაფუძვლო რუსი დერჟავნიკების საყვედური გორბაჩოვისადმი - გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ აღმოსავლეთ ევროპის ნატო-ში არმიღების პირობას რატომ ვერ მიაღწიაო.

არადა, ამგვარ პირობას კრემლს ვერც ერთი დასავლური დემოკრატია და ვერც ერთი ლიდერი ვერ მისცემდა, ვინაიდან ეს დემოკარტიულ სახელმწიფოთა თავისუფალი არჩევანის უფლების (ფუნდამენტური ღირებულების) შეზღუდვა იქნებოდა. დემოკრატია კი ღირებულებებს ეფუძნება და არა თუნდაც ყველაზე მძლავრ ეკონომიკას.

ნატო-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრისას, ზურაბ ნოღაიდელმა დიდი დრო და ადგილი არა მხოლოდ უშიშროების სფეროში, არმიასა და სხვა ძალისმიერ სტრუქტურებში მიმდინარე რეფორმებს, არამედ ეკონომიკურ ვითარებასაც დაუთმო. ნატოსთან ინტეგრაციისთვის ამ სფეროში წარმატებებს არანაკლები მნიშვნელობა აქვს. პრემიერი ნოღაიდელი ნატო-ს გენერალურ მდივანს უყვებოდა, რომ საქართველოს ბიუჯეტი ბოლო პერიოდში 400-500 პროცენტით გაიზარდა. არაფერი ისე არ მოქმედებს ევროპელებზე, როგორც კონკრეტიკა. მით უმეტეს, როდესაც იგი ეკონომიკური პროცესების გამოხატულებაა.

მთავარი, რასაც საქართველოს ხელისუფლება ნატოს-გან მოითხოვს, მკაფიო და რეალისტური "გზამკვლევია", ანუ იგივე "საგზაო რუკა". ნოღაიდელმა ნატო-ს შტაბ-ბინაში გამოსვლისას მიანიშნა შემდეგ გარემოებაზეც: თუ "გზამკვლევს" შეიმუშავებთ, მაშინ მისი შესრულების შემდეგ ნატო-ს წევრობაზე უარს ვღარ გვეტყვითო. იგულისხმებოდა – უარი რუსეთის შიშითა თუ რიდით.

ამ დემარშმა შესაბამისი შედეგი უმალვე გამოიღო და შეხვედრაზე ბრიტანეთისა და პოლონეთის ელჩებმა (ნატო-ში ამ ქვეყნების გავლენაზე საუბარი ზედმეტია) პრემიერ-მინისტრს ცალსახად განუცხადეს: მთავარია, საქართველომ რეფორმები დაასრულოს და ასეთ შემთხვევაში მის ნატო-ში გაწევრიანებას ვერც ერთი მესამე ქვეყანა ხელს ვერ შეუშლის, რაკი ეს მხოლოდ საქართველოსა და ნატო-ს ორმხრივი ურთიერთობების საკითხი იქნებაო.

■ ■ ■

გუშინ ზურაბ ნოღაიდელი ბრიუსელში შეხვდა ევროკომისარს ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ინტეგრაციის საკითხებში ბენეტა ფერერო ვალდნერს, რომლის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ინტეგრაციისათვის.

ქალბატონმა ვალდნერმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება საქართველოს ევროპულ მისწრაფებას, რაც, მისი თქმით, განმტკიცებულია შთამბეჭდავი წინსვლით ეკონომიკის, გადასახადების აკრეფის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.



შეხვედრა ევროკომისარ ბენეტა ფერერო ვალდნერთან.

### ზურაბ ნოღაიდელი ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი შეხვდა ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს გიი ვერხოდტადტს. საუბარი შეეხო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებში და ორმხრივ ურთიერთობებს. ბელგია საქართველოს დაეხმარება ევროკავშირთან და ნატო-სთან დაახლოებაში. აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში. საქართველოსთვის საინტერესოა ბელგიის გამოცდილება ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით. ზურაბ ნოღაიდელი შეხვდა, ასევე, ევროპარლამენტის თავმჯდომარეს ბორელ ფონტელეს. ევროპარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ევროპარლამენტი დადებითად აფასებს საქართველოს ბოლოდროინდელ წარმატებებს და მიესალმება საქართველოს სწრაფვას ევროპული სტრუქტურებისაკენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ჟურნალისტები ნარკოტიკების წინააღმდეგ

"ანტინარკოტიკული მედიაკლუბის" ინიციატივით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დევნილი და მესხეთიდან რეპატრირებული სტუდენტებისთვის ლექცია-სემინარი გაიმართა.

შეხვედრა შიდსის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ორგანიზატორების განცხადებით, ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული აქცია მიზნად ისახავს ამ მავნე სენის ანტიპროპაგანდასა და მისგან მომავალი თაობების დაცვას. სემინარზე სტუდენტთა შეკითხვებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს წარმომადგენლები და ნარკოლოგები პასუხობდნენ. სტუდენტები ყველაზე მეტ შეკითხვას ნარკოტიკული საშუალების მოქმედების და სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის შესახებ სვამდნენ.

ექსპერტების მონაცემებით, დევნილებში ნარკოტიკების მოხმარების და გადამდები დაავადებების, მათ შორის ყველაზე მეტად - შიდსის და C ჰეპატიტის, გავრცელების დონე მაღალია, რაც განპირობებულია როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, ასევე ე.წ. ომის სინდრომით. მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ამ კატეგორიის სტუდენტები ნარკოტიკების გამოყენების რისკის ქვეშ იმყოფებიან, რის გამოც პირველი შეხვედრა სწორედ მათთან დაიგეგმა.

ჟურნალისტების ანტინარკოტიკული კამპანია გრძელვადიანია და მსგავსი ღონისძიებები სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ჩატარდება.

*24 საათი*

# უცნობი თავისუფლება

### გადაცემის სტუმარია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე

**კობა ლიკლიკაძე:** რას იტყვით უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლის, ტურავას, გვენეტაძისა და სულაქველიძის პროტესტზე, რომლებიც აღშფოთებულნი არიან ერთის მხრივ იმით, რომ მათ ავიწროებს ხელისუფლება, მეორეს მხრივ იმით, რომ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. რამდენად სერიოზული პრობლემაა ეს?

**ანა დოლიძე:** თუ ამას მოქალაქის თვალით შევხედავთ, სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში ორი სერიოზული პრობლემა გვაქვს: ჯერ ერთი, მოქალაქეების უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს, დაბრკოლებულია, ხოლო მეორე - თუ სასამართლოს მიმართავენ, არ აქვთ იმედი, რომ სასამართლო განაჩენს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გამოიტანს.

**კობა ლიკლიკაძე:** რა ხდება ამ მოსამართლეებთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს ჭრილში რომ შევხედოთ ამ ყველაფერს?

**ანა დოლიძე:** რომელიმე ცივილიზებული ქვეყნის გადმოსახედიდან ეს კატასტროფული ფაქტია. ყველაზე მაღალი ინსტანციის სამი მოსამართლე საჯაროდ აკეთებს განცხადებას, რომ მათზე ადგილი აქვს ზეწოლას. უნდა გავითვალისწინოთ კონტექსტი, რომ ეს ადამიანები არ არიან რომელიმე საწარმოს ხელმძღვანელები, ისინი არიან მოსამართლეები. მოსამართლეებს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, აკრძალული აქვთ აზრის გამოხატვის თავისუფლება. ძალიან სერიოზული რამ უნდა მოხდეს, რომ მოსამართლემ თავს უფლება მისცეს, გამოთქვას თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ესენი არიან ყველაზე მაღალი ინსტანციის წარმომადგენლები, სისხლის სამართლის ყველა საქმეზე საბოლოო სიტყვას ამბობენ. ეს მოსამართლეები საუბრობენ საჯაროდ.

**კობა ლიკლიკაძე:** თქვენი ორგანიზაცია აწარმოებს მონიტორინგს მართლმსაჯულებაში მიმდინარე პრობლემებზე. თქვენთვის პირადად ამ სამი ადამიანის პროტესტი რამდენად მოულოდნელი იყო?

**ანა დოლიძე:** მოულოდნელი ნამდვილად არ იყო. პირიქით, კულუარული საუბრებიდან ვიცი, რომ უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეებზე ყველა ეშელონებიდან იყო ზეწოლა. სერიოზულად ველოდებოდი, რომ ვინმეს გაუჩნდებოდა სიმამაცე და გამბედაობა, რათა ხმამაღლა ეთქვა ამის შესახებ. როდესაც ერთ დღეს, თბილისის ხუთი რაიონული სასამართლოდან მოსამართლეების უმრავლესობა სახლში გაუშვეს, როდესაც საოლქო სასამართლოდან სახლში გაუშვეს 40-მდე მოსამართლე და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გარეშე დატოვეს რამდენიმე მათგანი, გაშვებულებიდან ხმა რომ არავინ ამოიღო, ეს ჩემთვის ძალიან სერიოზული შეშფოთების საფუძველი იყო, ანუ ჩვენს მოსამართლეებს გამბედაობა და გმირობა არ უნდა მოვთხოვოთ.

**კობა ლიკლიკაძე:** ან იქნებ მართალია საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბოკერია, რომელმაც თქვა, რომ სასამართლო ხელისუფლება არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური ადამიანებისგან იწმინდება?

**ანა დოლიძე:** მის გამოთქმაში სიმართლე არის, თუ ჩვენ მოსამართლეს გმირობას არ მოვთხოვთ, მაშინ რატომ ვაძლევთ უფლებას, რომ ადამიანების ბედი განკარგოს? მოსამართლეებს მეტი გამბედაობა უნდა მოვთხოვოთ, ვიდრე რიგით მოქალაქეს.

**კობა ლიკლიკაძე:** მედალს აქვს ორი მხარე, რამდენად ენდობა მოსახლეობა მოსამართლეებს?

**ანა დოლიძე:** არსებობს საერთაშორისო დოკუმენტი – ქარტია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც მოიცავს ძალიან მნიშვნელოვან პრინციპებს, თუ რამდენად უნდა იყოს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება. ხელისუფლების დამოკიდებულებაზე აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. სასამართლო ხელისუფლება თავის თავს ხელს ვერ ჩასჭიდებს და ჭაობიდან ვერ ამოიყვანს. როდესაც სასამართლო ხელისუფლების მიმართ ზეწოლას აქვს ადგილი, როდესაც ადგილი აქვს რიგითი მოქალაქეების მხრიდან უპატივცემულობის გამოვლენას, აღმასრულებელ ხელისუფლებას აკისრია ვალდებულება, რომ დაიცვას სასამართლო ხელისუფლება ამგვარი გამოვლინებისგან. რასაც დღეს ის ადეკვატურად არ აკეთებს.

**კობა ლიკლიკაძე:** სასამართლო ხელისუფლებამ უნდა დაიცვას სოციალურად, დაიცვას ეგზალტირებული მასისგან და საკუთარი თავისგანაც?

**ანა დოლიძე:** აღმასრულებელ ხელისუფლებას ან მხარეებს მოსამართლეებზე ზეწოლა რომ მოუნდეთ, აბსოლუტურად ადამიანური გამოვლინებაა. მაგრამ, ხელისუფლება, პირველ რიგში, უნდა გვყავდეს იმდენად შეგნებული, რომ მას გააზრებული ჰქონდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ფასეულობა.

# კომისია ბექაურის ქონებრივი დეკლარაციის აუდიტს მოითხოვს

საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნესინტერესების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტარ კობა ბექაურის ქონებრივი დეკლარაციის აუდიტს მოითხოვს. როგორც კომისიის თავმჯდომარემ ფრიდონ რუხაიამ გუშინ განაცხადა, კომისიას უჩნდება კითხვა: ხომ არ არის ბექაურის მიერ დეკლარაციაში მითითებული ქონება დაუსაბუთებელი? სხდომაზე კომისიის წევრმა, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა სამშენებლო ფირმების მიერ კობა ბექაურთან და სხვა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზის ჩატარება მოითხოვა. ცაგარეიშვილის განცხადებით, კომისია უნდა დაინტერესდეს, ბექაურის მიერ მშენებარე ბინების შესყიდვის დროს ხომ არ ჰქონდა ადგილი სამშენებლო ფირმების მიერ თანამდებობის პირისთვის შეღავათების დაწესებას. გარდა ამისა, "მემარჯვენეების" წარმომადგენელი მოითხოვს, გაირკვეს, რა სახსრებით შეიძინა კობა ბექაურმა რამდენიმე ძვირადღირებული ავტომანქანა.

პარლამენტარ კობა ბექაურის მიერ 2005 წელს შევსებულ დეკლარაციაში მითითებულია, რომ ერთი წლის განმავლობაში მან ორი ძვირადღირებული ავტომანქანა და 100 ათას ლარად ღირებული ორი მშენებარე ბინა შეიძინა. საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნესინტერესების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტში 16 სექტემბერს, სამი თვის ვადით შეიქმნა.

შპს ტერმინალ "ოპიზასა" და დეპუტატების კავშირის საკითხზე შექმნილი დროებით საგამოძიებო კომისიის წევრი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ კომისია უნდა დაინტერესდეს პარლამენტარ კობა ბექაურის მიერ გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით. მისი თქმით, კომისიამ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა მტკიცებულებები აღნიშნულ სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რა გზით მიიღო კობა ბექაურმა სასესხო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანხა და სად იყო აღნიშნული ფული რეგისტრირებული - მიიღო ის პირდაპირი ანგარიშსწორებით თუ გადარიცხვით.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც კახა კუკავა საინტერესოდ მიიჩნევს, "ლილო 1"-დან ტერმინალ "ოპიზაში" გადასვლასთან დაკავშირებით საბაჟო ადმინისტრაციის ჯგუფის გადაწყვეტილებას უკავშირდება. კუკავა აცხადებს, რომ შესაძლოა, საბაჟო ადმინისტრაციის ჯგუფმა აღნიშნული გადაწყვეტილება გარკვეული პირების ზეწოლის შემდეგ მიიღო. მისივე განცხადებით, კომისიამ უნდა აიძულოს საბაჟო ადმინისტრაციის ჯგუფი, დაასახელოს ის პირები, ვინც მათზე ზეწოლა განახორციელა. "წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, თავად საბაჟო ადმინისტრაციის ჯგუფი აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა," - აღნიშნა კუკავამ.

დროებითი საგამოძიებო კომისია პარასკევს სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტებს ბელა ზაქაიძესა და ვახტანგ კომახიძეს გაესაუბრება. აგრეთვე, დაინტერესდება, რა პრობლემები შეექმნათ ბელა ზაქაიძესა და ვახტანგ კომახიძეს ფილმზე მუშაობისას და რა ინფორმაცია ვერ მოიპოვეს მათ.

*24 საათი*

# ევროპა სამეცნიერო ავტონომიის ძიებაში

პირველი გვერდიდან

აქ მიზანშეწონილია, პარალელი გავავლოთ დღეს არსებულ შეზღუდულ საბაზო დაფინანსებასთან, ის მხოლოდ იმ მკვლევარებისთვისაა ხელმისაწვდომი, რომლებიც ევროპარლამენტისა და ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ მეცნიერულ დისციპლინათა ვიწრო წრეში მუშაობენ.

ევროპული კვლევების საბჭო ამ მხრივ სრულიად განსხვავებული იქნება. იგი აქცენტს გააკეთებს მეცნიერთა შორის კონკურსზე და არჩევანის საშუალებას მისცემს მეცნიერებს, თავად გადაწყვიტონ, თუ რომელ სფეროში აწარმოონ კვლევა.

ჰელგა ნოვოტნი, რომელიც ევროპული კვლევების მრჩეველთა საბჭოს (ევროკომისიის საკონსულტაციო ორგანო) ხელმძღვანელობს, მიიჩნევს, რომ ევროპული კვლევების საბჭოს მიერ გაცემული გრანტები მომავალში ჩაითვლება როგორც ამ კვლევების წარმატების უპირობო აღიარება. ევროპული კვლევების ხარისხი უნდა ამაღლდეს. 1980-დან 2003 წლამდე ევროპას ჰყავდა 68 ნობელის ლაურეატი მედიცინაში, ფიზიკასა და ქიმიაში, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მათი რიცხვი 154-ს აღწევდა. ჩინეთთან და ინდოეთთან მიმართებაში სავარაუდოა, რომ ევროპული მაჩვენებელი მომავალში კიდევ უფრო დაეცეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის რეალური კონკურენციის ნაკლებობა ევროპელ მკვლევარებს შორის. მეორე მიზეზი ახალგაზრდების სამეცნიერო კარიერით დაინტერესების მწირი შესაძლებლობებია. დღევანდელი შეფასებით ევროპა საჭიროებს დამატებით 700 000 მკვლევარს, თუ ის აპირებს, რომ 2010 წლისთვის კვლევის დაფინანსებაზე შიდა ეროვნული პროდუქტის 3 პროცენტი დახარჯოს. სწავლის დასრულებისთანავე ბევრი ახალგაზრდა მიემგზავრება ამერიკაში. დოქტორი ნოვოტნი მიიჩნევს, რომ ევროპული კვლევის საბჭო ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და ისეთი სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალებას მისცემს, განახორციელონ თავიანთი იდეები და გახდნენ დამოუკიდებლები კარიერის ადრეულ საფეხურზევე, ხელს შეუწყობს მათი ნიჭის განვითარებას ევროპაშივე.

ბევრს კამათობენ იმაზე, შეძლებს თუ არა ევროპული კვლევის საბჭო ბიუროკრატიული აპარატისა და წევრი ქვეყნების ზეგავლენისაგან თავისუფალი კვლევების პროგრამის შექმნას. ევროპული კვლევის საბჭოს სტრატეგიის შედგენაზე 22 წამყვანი ევროპელი მეცნიერი მუშაობს. სერიოზული განსჯის საგანია საბჭოს სამართლებრივი სტრუქტურის შემუშავება.

რუდიგერ ჰესე, გერმანიის მაქს პლანკის ინსტიტუტიდან, ამტკიცებს, რომ ყველაზე წარმატებულ კვლევით ინსტიტუტებს (ვისაც ყველაზე მეტი ნობელის პრიზიორი ჰყავს) ხელმძღვანელობენ მეცნიერები და არა ის ადამიანები, ვინც პოლიტიკას განსაზღვრავენ. ამ მოსაზრებას ბევრი ეთანხმება. ბევრი მეცნიერი სიფრთხილით ეკიდება ევროკომისიის შემოთავაზებას ევროპული კვლევის საბჭოს აღმასრულებელ ორგანოდ ჩამოყალიბების თაობაზე. იგი საბოლოო ჯამში ანგარიშვალდებული იქნება კომისიის წინაშე. ისინი შიშობენ, რომ შესაძლოა ევროკომისიამ არ გაითვალისწინოს 22 მეცნიერისგან შემდგარი საბჭოს რეკომენდაციები და სანაცვლოდ გამოიყენოს პოლიტიკური კრიტერიუმები მეცნიერების პრიორიტეტული დარგების განსასაზღვრად. მათ მიიღეს გარანტია კომისიისგან, რომ ამ კუთხით ჩარევა არ მოხდება. სხვები მხარს უჭერენ ალტერნატიულ მოსაზრებას - დაფუძნდეს ევროპული კვლევის საბჭო, როგორც კომისიისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი. ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთისა და ესპანეთის ძირითადი სამეცნიერო ორგანიზაციები მხარს უჭერენ ამგვარ მოდელს. ამ იდეამ მოწონება დაიმსახურა ასევე ევროპული პარლამენტის წევრებსა და მთავრობის წევრებს შორისაც, თუმცა მათი მხრიდან ამ მხარდაჭერას გააჩნია სხვა მიზეზებიც.

აქილეას მითსოსი - ევროკომისიის კვლევითი განყოფილების გენერალური დირექტორი - ამბობს, რომ ზოგიერთ ქვეყანას (მან არ დააკონკრეტა რომელს) სურს, ევროპული კვლევების კომისია მოაქციოს იმგვარი სტრუქტურის გავლენის ქვეშ, რომელიც მის ბიუჯეტს ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებზე კვოტების მიხედვით გაანაწილებს.

საბოლოო გადაწყვეტილება ევროპული კვლევების საბჭოს სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის შესახებ ევროპარლამენტმა და ევროპული საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ. თუ ისინი გულწრფელად უჭერენ მხარს ევროპული კვლევების საბჭოს და ევროპაში უფრო კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის იდეას, მათ უნდა დაიცვან ეს საბჭო პოლიტიკური გავლენებისგან. კონკურსი, რომელიც ევროპის საუკეთესო მკვლევარებზე მათი მეცნიერული მიღწევების მიხედვით გასცემს ჯილდოებს, დიდ სარგებლობას მოუტანს ევროპას.

*ჟურნალი "ეკონომისტი"*

უცხოეთი

# კანადა მთავრობის გარეშე დარჩა

პირველი გვერდიდან

საგულისხმოა, რომ კანადის პრემიერ-მინისტრმა გუშინ ქვეყნის გენერალ-გუბერნატორ მიშელ ჟანის მეშვეობით დედოფალ ელისაბედს ქვეყნის პარლამენტის დათხოვნის წინადადებით მიმართა. დამკვირვებელთა აზრით, კანადაში მოქმედი კანონების გათვალისწინებით, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადად 2006 წლის 23 იანვარი დასახელდება. კანადის კანონმდებლობა ითვალისწინებს პრემიერ-მინისტრის მიერ ხელისუფლების გადადგომის თაობაზე განცხადების გაკეთებას, ამიტომ, სავარაუდოდ, პოლ მარტინის მთავრობა ქვეყნის მართვის ფუნქციებს არჩევნების ჩატარებამდე შეინარჩუნებს.

პოლ მარტინის კაბინეტი ქვეყნის სათავეში 17 თვის წინ მოვიდა, თუმცა, კორუფციულ სკანდალებში გახვევის გამო, ის თავიდანვე განწირული აღმოჩნდა. კანადის მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლ მარტინის კაბინეტს კორუმპირებული მემკვიდრეობა წინა ლიბერალური ხელისუფლებისგანაც ერგო.

ოპოზიციის თქმით, ჯერ კიდევ 1990 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ მმართველ პარტიასთან დაახლოებულ სარეკლამო სააგენტოებს 100 მილიონი კანადური დოლარი (85 მილიონი აშშ დოლარი) საზოგადოებრივი თანხებიდან გამოუყო და გადასცა. ოპოზიციას ეჭვი გაუჩნდა, რომ მსგავსი საქმიანობის სანაცვლოდ მმართველი კაბინეტის ჩინოვნიკები ქრთამს იღებდნენ.

კიდევ ერთი გახმაურებული სკანდალი, რომლის მთავარი გმირიც კანადის მინისტრი მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებში ჯუდი სგრო იყო, 2005 წლის დასაწყისში მოხდა. მაშინ პოლიტიკოსი შანტაჟსა და მექრთამეობაში დაადანაშაულეს. ოპოზიცია ირწმუნება, რომ სგროს საეჭვო გარიგება ჰქონდა დადებული კანადის მოქალაქეობის მოპოვების სურვილის მქონე ინდოელ ბიზნესმენ ჰარჟიტუ სინგჰუსთან. კერძოდ, მაშინდელმა მინისტრმა ბიზნესმენს მის საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის სანაცვლოდ კანადის პასპორტი შესთავაზა. მომხდარის გამო 14 იანვარს პოლიტიკოსმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა.

დიდი ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აზრით, კანადაში დაწყებული სამთავრობო კრიზისი კონსერვატორული პარტიის გააქტიურებითაც შეიძლება იყოს განპირობებული. საგულისხმოა ისიც, რომ კანადაში მთავრობის შეცვლით ქვეყნის ცხოვრებაში რაიმე სიახლეებს ბრიტანელი ჟურნალისტები არ პროგნოზირებენ. კანადელ პოლიტოლოგთა აზრით, იანვარში მოსალოდნელი არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში კვლავ ლიბერალები მოვლენ.

*24 საათი*

**აშშ.** პენტაგონის განცხადებით, ერაყში აშშ-ს სამხედრო კონტინგენტი არჩევნების შემდეგ შეიძლება 140 ათას ჯარისკაცამდე შემცირდეს. როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა ლოურენს დირიტამ ჟურნალისტებს უთხრა, გადაწყვეტილება აშშ-ს ჯარის მომავალ წელს 20 ათასი კაცით შემცირების შესახებ არ არის მიღებული. დირიტამ დაამატა, რომ მიღწეულია მეტ-ნაკლები კონსენსუსი, რომელიც საშუალებას იძლევა, ერაყში აშშ-ს ჯარის რიცხვი 14 ათასამდე შემცირდეს. თეთრი სახლის თქმით, დემოკრატი სენატორის ჯოზეფ ბაიდენის წინადადება, ერაყში ამერიკული ჯარის გაისად 50 ათასით შემცირების შესახებ, თავის "გამარჯვების გეგმას" ემთხვევა. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**საერთაშორისო ეკონომიკა.** ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის 2006 წელს 1 000 კუბური მეტრი რუსული გაზი 80-დან 120 დოლარამდე გაძვირდება. ამის შესახებ კონცერნ "გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ რიაზანოვმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოსთვის და სომხეთისთვის ბუნებრივი აირის საფასური 110 დოლარი იქნება. მოლდოვას კი ათასი კუბური მეტრი გაზი 150-160 დოლარი დაუჯდება.

"აქ არავითარი პოლიტიკა არ არის," - აღნიშნა რიაზანოვმა მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო ფორუმზე - "რუსული გაზი 2005". "გაზპრომის" სპეციალისტთა გათვლებით, 2006 წელს ბუნებრივი აირის ექსპორტისაგან შემოსავალი 27 მილიარდ დოლარს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

### მოკლედ

## კოკოითის ხელისუფლება ოსებს ციხიდან გაქცეული ქარქუსოვებით აშინებს

სეპარატისტული ცხინვალის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს, რადგან ქართული მხარე ცხინვალის ციხიდან გაქცეულ ძმებ ქარქუსოვებს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს.

"ქარქუსოვების ნათესავი, ურუზმაგ ქარქუსოვი, რომელიც კრასნოდარის მხარეში ცხოვრობს, აპირებს, შექმნას საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანიც იქნება შეაჩეროს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, რუსეთთან გაერთიანებისთვის და ყველანაირად ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებასთან მშვიდობიანი ლოზუნგებით შენიღბული მორიგი აგრესიის განხორციელებისთვის და ეგრეთ წოდებული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. გარდა ამისა, ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელით ალანიისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე გავრცელდება გაზეთები და პროკლამაციები, რომლებშიც ასახული იქნება ცრუ მოწოდება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გადარჩენისა და ძმები ქარქუსოვებისადმი თითქოსდა უსამართლო დამოკიდებულების შესახებ", - ნათქვამია განცხადებაში. სეპარატისტები მოუწოდებენ მოსახლეობას, არ აყჰვეს პროვოკაციას. **მედიანიუსი**

## დალუქულ რესტორნებში საგადასახადო დეპარტამენტი მუშაობს

ფინანსური პოლიციის მიერ გუშინწინ დალუქულ რესტორნებში ამჟამად მუშაობს საგადასახადო დეპარტამენტი, რომელიც დოკუმენტაციას ამოწმებს და ქონების ინვენტარიზაციას ახორციელებს.

როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე განმარტავს, დალუქულ რესტორნებში ჯერჯერობით მხოლოდ საგადასახადო შემოწმება ტარდება, საგამოძიებო მოქმედებები კი არ დაწყებულა. მისივე თქმით, გამოძიება, შესაძლოა, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოს, რაც საგადასახადო დეპარტამენტი მუშაობას დაასრულებს და კონკრეტული დარღვევები გამოვლინდება.

ფინანსურმა პოლიციამ გუშინწინ თხუთმეტამდე ობიექტი დალუქა. სამართალდამცველთა ვარაუდით, რესტორნების მეპატრონეები შემოსავლებს მალავენ, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ. ამ დროისთვის დახურულია "თეთრი სახლი", "უშბა", "აფხაზეთი", "თაბორი", "დედა ზოია", "მეიდანი", "რიყე", "მელომანი" და სხვა ობიექტები. ფინანსური პოლიცია უახლოეს დღეებში სხვა რესტორნების შემოწმებასაც გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

## ქეთი კახელი: "გადახდის ბარათები" დროის, ფულისა და ენერგიის დაზოგვის საუკეთესო საშუალებაა

კომპანია "გლობალ ერთი" თავის აბონენტებს კიდევ ერთ სიახლეს სთავაზობს: გადახდის ბარათების მეშვეობით, სატელეფონო საუბრებზე დავალიანების დაფარვა, სახლიდან გაუსვლელად შეგიძლიათ. მომაბეზრებელ რიგებში დგომა აღარ დაგჭირდებათ: საკმარისია, ახლომდებარე ჯიხურებსა თუ სუპერმარკეტებში 5, 10, 20, 50 100 ლარიანი ნომინალებით "გადახდის ბარათები" შეიძინოთ.

**კომპანია "გლობალ ერთის" გენერალური დირექტორის მოადგილე ქეთი კახელი:** "გადახდის ბარათები" დროის, ფულისა და ენერგიის დაზოგვის საუკეთესო საშუალებაა.

"გლობალ ერთის" სარგებლობის საფასურის გადახდა "სახალხო ბანკის" ფილიალებშია შესაძლებელი.

უახლოეს მომავალში "პროკრედიტ ბანკთან" თანამშრომლობასაც ვგეგმავთ.

**- თქვენ მომხმარებელს სატელეფონო ტარიფებზე სერიოზულ ფასდაკლებებსაც სთავაზობთ...**

- ჩვენი მომხმარებლები ორად იყოფა - კერძო და კორპორატიულ აბონენტებად. ამ უკანასკნელთან ხელშეკრულებებს ვაფორმებთ და ყველა სახის სატელეკომუნიკაციო მომსახურებას ვუწევთ. სატარიფო სისტემაც ინდივიდუალური გვაქვს: ვითვალისწინებთ მათ წინადადებებს და ფასებსაც ინტერესთა შეჯერების შედეგად ვადგენთ. თითოეულ კორპორატიულ აბონენტს თავისი მენეჯერი ჰყავს, რომელიც მას ინფორმაციას აწვდის ახლი მომსახურების შესახებ, ახსენებს დავალიანებას, ადგილზე მიაქვს ანგარიშფაქტურები...

კერძო აბონენტებისათვისაც დამატებითი მომსახურება შემოვიღეთ. აბონენტს შეუძლია დარეგისტრირდეს ნომერზე 818 008, რის შემდეგაც ის მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით სარგებლობს. შეღავათები მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც მეტს საუბრობს. თუ საუბრის ღირებულება 30 ლარს აჭარბებს, ფასდაკლება, 15%-ით განისაზღვრება, ხოლო 50 ლარს ზემოთ კი- 20%-ით.

"გლობალ ერთის" უპირატესობა ისიცაა, საუბარი წამობრივად აღირიცხება. თუ სხვაგან 6 წამის საუბარს 10 წამამდე ამრგვალებენ, ჩვენი მომხმარებელი მხოლოდ 6 წამის საფასურს იხდის. ეს განსხვავება აბონენტთა ჯიბეზე მნიშვნელოვნად აისახება.

**- როგორ არის მოგვარებული "გლობალ ერთში" საერთაშორისო სატელეფონო საუბრების ხარისხი?**

- გლობალ ერთს"კავშირი აქვს ცნობილ რუსულ სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან "როსტელეკომთან", "ეკვანტსა" და "ტელეპორტთან". პირდაპირ ჩართვებს ოპტიკური არხებითა და თანამგზავრული კავშირით ვახორციელებთ. ეს კი ავტომატურ რეჟიმში კავშირს უზრუნველყოფს. უახლოეს მომავალში ხელშეკრულებას კიდევ ერთ უცხოურ კომპანიასთან გავაფორმებთ.

**- "გლობალ ერთი" თავის მომხმარებლებს ინტრანეტულ მომსახურებასაც უწევს. რამდენად დაინტერესებულია ქართული მოსახლეობა ამ სერვისით?**

- ინტრანეტს სპეციფიკური მომხმარებელი ჰყავს. მისი სერვისით საქართველოში უკვე ბევრი სარგებლობს. ინტრანეტის მომხმარებელია საბაჟო დეპარტამენტი. მათ აღმოსავლეთის საბაჟოდან სარფამდე კორპორატიული ქსელის საშუალებით შეუძლიათ ინფორმაციის გაცვლა. გვყავს ისეთი მომხმარებლებიც, რომლებსაც რეგიონალური ოფისები უფრო შორ მანძილზე აქვთ განთავსებული, მაგალითად, რუსეთში.

**ესაუბრა თამარ მირცხულავა**

# „მარეკ დუდაევი ჩვეულებრივი მკვლელია," - აცხადებს შს მინისტრი

პირველი გვერდიდან

მარეკ დუდაევის სასამართლო პროცესის მონიტორინგს "საქართველოს ოსთა ასოციაციის" ქალთა საქმეების მრჩეველი ნანა ცარაევა ახორციელებდა, რომელიც აცხადებს, რომ გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში უხეშ პროცესუალურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი.

მარეკ დუდაევი სამართალდამცველებმა შარშან, 11 მარტს, მცხეთის სოფელ ქვეშში ჩატარებული სპეცოპერაციისას, თერთმეტწლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს. ოპერაციის დროს დუდაევი მძიმედ დაიჭრა და მას გორის საავადმყოფოში რთული ოპერაცია ჩაუტარეს. დუდაევს ოპერაციის შედეგად ამოუღეს ერთი ფილტვი, ხოლო გულის არეში ტყვიის გულა მას დღემდე აქვს გაჩერებული.



*მარეკ დუდაევი მისთვის წაყენებულ არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს.*

ნოდარ დუდაევი ცხინვალის სიფელ ზემო არცევის მკვიდრია. როგორც ქართველი სამართალდამცველები აცხადებენ, მან დაჯგუფება თავდაპირველად სამაჩაბლოს ომის შემდეგ შექმნა და ქართული მოსახლეობის, ძირითადად, ქართველი გვარდიელებისა და ომის სხვა მონაწილეების წინააღმდეგ "პარტიზანულ" თავდასხმებს აწყობდა და შურისძიების მიზნით მათ და მათი ოჯახის წევრებს განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, მოგვიანებით, მარეკას ჯგუფმა რეკეტიორობა დაიწყო. არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ისინი დაბანაკებული იყვნენ ღრომის ხეობაში და აკონტროლებდნენ როკის გვირაბს, ერგნეთში მიმავალი ტვირთიდან სოლიდურ წილს იღებდნენ; აკონტროლებდნენ ერგნეთის ბაზრობასაც; იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდით იყვნენ დაკავებული და ვაჭრობდნენ გატაცებული მანქანებით. ამ ინფორმაციით, წლების მანძილზე თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალიდან მანქანების გატაცებას სწორედ "დუდაევის ჯგუფი" აწარმოებდა.

მარეკ დუდაევის მიმართ საქმე პირველად 1993 წელს აღიძრა, დაპატიმრების სანქციაც გაიცა და ძებნაც გამოცხადდა. იგი სამი წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველებმა დააკავეს კიდეც. მართალია, შეტყობინება ქართველ სამართალდამცველებს გამოუგზავნეს, მაგრამ ქართველი ძალოვანების მოთხოვნა მისი გადმოცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა და იგი გაათავისუფლეს.

მარეკ დუდაევი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც უმძიმესია, ამჟამად, მეშვიდე საპყრობილეში იმყოფება, სადაც მას რამდენჯერმე განუვითარდა კლინიკური სიკვდილი, თუმცა ციხის ადმინისტრაციამ იგი ციხის საავადმყოფოში მაინც არ გადაიყვანა. იგი ერთ-ერთი შეტევისას მცირე ხნით გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, მაგრამ მალევე უკან, მეშვიდე საპყრობილეში ისე დააბრუნეს, რომ მისი მკურნალი ექიმისთვისაც არაფერი უცნობებიათ. მარეკ დუდაევის წინააღმდეგ მეშვიდე საპყრობილეში განხორციელებული სისასტიკის შესახებ თავის დროზე საუბრობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მართლმსაჯულების ყოფილი ომბუდსმენი, ჟურნალისტი ვახო კომახიძე, რომელმაც მარეკ დუდაევის შესახებ დოკუმენტური ფილმიც გადაიღო.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ედუარდ კოკოითმა ოსეთში დატყვევებული სამი ქართველი პოლიციელის გათავისუფლების სანაცვლოდ, დუდაევის გადაცემა მოითხოვა, რაზეც მან ქართველი სამართალდამცველებისგან კატეგორიული უარი მიიღო. როგორც ცნობილია, ცხინვალის მილიციის თანამშრომელთა მიერ გატაცებული ნიკოლოზ სრესელის გადაცვლას ოსური მხარე სწორედ მარეკ დუდაევზე ითხოვდა და იგივე პირობას გატაცებული ხაჭაპურიძეების შემთხვევაშიც აყენებდნენ.

მარეკ დუდაევს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის პირად პატიმრად აცხადებენ. **"თქვენ რომ არ გეკითხათ, ამ საქმის შესახებ მე არ ვისაუბრებდი, რადგან ამ ეტაპზე ჩემს მიერ გაკეთებული განცხადება არ მინდა სასამართლოზე ზეწოლად ჩამითვალონ, მაგრამ რადგანაც მკითხეთ, გეტყვით: მარეკ დუდაევი არის ჩვეულებრივი მკვლელი. სამწუხაროდ, მისი დაკავება ჩემი შს მინისტრობის დროს არ მომხდარა და ასე რომ ყოფილიყო, ვიამაყებდი. ის არის ადამიანი, რომელსაც ათზე მეტი უდანაშაულო ქართველი ჰყავს მოკლული. ის ჩვეულებრივი რეკეტიორია, ისევე როგორც მისი ძმა.**

**მარეკ დუდაევის ძმაც არის სერიოზული კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი, არის მკვლელი, ყაჩაღი, სერიოზული კონტრაბანდისტი, რომელიც გატაცებული მანქანების ცხინვალში გადაყვანას აკონტროლებდა.**

**მარეკ დუდაევის დაჯგუფება დღესაც აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას და როგორც მარეკ დუდაევმა, ისე მისმა ძმამაც პასუხი უნდა აგონ ყველა იმ დანაშაულისთვის, რაც ჩაიდინეს. მათ ახლაც კი, დაშინებული ჰყავთ მთელი სოფელი, ატერორებენ მოსახლეობას. მარეკ დუდაევი ახლაც აცხადებს, რომ თუ მას დასჯიან, პასუხს ქართველებს მოსთხოვს - შურს იძიებს. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ის სახელმწიფოს, შსს-ს ვერ დააშანტაჟებს, მათ წინააღმდეგ ვიბრძოლებთ და ადრე თუ გვიან ყველა დამნაშავე პასუხს აგებს,"** – "24 საათის" შეკითხვას მარეკ დუდაევთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ ასეთი პასუხი გასცა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

თავად მარეკ დუდაევი მისთვის წაყენებულ არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს, თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და სასამართლოს მოუწოდებდა, იგი უდანაშაულოდ ეცნო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეცოდებოდა ის ქართველი პატიმრები, რომლებიც ცხინვალის ციხეში იმყოფებოდნენ.

# მკვლელობა და ორი უდანაშაულო ადამიანის დაჭრა დიღომში

*გუშინწინ, დაახლოებით 17:30 საათზე დიღმის მასივის პირველი კვარტლის მეექვსე კორპუსთან მკვლელობა მოხდა. თვითმხილველების განცხადებით, სროლა ავტომანქანიდან ატყდა. ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ვინაობაც თავდაპირველად უცნობი იყო, ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილეს. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილს რამდენიმე ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ბოლო პერიოდის მკვლელობებისგან განსხვავებით, თავდამსხმელებმა თავის არეში საკონტროლო გასროლაც განახორციელეს და შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ.*

სროლის დროს დაიჭრა ორი შემთხვევით გამვლელიც: 17 წლის გიორგი კენჭაძე და 25 წლის ლაშა კორძახია, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. გიორგი კენჭაძე ბარძაყის არეშია დაჭრილი. ექიმების განცხადებით, ამჟამად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ სამართალდამცველები, მათ შორის - კრიმინალისტიკურ ექსპერტთა სპეციალური ჯგუფიც. ამოღებულია პისტოლეტ „მაკაროვის" ხუთი მასრა, ასევე ორი "ბმვ"-ს მარკის მიტოვებული ავტომანქანა.

წინასწარი ინფორმაციით, შავი ფერის "ბმვ", სავარაუდოდ, გარდაცვლილს უნდა ეკუთვნოდეს. ხოლო მეორე ავტომანქანა თბილისელი, 25 წლის გრიგოლ სვანიძის სახელზეა გაფორმებული.

მკველოლობის მეორე დღესვე, შს სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს უფროსმა ბადრი ღვინჯილიამ საგანგებო ბრიფინგი გამართა და დიღმის მასივში მომხდარი მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა. მისი ინფორმაციით, დადგენილია გარდაცვლილის ვინაობა. იგი დიღმის მასივში მცხოვრები, 25 წლის ჯაბა ღვალიძეა. ცნობილია ასევე მკვლელობაში ეჭვმიტანილიც. პოლიცია ვარაუდობს, რომ ღვალიძე, სავარაუდოდ, თბილისში მცხოვრებმა 29 წლის ირაკლი თვალავაძემ, მეტსახელად "ჭიჭყინამ" მოკლა. ღვინჯილიას განცხადებით, ეჭვმიტანილი ამჟამად მიმალვაში იმყოფება, გამოცხადებულია ძებნა და მისი ადგილსამყოფელის დასადგენად აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. სამართალდამცველები იმედოვნებენ, რომ თვალავაძის დაკავება, საზოგადოების დახმარებით, უახლოეს მომავალში მოხერხდება. ამისათვის გუშინდელ ბრიფინგზე ეჭვმიტანილის ფოტოც გამოქვეყნდა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს უფროსმა მოსახლეობას მოუწოდა, მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი და დაეხმარონ სამართლადამცველებს ირაკლი თვალავაძის მოძებნაში.

მართალია, ბრიფინგზე განაცხადეს, რომ 25 წლის ჯაბა ღვალიძის მკვლელობის დეტალები გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ხმაურდებაო, მაგრამ მოგვიანებით, სამინისტროს წარმომადგენლების განხცადებით, დიღომში ორ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის ე.წ. "საქმის გარჩევას" ჰქონდა ადგილი, რაც შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა და მკვლელობით დასრულდა.

შემთხვევიდან რამდენიმე საათში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულსამმართველოში სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მუხლებით აღიძრა.

*24 საათი*


პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

**პროკრედიტ ბანკის შეტყობინება ობლიგაციების შეძენაზე საჯარო ხელმოწერის გამოცხადების თაობაზე**

სს "პროკრედიტ ბანკი" ობლიგაციების განთავსების მიზნით აცხადებს დამატებით საჯარო ხელმოწერას 2005 წლის 30 ნოემბრის დილის 9 საათიდან 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათამდე.

გაიყიდება ერთი მილიონ ექვსასოცდახუთი ათასი ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრით GE 2800503072.

გასაყიდად გამოტანილი ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 (ერთი ათასი) ლარი. შემოსავლიანობა შეადგენს წლიურ 14%-ს, ობლიგაციები გაიყიდება საანგარიშსწორებო ფასით - 886.44 (რვაას ოთხმოცდაექვსი ლარი და 44 თეთრი) თითოეული ობლიგაციისათვის.

ობლიგაციების ნომინალური ღირებულების დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 6 ნოემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ პროკრედიტ ბანკს არაუგვიანეს 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათისა. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება პროკრედიტ ბანკში, აღმაშენებლის 154, ტელ.: 20 22 22 (2230); 20 22 22 (2060)

განთავსების შედეგები ობლიგაციების მყიდველებს ეცნობებათ ხელმოწერის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

## საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია

## UNITED ENERGY DISTRIBUTION COMPANY OF GEORGIA

სგსე UEDC

# განცხადება

### სს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანია"-ს აცხადებს ტენდერს ინდივიდუალური გამრიცხველიანებისათვის საჭირო მასალების და ბენზინის შესყიდვაზე

**ონიაშვილის ქ. N6, 0160. თბილისი**

შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი N1 | მისაწოდებელი საქონლის დასახელება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ცალფაზა მრიცხველი | 9000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 2 | 50 ამპ.ორპოლუსა ავტომატური ამომრთველი | 9500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 3 | 100 ამპ. სამპოლუსიანი ავტომატური ამომრთველი | 1100 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 4 | 200 ამპ. სამპოლუსიანი ავტომატური ამომრთველი | 500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| ლოტი N2 | | | |
| 1 | 2-მრიცხველიანი კარადა | 2500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 2 | 3-მრიცხველიანი კარადა | 5000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 3 | 9-მრიცხველიანი კარადა | 500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 4 | 12-მრიცხველიანი კარადა | 450 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 5 | 16-მრიცხველიანი კარადა | 375 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 6 | რკინის კარადები ძალოვანი კაბელების განაწილებისათვის (ძალოვანი გამანაწილებელი) | 600 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| ლოტი N3 | | | |
| 1 | გამანაწილებელი სადენი 2X10მმ² (ალუმინი) | 900000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 2 | ძალ. კაბელი კარადიდან მრიცხველების კარადამდე 4X35მმ2 (ალუმინი) | 22000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 3 | ძალ. კაბელი კარადიდან მრიცხველების კარადამდე 4X50მმ² (ალუმინი) | 7000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 4 | ძალოვანი კაბელის 4X35მმ2-ის ბუნიკი (მოკალული) | 8500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 5 | ძალოვანი კაბელის 4X50მმ2-ის ბუნიკი (მოკალული) | 9000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 6 | დაბალი ძაბვის იზოლატორი | 27000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 7 | დაბალი ძაბვის იზოლატორის კავი | 12500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 8 | დაბალი ძაბვის იზოლატორის ტრავერსა | 1500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 9 | გამანაწილებელი სადენის 2X10მმ²-ის სამაგრი | 320000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 10 | გამანაწილებელი სადენის 4X35მმ²-ის სამაგრი | 19000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 11 | გამანაწილებელი სადენის 4X50მმ²-ის სამაგრი | 12000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| ლოტი N4 | | | |
| 1 | ბენზინი 150 მმ | 120000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 2 | პლასტმასის მილი D=70 მმ | 2500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 3 | დამცავი გარსაცმი კაბელისათვის | 41000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 4 | პერიოდული რკინა D=18 მმ | 10500 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 5 | პლასტმასის დუბელი N10 | 4300 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 6 | თვითმჭრელი სჭვალი(შურუპი) სიგრძე 80 მმ | 4300 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 7 | პლასტმასის დუბელი N6 | 190000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 8 | თვითმჭრელი სჭვალი(შურუპი) სიგრძე 30მმ მმ | 190000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 9 | სამაგური N53200 (კაბელისათვის4X35; 4X50) | 3000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 10 | მაერთებელი კოლოფი გაყვანილობის ამონტაჟთან მისაერთებლად | 20000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 11 | მაერთებელ კოლოფში ჩასასმელი კლემნიკი | 17000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 12 | სამაგრი(ანკერები კარადების კედელზე დასამაგრებლად) მ 10 | 7000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 13 | ქანჩ-ჭანჭიკი მ 8 (სიგრძე 25მმ) | 1900 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 14 | ქანჩ-ჭანჭიკი მ 10 (სიგრძე 25მმ) | 8000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 15 | საყელური ("შაიბა") მ 10 ჭანჭიკზე | 14000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| 16 | გოფრირებული მილი (კაბელის დასაცავად [illegible]) | 5000 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |

**შესასყიდი საქონლის დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.**

აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად,(ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის განმავლობაში) ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წლის 8 დეკემბრის 16:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. N6, ტელ: **387199, 387499**

სავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):

2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):

3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):

4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენდტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია:

2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;

4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მისამართზე - სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, ონიაშვილის N6, **2005 წლის 12 დეკემბრის 16:00 საათამდე**,

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მოსაწოდებელი საქონლის ნიმუშები. დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

პრეტენდენტები თითოეულ ლოტზე წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - **გიორგი თათილაშვილს, ტელ: 38 71 99, (შიდა - 229 ან 259) ელ.ფოსტა - giorgi.tatilashvili@uedc.ge, ონიაშვილის N6**


ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკა საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე 6% წლიური აშშ დოლარში და 8% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ 10% წლიური დოლარში და 13,5% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკა საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე


# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის პლასტიკური ბარათების დამზადებაზე და შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდებაზე 2 წლის ვადით, რისთვისაც იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაფინანსების წყარო - 2006-2007 წწ სახელმწიფო ბიუჯეტები

შესყიდვის ობიექტი

1. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის პლასტიკური ბარათები (სულ 400000 ერთეული) და მათი პერსონალიზაციისათვის აუცილებელი ტექნიკა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და სახარჯი მასალები.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე (უცხოეთის ფირმებისათვის შესაძლებელია ორიგინალი და ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 დეკემბრის 12 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი).

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობები შესაბამისი ორგანოებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის დამატებითი მოთხოვნა.

4.1. ტენდერში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს პირველი კატეგორიის "განსაკუთრებით დაცული" მკაცრი აღრიცხვის ფორმების ბეჭვდის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. ტენდერში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სუბკონტრაქტორთან ერთად.

6. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზევით აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ მე-3 და მე-4 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

7.სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის პლასტიკური ბარათების ნიმუშები დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ნოემბრის N955 ბრძანებულებით, ხოლო ტექნიკური აღწერილობა და დამცავი ნიშნები დარეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ: "მძღოლის მოწმობის ბლანკი" და "მძღოლის მოწმობის პლასტიკური ყდის" ნიმუშების რეგისტრაციის N11-0229, "ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ბლანკის და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის პლასტიკური ყდის ნიმუში" რეგისტრაციის N11-0230.

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.

9. პროდუქციის მოწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისი გ. გულუას ქ. N10 ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 დღისა. პროდუქციის I პარტიის მიწოდების სავალდებულო ვადაა არაუგვიანეს 2006 წლის 20 მარტისა, ხოლო უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2007 წლის 30 ნოემბერს.

10. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 2005 წლის 19 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

11 .სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

12. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95.

*სატენდერო კომისია*

ჰოლანდიის სამეფოს საელჩო მოხარულია გაცნობოთ, რომ იგი გადავიდა თავის ახალ ოფისში, რომელიც მდებარეობს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" უკანა მხარეს (ყოფილი ბრიტანთის სალეჩო).

საელჩო განაახლებს მუშაობას 2005 წლის 5 დეკემბერს.

საკონსულო განყოფილება ღიაა ორშაბათიდან ხუთშაბათამდე 9:30-დან 13:00 საათამდე.

ტელეფონისა და ფაქსის ახალი ნომრებია:

| | |
|---|---|
| **საელჩოს ტელეფონი** | 27 62 00 |
| **საელჩოს ფაქსი** | 27 62 32 |
| **საკონსულო განყოფილების ტელეფონი** | 27 62 22 |
| **საკონსულო განყოფილების ფაქსი** | 27 62 33 |

ფეხბურთი

# რონალდინიო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია



ანდრეი შევჩენკო აღარ არის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. "ფრანს ფუტბოლის" ვერსიით კონტინენტის საუკეთესო მოთამაშის პრიზი ბრაზილიის ნაკრებისა და ესპანეთის "ბარსელონას" ფეხბურთელს რონალდინიოს გადაეცა.

"ოქროს ბურთი" ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს 1956 წლიდან გადაეცემა. ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობას იღებენ ძველი სამყაროს საუკეთესო საფეხბურთო ჟურნალისტები. შარშან ტიტული უკრაინის ნაკრებისა და "მილანის" ფორვარდს ანდრეი შევჩენკოს ერგო. მაშინ შევჩენკომ სწორედ რონალდინიოსა და პორტუგალიელ დეკუს აჯობა. ამჯერად კი ბრაზილიელი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ხმის მიცემის პროცესი 28 ნოემბერს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ წლიდან წლამდე ისე ხდება, რომ ინფორმაცია პრესაში დროზე ადრე ჟონავს. ესპანელმა ჟურნალისტებმა და მათთან ერთად მთელმა მსოფლიომ ინფორმაცია რონალდინიოს ლაურეატობის შესახებ ვადაზე ადრე გამოაქვეყნეს.

"ოქროს ბურთის" გადაცემის მთელი ისტორიის განმავლობაში რონალდინიო "ბარსელონას" მეხუთე ფეხბურთელია, ვისაც ესოდენ დიდი პატივი ერგო. ადრე ამ ტიტულს ფლობდნენ ლუის სუარესი (ორჯერ), იოჰან კრუიფი, ხრისტო სტოიჩკოვი და რივალდო. კიდევ იყვნენ რონალდო და ლუიშ ფიგუ, მაგრამ მათ ჯილდო სხვა კლუბის ფეხბურთელთა რანგში მიიღეს.

საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში რონალდინიომ ხმების თითქმის ორმაგი რაოდენობით აჯობა "ჩელსის" ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდს. მესამე ადგილზე კი "ლივერპულის" ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი გავიდა. შარშანდელი ტრიუმფატორი ანდრეი შევჩენკო რონალდინიოს საგრძნობლად ჩამორჩა – საბოლოო ჯამში მეხუთე ადგილზე გავიდა.

თუმცა რონალდინიომ, რომელიც ფიფამ შარშან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა, თავისი თამაშით დაადასტურა, რომ მართლაც საუკეთესოა ევროპაში. ამასწინანდელ მატჩში კი მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ რონალდინიო საოცრად გამოიყურებოდა და "რეალის" კარში სამიდან ორი უპასუხო გოლი გაიტანა. ასე რომ, 25 წლის რონალდინიოს საბოლოო გამარჯვებას არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია.

"ჩემი ოცნება ასრულდა. მე აქ კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელთა გარემოცვაში ვიმყოფები, რომლებიც გამარჯვებას მილოცავენ, - განაცხადა რონალდინიომ ჯილდოს გადაცემის შემდეგ, - ეს ახალ ძალებს მმატებს იმისთვის, რომ, როგორც ფეხბურთელი, კიდევ უფრო დავიხვეწო. ბედნიერი ვარ იმით, რომ მაქვს საშუალება გავაკეთო ის, რაც ყველაზე უფრო მიყვარს - ვითამაშო ფეხბურთი. ამით შემიძლია ადამიანები უფრო ბედნიერი გავხადო. ეს ძალიან მაგარია".

# TOPმწვრთნელთა სია ტოპმიოლერით იწყება

მიხეილ აბაიშვილი



შვეიცარიიდან ახალდაბრუნებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინ მეტად ყურადსაღები და დამაინტრიგებელი პრესკონფერენცია გამართა, სადაც პირველად გაისმა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების კანდიდატთა კონკრეტული გვარები. პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ფედერაციის თითქმის ყველა უმაღლესმა ჩინმა. პრეზიდენტს გვერდს უმშვენებდა სამივე ვიცე-პრეზიდენტი – რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე, დიმიტრი რამიშვილი და გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა. თითქმის ორი კვირაა, რაც ეს გუნდი ახალი მწვრთნელის მოძიების საკითხზე მუშაობს და ამ მიმართულებით საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. გუშინ დასახელებული მწვრთნელების ვინაობა ყველაზე მომთხოვნი გულშემატკივრის ამბიციას დააკმაყოფილებს.

“როდესაც ამ საკითხზე დავიწყეთ მუშაობა, ჩვენს გაფართოებულ სიაში თხუთმეტამდე სპეციალისტის გვარი ეწერა, რომელთა დასახელებისგან გასაგები მიზეზების გამო თავს ვიკავებდით. დღეს ეს სია მეტ-ნაკლებად გაიცხრილა და დარჩა რამდენიმე კანდიდატი. მათთან უკვე კონკრეტულ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. მეტიც: უახლოეს მომავალში იგეგმება მათი ვიზიტი საქართველოში და მოლაპარაკებები თბილისში გაიმართება. პირველ რიგში ეს ეხება ცნობილ გერმანელ მწვრთნელს კლაუს ტოპმიოლერს, რომელიც თანახმაა ამ საკითხზე ჩვენთან გამართოს დიალოგი. მისი ვიზიტის ზუსტი თარიღი უახლოეს დღეებში გაირკვევა. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ აგრეთვე სრეჩკჯო კატანეცთან. ჩვენს სიაში კიდევ რამდენიმე გვარი ფიგურირებს. ბენიტო ფლორო, ნეესკენსი, ბორა მილუტინოვიჩი, ფრანსისკო მატურანა. არ არის გამორიცხული, უახლოეს დღეებში ეს სია კიდევ უფრო გაიცხრილოს, რომელიმე ახალი კანდიდატურაც დაემატოს”, - განაცხადა გოგი ქავთარაძემ.

კლაუს ტოპმიოლერის ჩამოსვლა ყველაზე ადრეა სავარაუდო. ჩვენი ინფორმაციით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში “ლევერკუზენის” გამყვანი ეს გერმანელი მწვრთნელი საქართველოს 9 ან 10 დეკემბერს ეწვევა. ისიც შევიტყვეთ, რომ ჰერ ტოპი თანამედროვე საფეხბურთო საზომებით არც ისე უსაშველო ანაზღაურებას ითხოვს – 1 მილიონ ევროს შესარჩევ ციკლზე, ანუ ორწლიან პერიოდზე. თუმცა, ჯერ ძნელია იმის თქმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეძლებს თუ ვერა ამ თანხის გადახდას. ყოველ შემთხვევაში, ნოდარ ახალკაცს სპონსორებთან ერთად სახელმწიფოს იმედიც აქვს.

“სახელმწიფო სპორტული სტრუქტურების ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას კვალიფიციური და ავტორიტეტული უცხოელი სპეციალისტის მონახვის რეკომენდაცია მოგვეცა. იქვე ითქვა, რომ სახელმწიფო მისთვის ხელფასის გადახდის თანადაფინანსების ვალდებულებას აიღებდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნამდვილად არა აქვს ისეთი ბიუჯეტი, რომ ჩვენი ძალებით მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი ჩამოვიყვანოთ. ასეც რომ იყოს, იმ პირობებში, როცა საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა სრულიად გაჩანაგებულია, უფლებაც არა გვაქვს, ამ საკითხის გამოსწორებაზე არ ვიზრუნოთ და მილიონები მწვრთნელის ხელფასებში გადავიხადოთ. სპორტის სამინისტროში შეხვედრისას ჩვენთვის არ განუსაზღვრავთ, სახელმწიფოს მხრიდან რა ოდენობის თანადაფინანსებაზე იქნება საუბარი. ამიტომ ჩვენ შევარჩევთ რამდენიმე ვარიანტს, შევეცდებით ფასისა და ხარისხის შეძლებისდაგვარად ოპტიმალურ თანხვედრას, შემდეგ კი ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით გადავწყვეტთ, რომელ მწვრთნელზე გავაკეთოთ არჩევანი”, - განაცხადა ნოდარ ახალკაცმა.






## მოკლედ

### შედგა დსთ-ის ჩემპიონთა თასის კენჭისყრა

მოსკოვში დასრულდა დსთ-ის მე-14 საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის - დსთ-ის ჩემპიონთა თასის კენჭისყრა. ტურნირი რუსეთის დედაქალაქში 2006 წლის 14-22 იანვარს გაიმართება. ტურნირის მონაწილეები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ:

**A ჯგუფი:** ცსკა (მოსკოვი), დინამო (თბილისი), პახტაკორი (ტაშკენტი), ტვმკ (ტალინი).

**B ჯგუფი:** ნეფთჩი (ბაქო), აკტობე (აკტუბინსკი), ვახში (ყურღან-ტიუბე ტაჯიკეთი), მეტალურგი (ლიეპაია).

**C ჯგუფი:** შახტარი (დონეცკი), შერიფი (ტირასპოლი), მტტუ (აშხაბადი), დორდოი-დინამო (ნარინი, ყირგიზეთი).

**D ჯგუფი:** პიუნიკი (ერევანი), შახტიორი (სოლიგორსკი), ეკრანასი (პანევეჟისი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (19 წლამდე უკონკურსოდ).

თავიდან გუნდები ჯგუფურ ეტაპზე სამ მატჩს გამართავენ - 14, 15 და 17 იანვარს. შემდეგ დაიწყება პლეი-ოფი. 18 იანვარს მეოთხედფინალში ითამაშებენ - ა1 — გ2, D1 — ჟ2, გ1 — ა2, ჟ1 — D2. ნახევარფინალში 20 იანვარს ერთმანეთს შეხვდებიან - ა1/გ2 — D1/ჟ2, გ1/ა2 — ჟ1/D2. ხოლო ფინალური მატჩი 22 იანვარს გაიმართება.

ვინაიდან ტურნირი სპონსორების გარეშე დარჩა წელს, საპრიზო ფონდი არ გათამაშდება.

### აილტონი დააჯარიმეს

თურქული "ბეშიქთაშის" ბრაზილიელი ფორვარდი აილტონი 82 ათასი ევროთი დააჯარიმეს. ამის მიზეზი თურქეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში "სივასპორთან" აილტონის უხეში მოქცევა გახდა. მაშინ ბრაზილიელი მინდვრიდან გააძევეს. აილტონმა წითელი ბარათი პირველი ტაიმის შუაში მიიღო. შეხვედრის ბოლოს კი კორან ავჩიც მიაბრძანეს მინდვრიდან და "ბეშიქთაშს" ცხრა კაცით მოუხდა მატჩის დასრულება.

### "გიმარაეში" ფლავიუს გარეშე?

პორტუგალიის "გიმარაეშის" ნახევარმცველმა ფლავიუმ შეიძლება გამოტოვოს უეფას თასის მატჩი ესპანური "სევილიას" წინააღმდეგ, რომელიც ხუთშაბათს უნდა გაიმართოს. ფეხბურთელს ტერფი აწუხებს, რომლის გამოც მან გამოტოვა პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩი ლისაბონის "სპორტინგის" წინააღმდეგ (2:0).

### აბელ შავიერი აპელაციას შეიტანს

ინგლისური "მიდლსბროს" პორტუგალიელმა მცველმა აბელ შავიერმა უეფას აცნობა, რომ აპირებს აპელაცია შეიტანოს 18-თვიანი დისკვალიფიკაციის გამო, რომლითაც ის დასაჯეს. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელი მას შემდეგ დაისაჯა, რაც მის ორგანიზმში დოპინგის კვალი აღმოაჩინეს.

### "რეალის" მცველი ცილისწამებისთვის დასაჯეს

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ კლუბის მთავარი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშემბურგოს თანაშემწე პაულო კამპოსი დასაჯა. ეს სასჯელი მოჰყვა კამპოსის სიტყვებს, რომელმაც გუტი სიმულაციაში ამხილა. მან თქვა, რომ "ბარსელონასთან" მატჩის წინ გუტიმ ტრავმა გამოიგონა, რათა თამაში გამოეტოვებინაო.

"დიახ, ამ სიტყვებმა უსიამოვნება მოგვიტანა, - განაცხადა "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა, - ის (კამპოსი) გათავისუფლებული არ იქნება, მაგრამ ჩვენი შიდაგუნდური წესის თანახმად დაისჯება.




# დეპოზიტი თუ ობლიგაცია - "საქართველოს ბანკი" არჩევანის საშუალებას იძლევა

*"საქართველოს ბანკმა" საკუთარი კორპორატიული ობლიგაციების მეორე ტრანშის განთავსების შედეგად ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ობლიგაციები გაყიდა. ასე რომ, 2005 წლის 2 სექტემბრიდან დღემდე ბაზარზე განთავსებული "საქართველოს ბანკის" ობლიგაციების მთლიანი მოცულობა 1 მილიონ ლარს აღემატება.*

ნინო ნარჩემაშვილი

აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი წლიური 11 პროცენტით განისაზღვრა და საპროცენტო სარგებლის გადახდა წელიწადში ორჯერ განხორციელდება. ორივე ტრანშით გამოშვებულ ობლიგაციებს დაფარვის ვადა 2007 წლის 2 სექტემბერს უწევს. ბანკის საინვესტიციო საბანკო შვილობილი კომპანია "გალტ & თაგგარტ სიქიურითის", რომელიც ბანკის ობლიგაციების განთავსების აგენტს წარმოადგენს, აგრძელებს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციებით ვაჭრობასა და მათ კოტირებას. "გალტ & თაგგარტ სიქიურითის" ასევე მონაწილეებს სხვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში, როგორიც არის, მაგალითად "პროკრედიტბანკის" ახლადემიტირებული ობლიგაციები.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ლადო გურგენიძის განცხადებით **"მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ "საქართველოს ბანკის" ობლიგაციების მფლობელების ბაზა დივერსიფიცირებულია, რადგან მეორე ტრანშით გამოშვებული ობლიგაციების 38% შეისყიდეს ფიზიკურმა პირებმა. პირველად არარეზიდენტმა ინვესტორებმა შეიძინეს ტრანშის ერთი მესამედი".**

"საქართველოს ბანკის" აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვის და პირადი ბანკირის სამსახურის უფროსის გიორგი ფარესიშვილის თქმით, **"ეს არის მორიგი ნაბიჯი, გადადგმული საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გზაზე. აღსანიშნავია, რომ "საქართველოს ბანკი" პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც კორპორატიული ფასიანი ქაღალდი გამოუშვა და სტიმული მისცა სხვებს ანალოგიური გზით წასულიყვნენ დამატებითი სასესხო კაპიტალის მოსაზიდად".**

რაც შეეხება ობლიგაციების უპირატესობას, გიორგი ფარესიშვილის განმარტებით, **"ობლიგაცია წარმოადგენს საბანკო დეპოზიტის უკეთეს ალტერნატივას მათთვის, ვისაც დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები გააჩნია, მაგრამ არ სურს მათი განთავსება დეპოზიტზე, მისი ლიკვიდურობის მომენტიდან გამომდინარე, ანუ უფრო მარტივად რომ ითქვას, ობლიგაციის გაყიდვა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი მეორად ბაზარზე (საქართველოს შემთხვევაში საქართველოს საფონდო ბირჟაზე), ხოლო დეპოზიტზე შეტანილი თანხის ვადაზე ადრე გამოტანა შეუძლებელია ჯარიმების ან ფინანსური დანაკარგების გარეშე".**


БАЛТИКА

ბალტიკა




## "ბალტიკას" საერთაშორისო აღიარება

### "ბალტიკა" სკანდინავიის ლუდის ფესტივალზე

წელს, "ბალტიკა" რუსეთის კომპანიებიდან ერთადერთი წარმომადგენელი იყო სკანდინავიის ლუდის ფესტივალზე.

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართული სკანდინავიის ლუდის ფესტივალის 100 ათასმა მონაწილემ კომპანია "ბალტიკას" ევროპული სტანდარტები და პროდუქციის მრავალფეროვნება ერთხმად აღიარა.

ფესტივალის 4 დღის განმავლობაში 2 ათასი ლიტრი "ბალტიკა" დაილია, გათამაშდა უამრავი პრიზი, კომპანიის მიერ ორგანიზებული კონკურსების გამარჯვებულებს კი ლუდი "ბალტიკა" და სუვენირები გადაეცათ.

ფესტივალის ბოლო დღეებში სტუმრებს შეეძლოთ თვალი ედევნებიათ სახელგანთქმული დირიჟაბლისათვის - "ბალტიკა", რომელსაც რუსეთის საჰაერო ნაოსნობის კლუბის პრეზიდენტი გენადი ოპარინი მართავდა.

"ბალტიკას" მიმართ ინტერესი ბალტიისპირეთის ქვეყნებში დღითიდღე იზრდება. წელს 6 თვეში კომპანიამ აქ 71 ათასი ლიტრი, შარშანდელთან შედარებით 2,5-ჯერ მეტი, ლუდი შეიტანა.

### "ბალტიკა" - ჟიურის შემადგენლობაში

კომპანია "ბალტიკას" წარმომადგენელი მიუნხენის ლუდის საერთაშორისო კონკურსის ჟიურიში მიიწვიეს.

ლუდსახარშ "ბალტიკა-როსტოვის" მთავარი ლუდმხარშავი დენის ტოკმაკოვი ლუდის წარმოებაში 10-ზე მეტი წელია საქმიანობს და ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტად არის მიჩნეული.

წელს, ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო კონკურსის ისტორიაში პირველად, ჟიურის შემადგენლობაში რუსი ექსპერტის მიწვევა კომპანია "ბალტიკას" უდიდესი საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი დადასტურებაა.

### "ბალტიკა" ბერლინის ლუდის ფესტივალზე

ბერლინის ლუდის საერთაშორისო ფესტივალზე კომპანია "ბალტიკა" უკვე მესამედ მიიწვიეს.

ფესტივალი, რომელსაც გერმანიის დედაქალაქი უკვე მეცხრედ მასპინძლობდა, მსოფლიოში უდიდესია. წელს აქ 80 ქვეყნის 240 ლუდსახარშმა 1750 სახეობის პროდუქცია წარმოადგინა.

კომპანია "ბალტიკამ" სტუმრებს ლიდერი ბრენდის - "ბალტიკას" სრული ასორტიმენტი შესთავაზა, მათ შორის, პოპულარული "ბალტიკა N7 საექსპორტო" და "ბალტიკა N8 ხორბლის", რომლებმაც უმაღლესი ხარისხისა და განსაკუთრებული გემოს გამო ლუდისმოყვარულთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს.

ევროპული ხარისხის რუსული ლუდისადმი გერმანიაში ინტერესი დიდია. "ბალტიკა" აქ 2000 წლიდან იყიდება და საკმაოდ წარმატებითაც. მხოლოდ შარშან კომპანიამ გერმანიაში 98 ათასზე მეტი დალი ლუდის ექსპორტი განახორციელა.

### "ბალტიკა" - მიუნხენის საერთაშორისო ფესტივალზე

კომპანია "ბალტიკას" პროდუქციამ მიუნხენში გამართულ ლუდის ინდუსტრიის ყველაზე პრესტიჟულ კონკურსზე - Brewing Industry International Awards 2005 გაიმარჯვა.

ეს კონკურსი 1886 წლიდან იმართება და მასზე მიღებულ მედალი თავისებური "ოსკარია" ლუდის წარმოებაში, რომელსაც ყოველწლიურად ასობით კომპანია ერთმანეთს ეცილება. სასმელის ხარისხთან და გემოვნურ თვისებებთან ერთად ექსპერტები ლუდის კომერციულ წარმატებებსაც აფასებენ.

წელს, ნომინაციაში "მაგარი ლუდი" - ალკოჰოლის შემცველობა 7-დან 11,5 %-მდე "ბალტიკა N6 პორტერმა" ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ასევე წარმატებული იყო კომპანიის დებიუტი შარშან, როდესაც ლუდმა "ბალტიკა N8 ხორბლის", რუსეთიდან ერთადერთმა, ნომინაციაში "სპეციალური ლუდი" ბრინჯაოს მედალი აიღო.

### "ბალტიკა" - ფესტივალზე კიოლნში

კომპანია "ბალტიკა" უკვე მეორედ მონაწილეობდა კვების პროდუქტების საერთაშორისო გამოფენაში - გერმანიის ქალაქ კიოლნში.

აღნიშნული გამოფენა მხოლოდ ბიზნესსექტორისათვის იმართება და ახალი საქმიანი კავშირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გასაცნობი საუკეთესო ადგილია. წელს, ამ მიზნით, კიოლნში 23 ქვეყნის 89 ლუდის მწარმოებელი კომპანია შეიკრიბა.

კომპანია "ბალტიკამ" გამოფენაზე დამთვალიერებელს პოპულარული ბრენდების - "ბალტიკასა" და "მედოვოეს" სრული ასორტიმენტი შესთავაზა, მათ შორის, ჩამოსასხმელი ლუდი "ბალტიკა N7 საექსპორტო" და "ბალტიკა N8 ხორბლის".

## ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭოს

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში თანამედროვე მაღალპროდუქტიული ტექნოლოგიების დანერგვა და მეურნეობების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლება. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარებით მიმდინარე "სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების" პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო. საბჭო კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს იმ ორგანიზაციებზე, რომელთა მხრიდანაც შემოთავაზებული იქნება თანამედროვე აპრობირებული ტექნოლოგიების დანერგვა, დემონსტრირება და გავრცელება, რომლებიც პირდაპირ პასუხობენ ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობის ამაღლების, საქონელწარმოების ზრდისა და პროდუქციის რეალიზების პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას.

ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო აცხადებს კონკურსს 2005-2006 წლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გრანტების მოსაპოვებლად შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

**1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი დამუშავება, დახარისხება, დაფასოება და საბითუმო რეალიზციისთვის მომზადება დამზადების პუნქტებში**

**2. სასათბურე მეურნეობების განვითარება**

***კონკურსში დამოუკიდებლად ან ერთობლივად მონაწილეობის უფლება აქვთ:***

- კერძო აგრო-სამრეწველო კომპანიებს, საწარმოო გაერთიანებებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ აგრარულ სფეროში და ეწევიან სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევით ან ექსპერიმენტული მუშაობას;
- ფერმერულ ასოციაციებს, კოოპერატივებს და სხვა ფერმერულ ორგანიზაციებს;
- სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს;
- სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ტექნოლოგიების გამავრცელებელ ორგანიზაციებს.

**კონკურსში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება არა აქვთ ფიზიკურ პირებს და "ინდივიდუალური მეწარმის" სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირებს.**

*საორგანიზაციო საკითხები:*

კონკურსანტები წარმოადგენენ განაცხადს, რომლის წარმოდგენის საბოლოო ვადაა **2006 წლის 10 იანვარის 17.00 საათი .** განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი 12 ზომის შრიფტით 1,5 ინტერვალით, დანომრილი გვერდებით, აკინძული ცხრილებთან და ქვემოთ ჩამოთვლილ დანართებთან ერთად, სამ ეგზემპლიარად. ამავე დროს განაცხადის ძირითადი ტექსტი ცხრილებთან ერთად (დანართების გამოკლებით) წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, დისკეტაზე შენახული ფაილის სახით.

**დანართი 1. (სავალდებულო)**
წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები;

**დანართი 2. (სავალდებულო)**
საკონსკურსო განაცხადში წარმოდგენილი აპრობირებული მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პატენტი, საავტორო უფლება, ან სარეკომენდაციო წერილი მაპროფილებელი ორგანიზაციიდან.

**დანართი 3. (სავალდებულო)**
პროექტის განხორციელების ადგილზე პროექტში მონაწილე ფერმერებისა ან/და ორგანიზაციების მიერ შენობა-ნაგებობების (მათი არსებობის შემთხვევაში) საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები; მათი ექსტერიერისა და ინტერიერის, აგრეთვე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი საწარმოო საშუალებების (მათი არსებობის შემთხვევაში) ამჟამინდელი მდგომარეობის სრულყოფილად ამსახველი ფოტომასალა, ამ ობიექტების გეგმა-ნახაზი, ადგილმდებარეობის ზუსტი აღწერა და მისამართი.

**დანართი 4. (თუ არსებობს თანამონაწილე ორგანიზაცია)**
ხელშეკრულებები წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს შორის ჩასატარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ.

**დანართი 5. (თუ არსებობს ასეთი წინასწარი გარიგებები)**
ხელშეკრულებები წამყვან ორგანიზაციასა და მონაწილე ფერმერებს შორის ჩასატარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ.

**დანართი 6. (თუ არსებობს ასეთი წინასწარი გარიგებები)**
ხელშეკრულებები წამყვან ორგანიზაციასა და სავაჭრო ობიექტ(ებ)ს შორის სარეალიზაციო პროდუქციის სახეობისა და ჩაბარების პირობების ჩვენებით.

**დანართი 7. (სავალდებულო)**
პროექტის ხელმძღვანელის და ძირითად მონაწილეთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV).

**დანართი 8. (სავალდებულო)**
კონკურსანტის მიერ განაცხადში დასახელებული ტექნოლოგიების დასანერგად შესაძენი ძირითადი აპარატურისა და მანქანა-დანადგარების მწარმოებლებისა და მომწოდებლების (მინიმუმ სამი) ჩანონნათვალი მათი ზუსტი რეკვიზიტების და საქონლის დეტალური ტექნიკური მახასიათებლების მითითებით. (თუ შესასყიდი საქონლის ან სამუშაოს ფასი აჭარბებს 10.000 აშშ დოლარის ექვივალენტს, მაშინ საქონლის ეროვნულ/საერთაშორისო შესყიდვას დახლიდან და მცირე სამუშაოს შესყიდვას პროექტის სახსრებით ახორციელებს პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ადმინისტრაციული ბირთვი "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების ფარგლებში შესყიდვების წარმოების სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით (გამოცემული 1995 წლის იანვარში და რედაქტირებული 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში)).

გამოცხადებული ვადების გასვლის შემდეგ საკონკურსო განაცხადები აღარ მიიღება.

კონკურსის მსვლელობის ყოველ ეტაპზე საკონკურსო გრანტების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და ხელმეორედ განხილვას არ ექვემდებარება. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელება შეიძლება დაიწყოს არა უადრეს 2006 წლის 1 აპრილისა.

პროექტის მომზადებისთვის გაწეულ ნებისმიერ ხარჯს საკუთარი სახსრებით ფარავენ თავად კონკურსანტები. დამარცხების შემთხვევაში კონკურსანტს გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

საგრანტო განაცხადის მომზადების დაწყებამდე კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აუცილებლად უნდა გაეცნონ მეთოდურ მითითებებს პროექტების კონკურსზე წარსადგენი განაცხადის შესადგენად. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნოში ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განაცხადების მომზადებაში კონკურსანტებისადმი დამატებითი დახმარების გაწევის მიზნით 2005 წლის 8 და 20 დეკემბერს 14.00 სთ-ზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის დარბაზში ჩატარდება საკონსულტაციო სემინარები.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოგვმართოთ:

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების


**საკოორდინაციო ცენტრი**
**საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო**
**სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა**
**თბილისი 380023, კოსტავას 41,**
**VI სართული, ოთახი 632**
**ტელ. 92 20 45, 92 20 41**


# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მიერ გაზეთ "24 საათის" 2005 წლის 17 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული განცხადებებით გამოცხადებული იყო ორი საკონკურსო ვაჭრობა:

1. მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრება სოფ. მათხოჯის ტერიტორიის დასაცავად- I-უბანი (კონტრაქტი NPCC/IDCDP/CW/NCB/6-2005).

2. მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრება ქ.ხონის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის დასაცავად- II-უბანი (კონტრაქტი NPCC/IDCDP/CW/NCB/7-2005).

გაცნობებთ, რომ მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრებისათვის სოფ. მათხოჯის ტერიტორიის დასაცავად - I-უბანი (კონტრაქტი NPCC/IDCDP/CW/NCB/6-2005) საკონკურსო წინადადებების მიღება გაგრძელებულია 2005 წლის 15 დეკემბრის 11:00 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა; ხოლო მდ. ცხენისწყალის მარცხენა ნაპირის გამაგრებისათვის ქ.ხონის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის დასაცავად- II-უბანი (კონტრაქტი NPCC/IDCDP/CW/NCB/7-2005) საკონკურსო წინადადებების მიღება გაგრძელებულია 2005 წლის 15 დეკემბრის 12:00 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული


**საქართველო, თბილისი, 0123,**
**კოსტავას ქ. 41, ოთახი 224**
**ტელ: +995 32 989924 / 935169**
**ფაქსი: +995 32 934921 / 989924**
**ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge**

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ფოტოფაქტი

## პატივისცემა რუსულად



ფოტოსურათზე აღბეჭდილია რუსეთის მართლმადიდებლური ეპარქიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში, სოფელ კომანში ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე (მე-4 – მე-6 საუკუნეები), "წარმატებულად ჩატარებული" სარესტავრაციო სამუშაოების ნიმუში.

ქართული ტაძრის ნანგრევებზე, ხის მორებით აშენებული რუსული "ბანწ"-ს თუ ფანჩატურის ტიპის "სალოცავი" არის ნათელი მაგალითი ერთმორწმუნე რუსეთის ეპარქიის იმპერიალისტური გეგმისა, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს წინააღმდეგ ერთი მიზნით – დაიქვემდებაროს თავის გამგებლობაში აფხაზეთის ეპარქია.

ჩვენი აზრით, ეს არის ძალიან სახიფათო ტენდენცია, რასაც ჩვენმა საზოგადოებამ ღირსეული პასუხი უნდა გასცეს.

ფოტო მოძიებულია ინტერნეტში აფხაზურ-რუსულ ვებ-გვერდზე.

*აფხაზეთის ა\რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო*

გადარჩენილი ფოტოები



1985 წელი, გალის მეოთხე საშუალო სკოლა, მოსწავლე ახალგაზრდობის შეხვედრა შრომის გმირებთან: თამარ ყუფუნია ზუგდიდიდან, ნორა სექანია გუდაუთიდან, მედეა ლატარია გალიდან, შოთა შარანგია (გალის რაიკომის პირველი მდივანი), მერი გეგეჭკორი (გალის რაიკომის მეორე მდივანი), მაკარ ასვანუა (სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი), ალექსანდრე მოსკალენკო (აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი).

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# სამშვიდობო პროცესი არ უნდა იყოს გაყინული

პირველი გვერდიდან

**- ქალბატონო სალომე, რამდენად შედის საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესებში კონფლიქტების მოგვარება, როცა უამრავი ფული სწორედ მოგვარების პროცესის მართვისათვის გამოიყოფა?**

- მე არასდროს ვარ მომხრე ისეთი ცინიკური დასკვნებისა, თითქოს საერთაშორისო ორგანიზაციების ხელს აძლევს მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობა. საერთაშორისო თანამეგობრობას ყველაზე უფრო მეტად კონფლიქტების გაღვივების ეშინია. ამიტომაც, თუ კონფლიქტის მოგვარების საშუალება არ ჩანს, საერთაშორისო თანამეგობრობას ურჩევნია გაყინული მდგომარეობის შენარჩუნება, რომ არ მოხდეს კონფლიქტის გაღვივება. მათი გულგრილი დამოკიდებულება სწორედ ამაშია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას შეუძლია, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იცხოვროს გაყინული კონფლიქტის პირობებში. თუ სიწყნარე იქნება, მას ეს პრობლემა არსებითად არ აწუხებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთი გულგრილი ვერ ვიქნებით. ჩვენთვის ერთნაირად მიუღებელი უნდა იყოს კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარება და იმათი პოზიცია, ვინც ფიქრობს, რომ კონფლიქტი მუდმივად ასე გაყინული უნდა იყოს. ჩვენთვის მთავარია, რომ სამშვიდობო პროცესი არ იყოს გაყინული. ჩვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ რაც შეიძლება მალე და მძლავრად გავააქტიუროთ სამშვიდობო პროცესი.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტისადმი არის სწორი დამოკიდებულება, მაგრამ როცა მშვიდობიან გზაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ვთქვათ, რას წარმოადგენს ეს გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ხალხს უჩნდება ეჭვი, რომ ჩვენ მშვიდობიან გზაზე ვსაუბრობთ, მაგრამ სხვა რამისთვის ვემზადებით. ეს კი ბადებს იმ უნდობლობას, რომელიც ყველაფერს აფუჭებს.

ამის საპირისპიროდ, როცა ჩვენ ყველას ვაჩვენებთ მშვიდობიანი გზის გეგმას, მაშინ შეგვეძლება ვაიძულოთ საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ წამოგვყვეს ამ გზაზე და იყოს არა მხოლოდ დამკვირვებელი, არამედ ბევრად უფრო აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტის მოგვარებაში.

მე ბევრჯერ მითქვამს გაეროს მეგობართა ჯგუფისთვის, რომ ჩვენ აღარ მივიღებდით მათ პასიურ პოზიციას და რომ კონფლიქტის მოუგვარებლობაზე მათაც უნდა აეღოთ მათი წილი პასუხისმგებლობა. მე მათ მოვუწოდებდი აქტიურობისაკენ იმისათვის, რომ მართლაც გვეგრძნო მათი მეგობრული მხარდაჭერა და საფუძველი არ ჰქონოდა აზრს, თითქოს საერთაშორისო ორგანიზაციები მხოლოდ გაყინული კონფლიქტის შენარჩუნებისთვის არსებობდნენ.

**- თქვენი აზრით, საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო რესურსი ამოწურული არ არის?**

- ამოწურული არ არის, პირიქით. რაც უფრო გაძლიერდება საქართველოში დემოკრატიული წყობა და რაც უფრო ნათლად ვაჩვენებთ, რომ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას ვირჩევთ, მით უფრო გაძლიერდება ჩვენდამი საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და ჩვენც უფრო მეტი უფლება გვექნება, რომ გაცილებით მომთხოვნი გავხდეთ საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი.

**- მივედით იქამდე, რომ პირველ რიგში, ისევ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული სტრატეგია.**

- რა თქმა უნდა. თანაც, ჩვენი სტრატეგიის პირველი ნაწილი უნდა იყოს საზოგადოებრივი ნაწილი. მაგალითად, ჩვენმა მოძრაობამ შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი მოძრაობაა და მე მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივ დონეზე ბევრი საკითხი დაიძრება.

**- თქვენი ინფორმაციით, მიმდინარეობს თუ არა უშიშროების საბჭოში მუშაობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმაზე, რასაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შეგვპირდნენ?**

- ამ პროცესში მე არ ვმონაწილეობდი, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ჩვენი სამინისტრო, ირაკლი ალასანიასა და გოგა ხაინდრავას უწყებებთან ერთად, ვმუშაობდით ახალ სტრატეგიაზე, მაგრამ ეს იყო საწყისი ეტაპი და გრძელდება თუ არა ამჟამად მუშაობა, არ ვიცი.

**- თქვენი აზრით, რამდენად პერსპექტიულია საქართველოს პარლამენტის ულტიმატუმი რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით?**

- ყველა ქვეყნის პარლამენტს შეუძლია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ლაპარაკია სტრატეგიაზე, მაშინ ეს სტრატეგია ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნაბიჯ-ნაბიჯ. მე ასეთი სტრატეგიის შესახებ არაფერი ვიცი. ცხადია, თუ ასეთი სტრატეგია არ არსებობს, მაშინ ჩვენ თავად ვქმნით სერიოზულ გაურკვევლობას – რას ვაპირებთ ულტიმატუმის გასვლის შემდეგ?

**- ყველა ამბობს, რომ აფხაზეთის საკითხში მთავარი რუსეთის ფაქტორია. როგორ შეიძლება ამ ფაქტორის განეიტრალება?**

- რუსეთის ფაქტორის განეიტრალება შეიძლება ორი მხრიდან – ზეწოლა საერთაშორისო თანამეგობრობიდან და ზეწოლა თავად აფხაზეთიდან.

საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა დაიყოლიოს რუსეთი, რომ მისი მოქმედება არ არის სამართლიანი. თუ რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრობა სურს, იქ მიღებული სტანდარტებითა და პარამეტრებით უნდა იმოქმედოს. ასეთი ზეწოლის ნიშნები უკვე არის აშშ-სა და ევროპის მხრიდანაც, რომელიც ცდილობს, სულ უფრო აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტების მოგვარების პროცესებში.

აფხაზეთის მოსახლეობაში რუსეთის მოქმედებები აშკარად აღარ მოსწონთ და რაც უფრო დემოკრატიული გახდება აფხაზი საზოგადოება, მით უფრო გამოჩნდება მასთან მისასვლელი გზები. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკებით აბსურდულია, ვინაიდან ეს იქნებოდა აღიარება იმისა, რომ აფხაზეთში საზოგადოება არ არსებობს. ამიტომ ჩვენ ურთიერთობები, პირველ რიგში, აფხაზებთან უნდა მოვაგვაროთ.

**- თუ არსებობს მსოფლიოში აფხაზეთის კონფლიქტის მსგავსი კონფლიქტების მოგვარების მაგალითი?**

- მსგავსი კონფლიქტი არ არსებობს. ეს არის პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი კონფლიქტები. ამიტომ ვერაფერს შევადარებთ, თუმცა სხვა კონფლიქტებთან ნაწილობრივი მსგავსება არის.

**- მაშინ რა აზრი აქვს კვიპროსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითების განხილვას?**

- ეს მაგალითები შეიძლება საინტერესო იყოს, ოღონდ მაშინ, როცა რუსეთის ფაქტორს მოვიშორებთ და, როგორც შიდა კონფლიქტის დროს ხდება, აფხაზებთან პირისპირ აღმოვჩნდებით.

**- თუ გქონიათ შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან?**

- საგარეო საქმეთა მინისტრს კატეგორიულად ეკრძალება სეპარატისტული მხარის წარმომადგენლებთან შეხვედრა, ვინაიდან ეს მათ აღიარებას ნიშნავს; მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ საზოგადოებრივ დონეზე აფხაზებსა და ქართველებს შორის კავშირი არის.

**- აქვს თუ არა ალტერნატივა სამშვიდობო პროცესს და მოსალოდნელია თუ არა ყველა სამშვიდობო რესურსის უშედეგოდ ამოწურვა?**

- მე მგონია, რომ სამშვიდობო პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია. შეიძლება წარმოვიდგინოთ სამხედრო გამარჯვება, მაგრამ აფხაზეთში სამხედრო გამარჯვება საქართველოს პოლიტიკურ მარცხს ნიშნავს. საქართველო დაკარგავს საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობას, ეკონომიკურად დასუსტდება და ა.შ. ამასთან, სამხედრო გამარჯვებას მოჰყვება ყოველდღიური სისხლის ღვრა და უსასრულო ომის მდგომარეობა. ჩემთვის ასეთ ვარიანტზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. სამშვიდობო გზის გარეშე კონფლიქტების მოგვარების შანსი არ არის.

**- ამასთან დაკავშირებით, რა გეგმები აქვს სალომე ზურაბიშვილის მოძრაობას?**

- ზუსტად ის, რაც გითხარით – გამოუყენებელი სამშვიდობო რესურსების ამოქმედება საზოგადოებრივ დონეზე, რომელიც საერთო სტრატეგიის ერთი ელემენტი უნდა იყოს. მეორეა ეკონომიკური ალტერნატივა – უნდა ამოქმედდეს ყველა შესაძლებელი ერთობლივი ეკონომიკური პროექტი. თუ აფხაზ ხალხს არ დავანახებთ ჩვენს მიმზიდველობას, მაშინ ნდობის მოპოვება შეუძლებელი იქნება.

**- ცნობილი ხომ არ არის თქვენთვის აფხაზური დიასპორის პოზიცია?**

- აფხაზურ დიასპორას ესმის, რომ გაყინული კონფლიქტი ძალიან ცუდად მოქმედებს აფხაზეთის მოსახლეობაზე იმიტომ, რომ მათ აქვთ ძალიან ცუდი დემოგრაფიული მდგომარეობა. რუსეთი კი სულ უფრო და უფრო შედის აფხაზეთში და აფხაზი ერი კარგავს მომავალს.

**- გაქვთ იმედი, რომ ქართველები და აფხაზები შერიგდებიან?**

- თუ ჩვენ შეცდომებს არ დავუშვებთ, თუ გვეცოდინება, სად და რა უნდა დავთმოთ, გამოსავალს ყოველთვის ვიპოვით.

# მინავლებული იმედი

**ომი თუ მშვიდობა - როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი?**

*"ომი თუ მშვიდობა – როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი?" - გაზეთ "24 საათში" 17 ნოემბერს გამოქვეყნებული, გია ჯოხაძის სტატია, პრაქტიკულად, პირველი საჯარო თუ საზოგადოებრივი მცდელობაა, სალად შევაფასოთ კონფლიქტი აფხაზეთში (საქართველო) და ვეძიოთ კონფლიქტის დარეგულირების გზები.*
*ამდენად, თავს უფლებას ვაძლევ, გამოვეხმაურო ავტორს და გაზეთის რედაქციას შევთავაზო მოვლენათა ჩემეული ანალიზი და გამოსავლის გზები.*

ზვიად ალექსიძე
პოლიტოლოგი

"პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული რეზოლუცია, რუსი სამშვიდობოების შესაძლო გაყვანის თაობაზე, ხელახლა აღვივებს აფხაზეთის დაბრუნების მინავლებულ იმედს," - ასე იწყებს გია ჯოხაძე საკუთარ სტატიას.

ავტორისაგან განსხვავებით, პირადად ჩემი მინავლებული იმედი პარლამენტის ამ დადგენილებას ხელახლა არ გაუღვივებია. ამის მიზეზი არა მხოლოდ პესიმიზმია, რომელიც უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მომეძალა, არამედ მწარე რეალობის შეგრძნებაც, რომელსაც სანახაობებით (შადრევნებით, ფეიერვერკებით, გზებით, ფასადებით და ა.შ.) დამტკბარი საზოგადოება და მის მიერ არჩეული ხელისუფლება გაურბის.

ამით იმის თქმა მინდა, რომ სამოქალაქო პაციფიზმის მქადაგებლები (რომლის საპირწონე ანტონიმიც, სხვათა შორის, უფრო მილიტარიზმი უნდა იყოს და არა ტერმინი "პოლიტიკური რეალიზმი"), აგრეთვე, რეალისტები და პესიმისტები კითხულობენ: ნუთუ მართლა ჰგონია ვინმეს, რომ ქართული სახელმწიფო ისეთივე პრინციპული იქნება სამშვიდობოების გაყვანის პროცედურის დაწყებისას, როგორიც იყო რამდენიმე თვის წინ, როდესაც რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის საკითხი განიხილებოდა? ეჭვი, რომ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები ვერ მოახერხებენ პრინციპულობის შენარჩუნებას, ანუ ისევ ბატონ ჯოხაძეს თუ დავესესხებით, ვერ გამოიჩენენ სათანადო ნებას, საკმაოდ დიდია. ამ ეჭვს აღვივებს ისიც, რომ საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ინიციატივას, სავარაუდოდ, არ დაუჭერს მხარს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელმაც იცის, რომ დსთ-ს სამშვიდობო ჯარის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შემთხვევაში გაიზრდება კონფლიქტის არამშვიდობიანი გზით დარეგულირების ალბათობა. რუსეთის მზარდი იმპერიული ამბიციების, აგრეთვე, რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე შექმნილი არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით, არამშვიდობიანი გზით კონფლიქტის დარეგულირების მცდელობა საფუძველი გახდება კავკასიის რეგიონში უფრო მსხვილმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებისა, რაც რეგიონში კაპიტალდამბანდებელი დასავლეთის ინტერესებში არ შედის. ამ შემთხვევაში საფრთხე ექმნება იმ რამდენიმე პროექტს, რომელთა ლობისტიც სწორედ დასავლეთი, უწინარესად, აშშ-ა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთი არ იქნება ჩვენი მხარდამჭერი რუსი სამშვიდობოების გაყვანის დროს. მეტიც, სამშვიდობო კონტინგენტის თეორიული ინტერნაციონალიზაციაც კი წარმოუდგენელია, რადგან სამშვიდობო ჯარი მოქმედებს დსთ-ს ფორმატით და მასში არათუ აშშ-სა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, "რუსთმოძულე" უკრაინელების ჩართვაც კი საეჭვოა.

... და მაინც, რადგან პარლამენტის დადგენილებამ ოპტიმისტებს მინავლებული იმედი გაუღვივა და რადგან ვიღაცას სჯერა, რომ კონფლიქტის დარეგულირება ამ გზით შესაძლებელია, ვალდებული ვართ, ამ გზაზე ხელი არ შევუშალოთ და... გავატაროთ.

ბატონ ჯოხაძეს ნამდვილად ვეთანხმები, რომ კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ჩვენ გვექნება ძალა – პოლიტიკური, სამხედრო, უწინარესად კი, მორალური. ამავე დროს, კითხვა – გვექნება კი ოდესმე ეს მორალური ძალა? – ვფიქრობ, ლოგიკურად ჟღერს. მე მართლა მაინტერესებს, ვართ კი ბოლომდე მართლები კონფლიქტში, რომელიც აპრიორი ჩვენს ტერიტორიაზე გაჩაღდა ჩვენს მიერვე არჩეული ხელისუფლების უნიათობისა და სხვა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო? ვიცით კი ჩვენ, რომ თუნდაც მოხდენილ, აყვავებულ, ლამაზ, ძლიერ, მდიდარ და რაგინდარა საქართველოსთან ენგურგალმა მცხოვრებლებს თანაცხოვრება ჯერჯერობით იმიტომ არ უნდათ, რომ, პრაქტიკულად, ყველა ოჯახში ერთი დაღუპული მაინც არის? ვიცით კი, რომ აყვავებული საქართველოც კი ჯერჯერობით ბოროტი საქართველოს იდენტურია ენგურგალმა მცხოვრები ადამიანებისთვის? ჩამოვყალიბდით თუ არა საკითხში და გარკვეულები ვართ თუ არა საერთოდ, რა გვინდა? - გვინდა ტერიტორია, აფხაზეთის სახით, თუ გვინდა თანაცხოვრება ადამიანებთან, რომლებსაც ვძულვართ, არც არასოდეს ვუყვარდით, რომლებზეც ჯერჯერობით და კვლავინდებურად წარმოუდგენლად დიდია მეზობელი რუსის გავლენა.

საქმეც ის არის, რომ ჩვენ არ ვფლობთ რეალურ ინფორმაციას იმ პროცესებზე, რომლებიც აფხაზეთში მიმდინარეობს, არ ვიცით ციფრები, სტატისტიკა, არ შეგვისწავლია ბაზარი. ჩვენ, მათ მსგავსად, არ გვესმის ადამიანების, რომლებმაც, თავის მხრივ, ჩვენი ძმები გააუბედურეს (300 ათასი დევნილის არსებობაც კი საკმარისი არგუმენტია).

ჩვენ არ გვაქვს მწყობრი, თანმიმდევრული, პრინციპული პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ხშირად ვანაცვალებთ ე.წ პი-არს, რომელიც ადრე უფრო ეფექტური იყო, უკანასკნელ პერიოდში კი მომაბეზრებელია.

მიაქციეთ ყურადღება, ჩვენი საჯარო პირებისა თუ საზოგადოების წარმომადგენლების რიტორიკა, პირობითად, ორშაბათობით მილიტარისტულია, როდესაც მაღალი თანამდებობის პირი ჩნდება ეკრანზე "პატრიოტთა" ბანაკების პირტიტველა ბიჭებთან; პირობითად, სამშაბათობით – კვლავ მილიტარისტული, როდესაც დეპუტატი აფხაზებს დასკვნების გამოტანას სთხოვს სენაკის ბაზის პრეზენტაციისას; ოთხშაბათობით - მშიშარა მილიტარისტული, როდესაც "პარტიზანი" აცხადებს, რომ აღადგენს პარტიზანულ მოქმედებას (ვერ გამიგია, თუ ვინმეს პარტიზანული მოქმედებების აღდგენა სურს, რა საჭიროა ამის ხმამაღლა დეკლარირება); ხუთშაბათობით - ისევ მილიტარისტული, პარასკევობით – პაციფისტური, შაბათობით – კოლაბორაციონისტული, კვირაობით - ისევ გაუგებარი.

უნდა ვაღიარო, რომ ეფექტის მოხდენის მხრივ ამ ხელისუფლებას პრობლემები ჯერ კიდევ არ აქვს, "ნამეტნავად" მოჭარბებული პესიმიზმის დროს, ჩემზეც მოქმედებს საჯარო პირთა თუ რეკლამაში მონაწილე ჯარისკაცთა ანთებული იერი, მაგრამ, როდესაც პარალელურად ვიგებ, რომ ორფოლოს პოლიგონზე ჩატარებული სამხედრო წვრთნების დროს პირობით სამიზნეებად გამოტანილი იყო აბრები წარწერებით – "ცხინვალი" და "სოხუმი", ვრწმუნდები, რომ ამ სახელმწიფოში ოპტიმისტად ყოფნა დანაშაულია, ხოლო რეალიზმი და პესიმიზმი სინონიმებია.

პარალელურად, იმასაც ვიგებ, რომ გაუქმებულია 400-კაციანი ბატალიონი "მონადირე", რითაც "საძულველ" (არა პუშკინის, არამედ ჟირინოვსკის ქვეყნის შვილებს) რუსებს, ფაქტობრივად, ხელ-ფეხი გაეხსნათ კოდორის ხეობის გასაკონტროლებლად. ვიგებ იმასაც, რომ ნახსენებ კოდორის ხეობაში არ სრულდება რეგულარული ავიარეისები, რაც ისედაც გარესამყაროსგან მოწყვეტილ ხეობაში აუტანელ საცხოვრებელ პირობებს ქმნის; რომ კოდორის ხეობაში ახალი სამანქანო გზის გაჭრას, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, დედა-საქართველოს დაუკავშირებდა ხეობას, სულ რაღაც, რამდენიმე მილიონი ლარი სჭირდება და ისიც მესმის, რომ ამ გზის მშენებლობას არავინ აპირებს (დიდუბეში, წერეთლის გამზირზე მცხოვრები, მთელი დიდუბის მოსახლეობის სახელით ვითხოვ, რომ არ დააგოთ გზა წერეთლის გამზირზე მანამ, სანამ ახალ გზას არ გაჭრით კოდორის ხეობაში). პარალელურად ვიგებ, რომ რამდენიმე წლის წინ, მართალია - ყოფილი პრეზიდენტის, მაგრამ, მაინც ჩემი ყოფილი რჩეულის ხანაში, აფხაზები გვთავაზობდნენ აფხაზური პასპორტების დაბეჭდვას თბილისში, მაგრამ ამაზე თბილისში უარი ეთქვათ... უამრავ რამეს ვიგებ.

ამ ვითარებაში, აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივა არ ჩანს და განსხვავებით პატივცემული ავთო ჯოხაძისაგან, არც მინავლებული იმედის ნაპერწკალი ისახება. ამავე დროს, ისიც კარგად მესმის, რომ კონფლიქტის დარეგულირება დროზე, ჩვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებზე და საკუთრივ ჩვენზეა დამოკიდებული. ამიტომ, ვეცდები, გასაგებად წარმოვადგინო ჩემეული გეგმა იმ ქმედებებისა, რომელთა განხორციელებაც დამარწმუნებს, რომ ნებელობითი ფაქტორი არსებობს და ამ ქვეყანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მართლაც შესაძლებელია.

აქვე აღვნიშნავ, რომ საგარეო ფაქტორები (ჩინეთის "ექსპანსია" რუსეთში, კოსოვოს პრობლემა, ნავთობის ფასი) უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ საშინაო პოლიტიკას შევეხები და დისკუსიის გაგრძელების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად არგუმენტირებულად და წვრილად ვისაუბრებ ნახსენებ და სხვა საგარეო ფაქტორებზეც.

**რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რომ აფხაზეთის დაბრუნების მინავლებული ნაპერწკალი უფრო გაღვივდეს?**

ჩვენ (საქართველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ) ხმამაღლა, მაგრამ, ყოველგვარი პი-არის ელემენტების გარეშე, უნდა ვთქვათ, რომ საომარი მოქმედებების განახლება ჩვენს ინტერესებში არ შედის, რადგან ვუფრთხილდებით ენგურსგალმა მცხოვრები ჩვენივე მოქალაქეების სიცოცხლეს, არ გვსურს ახალი სისხლის ღვრა მიუხედავად იმისა, რომ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებები არადემოკრატიულია, ხოლო რეგიონში მოქმედ კრიმინალურ ბანდათა თარეში ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ჩვენ (საქართველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ) უნდა გამოვკვეთოთ და დავადანაშაულოთ მინიმუმ ერთი საჯარო პირი ჩვენი უახლესი წარსულიდან, რომელსაც ღიად, საერთაშორისო თანამეგობრობის გასაგონად და აფხაზთა ყურადსაღებად დავაკისრებთ პასუხისმგებლობას 1992-1993 წლების ტრაგედიაზე, ომზე და მოვლენებზე. ეს უნდა გავაკეთოთ მიუხედავად იმისა, რომ ადეკვატურ ნაბიჯს თავად აფხაზური საზოგადოება არ გადადგამს და თავად ნამდვილად არ გადააბრალებს ყველაფერს ერთ რომელიმე კონკრეტულ პირს, მაგალითად, არძინბას (ჩემი აზრით, ეს პირი უნდა იყოს ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ისედაც ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარზე. ჩემი აზრით, უნდა მოხდეს შევარდნაძის რეჟიმის გასამართლება **მხოლოდ** 1992-1993 წლების მოვლენების გამო და საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე).

ჩვენ (საქართველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ) უნდა გამოვკვეთოთ პირთა ჯგუფი საჯარო მოხელეებიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან კონფლიქტის დარეგულირებაზე, ეს ჯგუფი უნდა აღვჭურვოთ გადაწყვეტილებების მიღების უფლებით, მივცეთ მას სერიოზული ბიუჯეტი, მოლაპარაკებების წარმართვისა და სპეცპროექტების განხორციელების უფლება. ამ პირთა ჯგუფის საქმიანობის მონიტორინგი უნდა მიმდინარეობდეს მუდმივად, მაგრამ ყოველგვარი პი-არის გარეშე.

ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ მეორე პირთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დევნილთა მდგომარეობაზე, მათი უფლებების დაცვაზე, მათ ინტეგრაციაზე საზოგადოებაში და სოციალურ მდგომარეობაზე. ამ ჯგუფს უნდა მიეცეს გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის წარმართვის უფლება.

ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ პრიორიტეტები და ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ვიღვწით დანარჩენი ქვეყნის აღმშენებლობისთვის, მაგრამ თავს ფუფუნების უფლებას არ ვაძლევთ და გადასახადის გადამხდელის ფულით არ ვაფინანსებთ ისეთ პროექტებს, რომელთა დახანებაც დიდად არ შეუშლის ხელს ქვეყნის განვითარებას.

თუ შევჯერდებით და ვიტყვით, რომ საომარი მოქმედებების განახლება უტოპიური გზაა კონფლიქტის დასარეგულირებლად კონფლიქტის ზონაში, აფხაზეთის დაბრუნების მიზნით ფიასკოსთვისაა განწირული (რადგან შეუძლებელია ფსოუს საზღვრის ჩაკეტვა და ისეთი სპეც-ოპერაციის ჩატარება, რომელიც დასრულდება დროის მცირე მონაკვეთში) ნახსენები 5 ნაბიჯი, ჩემი აზრით, აუცილებლად გადასადგმელია. ამავე დროს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ნაბიჯების გადადგმა დროის მცირე მონაკვეთში მოგვიგვარებს პრობლემას, მაგრამ ეს იქნება სიგნალი, ნიშანი, რომ სახელწიფო გამოთქვამს მზაობას, სწორედ მშვიდობიანი გზით დაარეგულიროს კონფლიქტი.

სწორედ ამ შემთხვევაში გაღვივდება ესოდენ პოეტურად ჟღერადი "მინავლებული იმედი".



სტუმრად

მაია ქალაგანიძესთან

# საქართველოს ორი ალტერნატივა

*საბანკო სფერომ საქართველოში საინტერესო გზა გაიარა. იყო წვრილ-წვრილი ბანკები, სესხება და გასესხება, გამოტანა და არდაბრუნება - ეს ისტორია არც ისე დიდი ხნის არის, რომ არ გვახსოვდეს და შედეგებს დღესაც არ ვიმკიდეთ. ბანკის გახსნისთვის 90-იან წლებში საწესდებო კაპიტალად 500 დოლარიც საკმარისი იყო. დღეს კი 12 მილიონიც ცოტაა. ასეთი სხვაობა ბევრ რამეზე მეტყველებს და საერთაშორისო ექსპერტებიც ამბობენ, რომ ეს სფერო ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მაჯისცემას ყველაზე კარგად ბანკები გრძნობენ. ქვემოთ, "თიბისი" ბანკის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე გვიამბობს, ვითარდება თუ არა ბიზნესი საქართველოში, ყალიბდება თუ არა საშუალო ფენა და იციან თუ არა, რა სურთ ბანკში სესხის ასაღებად მისულ ადამიანებს.*

მაია ქალაგანიძე

**- ბანკირები განსხვავებული ხალხია და ეს ვიზუალურადაც ჩანს. რა განსაკუთრებული თვისება უნდა ჰქონდეს, როცა საქმიანობის ამ სფეროს ირჩევს ადამიანი?**

- ჩემი აზრით, ბანკირები ჩვეულებრივი მენეჯერები და ბიზნესმენები არიან. არა მგონია, რომ ნებისმიერი დიდი საწარმოს ხელმძღვანელი პრინციპულად არის განსხვავებული ბანკირისაგან. რა თქმა უნდა, ბანკს თავისი სპეციფიკა გააჩნია ნაწილობრივ კონსერვატიული უნდა იყოს, მაგრამ მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს. მაგალითად – ლიდერობა, ადამიანებთან ურთიერთობა და სხვა.

**- საერთაშორისო ექსპერტები აღიარებენ, რომ საქართველოში საბანკო სისტემა კარგად განვითარებული სფეროა. რა იყო მთავარი სირთულე ამ გზაზე?**

- საბანკო და მთლიანად ფინანსური სექტორის განსავითარებლად მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობაა. როგორი გარემოც არის, მთლიანად სექტორიც იმის მიხედვით ვითარდება. საბანკო სექტორის განვითარების ამოსავალი მაინც სტაბილურობაა. მეორეა – მენტალობა. 90-იან წლებში იყო სამწუხარო ტენდენცია – ადამიანებს სურდათ ბანკიდან ფულის გამოტანა და ნაკლებად იყვნენ ორიენტირებულნი იმაზე, თუ როგორ უნდა დაებრუნებინათ ეს ფული. 90-იანი წლების შუაში ბანკში მოსული 100 კაციდან 98-სთვის უარი უნდა გვეთქვა, რადგან მათ მხოლოდ ფულის აღება უნდოდათ და ვერ ასაბუთებდნენ, სად უნდა წაეღოთ ეს ფული, ან როგორ უნდა დაებრუნებინათ.

დღეს ეს სურათი კარდინალურად შეცვლილია. საზოგადოებამ იცის, რა არის ბანკი და რისთვის უნდა დაუკავშირდეს მას. დღეს ადამიანს გათვითცნობიერებული აქვს, რა ჭირდება მას ბანკისგან, როგორ და რა შემთხვევაში შეიძლება ბანკმა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა.

**- საბანკო სექტორში საკმაოდ კონკურენტუნარიანი გარემოა შექმნილი...**

- ეს ძალიან კარგია.

**- გეთანხმებით, კარგია, მაგრამ, ბანკში მისული მომხმარებელი საკრედიტო პროცენტის სიდიდეს უჩივის. საბანკო სისტემის განვითარების პარალელურად ეს პროცენტი არ მცირდება, რატომ?**

- 6 თვეში რაიმეს კარდინალური ცვლა არ შეიძლება. მაგრამ, თუ ტენდენციას გადავხედავთ და 90-იანი წლებს გავიხსენებთ, 48 პროცენტი იყო, ადამიანი თანახმა იყო, თვეში 4 პროცენტი გადაეხადა. თანდათანობით ეს პროცენტები მცირდება, მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია, დროს მოითხოვს და დაკავშირებულია ქვეყნის რისკიანობის ხარისხთან.

მომავალი წლის გაზაფხულზე სახელმწიფო ქვეყნის რეიტინგს მიიღებს. ეს უცხოელ ინვესტორებს მისცემს სხვა ქვეყნებთან შედარების შესაძლებლობას, რათა შესაბამისად შეაფასონ რისკის დონე. აქამდე საქართველო საერთოდ არ მოხვედრილა რეიტინგებში.

რა თქმა უნდა, უცხოელ ინვესტორებზე ზეგავლენას ახდენს ზოგადად გარემო, კონფლიქტების პრობლემა. ამიტომაც რესურსები, რომელიც ქვეყანაში შემოდიოდა, ძვირადღირებული იყო და, შესაბამისად, ბანკები იძულებულნი იყვნენ, მაღალი პროცენტი შეეთავაზებინათ კლიენტებისთვის. მაგრამ ტენდენციები იმედისმომცემია, პროცენტები ყოველწლიურად სტაბილური ხდება და მცირდება.

"თიბისი" ბანკის რეიტინგის გადაფასება მოხდა და წინ წავიწიეთ. ეს ნიშნავს, რომ მდგომარეობა ჩრდილოვანი ეკონომიკის მხრივაც გაუმჯობესდა. დღეს რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის მსხვილი ბანკებიც დაახლოებით იმ რეიტინგში არიან, რაშიც ჩვენი ბანკი. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს საბანკო სექტორიც განვითარების იმავე დონეზეა, რომელზეც აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები.

თუ მეზობლებს შევადარებთ, ქართული საბანკო სექტორი რამდენიმე საფეხურით წინ არის სომხეთსა და აზერბაიჯანზე.

**- რადგანაც მეზობლებს შევეხეთ – როგორ აისახება გართულებული რუსულ-ქართული პოლიტიკა ამ ორი ქვეყნის საბანკო ურთიერთობებზე?**

- წლევანდლამდე ჩვენს ბანკს რუსეთის ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშები ჰქონდა. ძალიან კარგი პრეცედენტი მოხდა, როდესაც რუსეთის ერთ-ერთმა მსხვილმა სახელმწიფო ბანკმა, "ვნეშტორგბანკმა" მიიღო საქართველოს ბაზარზე შემოსვლის გადაწყვეტილება და გქბ-ს აქციები შეიძინა.

**- რუსეთი საქართველოს ენერგობაზარზეც არის შემოსული და ამ ენერგეტიკულ ბერკეტს პოლიტიკური ზეწოლისთვის ხშირად იყენებს. საბანკო სისტემაში ამის საფრთხე არსებობს?**

- გამორიცხულია. დღეს ქართულ და რუსულ ბანკებს შორის წმინდად საკორესპონდენტო ურთიერთობებია. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასმა აიწია და რუსეთის ეკონომიკა იზრდება, რუსეთის რესურსები მაინც ძვირია. ქართულ ბანკებს რესურსები მოაქვს ევროპიდან, ამერიკიდან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან. აქედან გამომდინარე, დამოკიდებული არ ვართ რუსეთის ბანკებზე. რუსებიც, თავის მხრივ, იგივე რესურსებს იყენებენ, რასაც ქართული ბანკები და რაიმე სახის ზეწოლა გამორიცხულია.

**- რამდენი საკრედიტო საერთაშორისო ხაზი აქვს თქვენს ბანკს და რისი გარანტიაა ეს მომხმარებლისთვის?**

- დაახლოებით, 40-50 მილიონამდე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან იყო მოზიდული და მომავალ წელს ეს კიდევ უფრო გაიზრდება.

დღეს ჩვენს ბანკში მოსახლეობის მესამედი მაინც არის კონცენტრირებული. ნდობა ყველაზე მაღალი აქვს საზოგაოდებაში და ამაში უამრავმა კვლევამ და გამოკითხვამ დაგვარწმუნა. მაგრამ, ქართული რესურსები, დეპოზიტები მოკლევადიანი, მაქსიმუმ ერთწლიანია. მოთხოვნა სესხებზე ბინების მშენებლობისთვის, ბიზნესკომპანიების, ახალი ტექნოლოგიების შეძენაზე - გრძელვადიანია. ქართული ბანკები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდულ რესურსებს გრძელვადიანი პროექტების დაფინანსებისთვის იყენებენ, რაც ეკონომიკური ზრდისთვის ძალიან მიშვნელოვანია.

**- შეიძლება ითქვას, რომ საინვესტიციო გარემოს პულსზე საბანკო სისტემას უდევს ხელი. დღეს სახელმწიფო ამტკიცებს, რომ ბიზნესგარემო უმჯობესდება, ქართველი ბიზნესმენების ნაწილი ასე არ ფიქრობს, რეალურად რა ხდება?**

- სიტუაციას მაინც ოპტიმისტურად შევაფასებდი. რა თქმა უნდა, გარკვეული პრობლემები არსებობს, მაგრამ ტენდენციები დადებითია. მაგალითისთვის - მარტო წელს 10 თვეში ყველა ბანკის საკრედიტო ხაზები 60 პროცენტით გაიზარდა, ასეთი აქტიურობა აქამდე არ ყოფილა. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესებისგან ახალი კრედიტების მოთხოვნა არსებობს. ეს იმის მანიშნებელია, რომ ეკონომიკაც იზრდება და "თეთრდება". ადრე ბიზნესი "ყავისფერი" იყო და ბანკში ვერ მოდიოდა იმიტომ, რომ ის თეთრი არ იყო. ტენდენციები ცალსახად აჩვენებს იმას, რომ სესხებზე მოთხოვნა იზრდება, ახალი პროექტები იწყება, ეს კი ეკონომიკის ზრდას პირდაპირპროპორციულად უწყობს ხელს.

**- საბანკო ბიუროკრატია ერთგვარად კონსერვატორულია. მომხმარებელსა და ბანკს შორის არსებულ ამ ბარიერს რეფორმირება ეხება თუ არა და რა კუთხით?**

- ჩემი აზრით, ბანკებს შორის მაღალი კონკურენცია კარგია. ჩვენ, ბანკები ვალდებულნი ვართ, ყოვლთვიურად და ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი, კომფორტი და იყოს ნაკლები ბიუროკრატია. ეს არის უპირველესი წინაპირობა იმისთვის, რომ ბანკის პოზიციები გაძლიერდეს. ეს წმინდად საბაზრო მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული.

**- შეგიძლიათ თუ არა, თქვათ, რომ საქართველოში საშუალო ფენა ჩამოყალიბდა?**

- ვფიქრობ, რომ საშუალო ფენა ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეა, პოტენციალი კი ძალიან დიდია. წელს საშუალო ფენაზე, ფიზიკური პირების დაფინანსებაზე, დაახლოებით, 25 მილიონი დოლარის სესხი გაიცა, რაც ნიშნავს, რომ ეს სექტორი არსებობს. სახელმწიფო პოლიტიკაც სტაბილურობა და საშუალო ფენის გაძლიერება უნდა იყოს.

**- საბანკო სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებლობის რა წილი აქვს სახელმწიფოს?**

- ზოგადად მაკროეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ბანკების სტაბილურობას განსაზღვრავს, მაგრამ, არ მგონია, რომ ჩვენი მთავრობისთვის დღეს ეს უპირველესი პრიორიტეტი იყოს. მთავარია, ქვეყანაში იყოს სტაბილური ფასები, ინფლაციის დაბალი დონე და ფინანსური სექტორი განვითარდეს.

ბანკების განვითარება, ალბათ, უფრო მეორე რიგის პრიორიტეტია. თუმცა, რაც უფრო მცირეა სახელმწიფო ჩარევა, მით უკეთესია. ეროვნული ბანკი დღეს საკმაოდ მკაცრად არეგულირებს კომერციული ბანკების მუშაობას. კანონით გათვალისწინებულია მკაცრი მოთხოვნები, რომელსაც ბანკები უნდა აკმაყოფილებდნენ. კანონის ლიბერალიზაცია შესაძლებელია და ეს ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის განვითარებას. ამისთვის გარკვეული ნაბიჯები იდგმება. წლის ბოლომდე კანონში "კომერციული ბანკების შესახებ" ცვლილებებია დაგეგმილი და ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ბანკი არის ფულის მოძიების და შემდეგ მისი განთავსების საშუალება. ბიზნესზე "თეთრად" გაცემული სესხი ეკონომიკის ახალი სფეროების დაფინანსებას ნიშნავს. ეს კი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალებაა.



*ვახტანგ ბუცხრიკიძე:*
*"თიბისი" ბანკის გენერალური დირექტორი.*
*სწავლა:*
*ჰარვარდის ბიზნეს სკოლა;*
*ESM-თბილისი;*
*MBA; ჰარვარდის ინსტიტუტი, საბანკო-საფინანსო აკადემია (USAID) "Bank Execution";*
*Joint Vienna Institute - "სტრატეგიული მენეჯმენტი და ლიდერობა";*
*TACIS პროექტი "Management Training in Georgia;*
*იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი, იქამდე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*
*"თიბისი" ბანკში ფინანსთა სამინისტროდან მივიდა და მუშაობა საკრედიტო განყოფილების მენეჯერობით დაიწყო.*

## კარგია, რომ პატარა ქვეყანა ვართ - ძალიან ბევრი ფული არ გვჭირდება.

**- რა რესურსებით მიმდინარეობს ეკონომიკური ზრდა ჩვენს ქვეყანაში?**

- ცვლილებები საგადასახადო კოდექსში სწორად გადადგმული ნაბიჯი იყო. მთავარი კი მაინც სტაბილურობაა. საქართველო პატარა ქვეყანაა. 5 მილიარდ დოლარიანი ინვესტიცია ჩვენს ქვეყანას aაყვავებს. ეს კი მსოფლიოს მასშტაბით პატარა თანხაა. უცხოელებს უნდა დავანახოთ, რომ ვართ სტაბილური ქვეყანა, რომ კარდინალური რყევები არ იქნება.

ორი ალტერნატივა გვაქვს – ყველაფერი ქართველებმა გავაკეთოთ და ამისთვის 100 წელი დაგვჭირდება და მეორე – დავარწმუნოთ უცხოელები, რომ აქ სასურველი გარემოა და ბიზნესის კეთება შეიძლება. ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა წინ ორჯერ და სამჯერ სწრაფად წავა.

დაახლოებით, ათი წელი დავხარჯეთ, რადგან ქვეყანა ნელი ტემპით ვითარდებოდა. ბალტიის ქვეყნების საბანკო სექტორი, რომელთაც ჩვენნაირი სასტარტო მდგომარეობა ჰქონდათ, დაახლოებით, ხუთჯერ დიდია, ეს ჩამორჩენა გვაქვს და თუ ამის სწრაფად დაძლევა გვინდა, ეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდება – უცხოელებს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც ფულის ჩადება შეიძლება.

მეორე მხრივ, კარგია, რომ პატარა ქვეყანა ვართ – ძალიან ბევრი ფული არ გვჭირდება.

**- ძირითადი სურთულეები, რაც ამ სექტორში არსებობს და არის თუ არა ის განსხვავებული იმ სირთულეებისგან, რომელიც ბანკირებს წინა ხელისუფლებს დროს ჰქონდათ?**

- ვერ ვიტყვი, რომ საბანკო სექტორს წინა წლებში რაღაც განსაკუთრებული წინააღმდეგობები ჰქონდა. იმ პერიოდშიც საბანკო სექტორი იყო ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, დარგი, სადაც "თეთრად" მუშაობა შეიძლებოდა.

**- კვალიფიციური განათლების პრობლემა დღეს ყველა დარგში დგას. სად სწავლობს საბანკო საქმეს ბანკირთა ახალი თაობა?**

- აქაც და საზღვარგარეთაც. ამ მიმართულებით ჩვენს ბანკს საკუთარი სტრატეგია აქვს. რადგანაც კვალიფიციური კადრები ჭირს, ერთი გზა სხვა ადგილიდან მათი წამოყვანა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვაა.

**- ბანკში თაობა რამდენ წელიწადში იცვლება?**

- მე რომ მუშაობა დავიწყე, ეს კომპანია ძალიან პატარა იყო. როცა დირექტორი გავხდი, ჩვენი აქტივები მხოლოდ სამი მილიონი ლარი იყო. დღეს - 600 მილიონია. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის მენეჯმენტმა მეტი პროფესიონალიზმი მოითხოვა. თუ ადამიანს სურს, მას ეძლევა შესაძლებლობა, რომ კომპანიასთან ერთად გაიზარდოს. კონკურენცია ვალდებულს გვხდის, ვიფიქროთ თითოეული ადამიანის პროფესიონალიზმზე.

**- ტრადიციულად, საქართველოში დარგებს შიგნით კონკურენციას არასწორად იგებენ. ასეა ჩვენს სფეროში, ბიზნესშიც და სხვაგანაც. ბანკირები როგორ იქცევიან?**

- ჩემს კოლეგებთან სულ ამას ვამბობ – ერთმანეთთან დავის და პრობლემების შექმნის ნაცვლად უმჯობესია, ყველამ ერთად ვიზრუნოთ სისტემური, ინსტიტუციონალური განვითარებისთვის და ამით ყველა ერთად ძალიან მოკლე ვადაში გავიზრდებით.

# პოლიციას და საზოგადოებას შორის ახალი ურთიერთობა დავამკვიდროთ

*თბილისის სკოლების მოსწავლეებს კითხვებზე პასუხობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი გურამ დონაძე*

**- დღეს ბევრი მოიხმარს ნარკოტიკს. ბევრი ერთხელ შეცდა და ციხეში მოხვდა. როგორც ვიცით, უფრო ადვილია დასჯა, ვიდრე დახმარება. არსებობს ნარკოცენტრი, მაგრამ თუ გატარდება ღონისძიებები, რომ დავეხმაროთ ასეთ ადამიანებს?**

დონაძე - ნარკომანია ყველა ჩვენგანის სერიოზული პრობლემაა. ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ მახსოვს ანტინარკოტიკული პროპაგანდა, ასე ფართომასშტაბიანად ეწარმოებინოთ. ჩვენ ეს დავიწყეთ ერთი წლის წინ, დავიწყეთ სენის წინააღმდეგ ბრძოლა. არაერთხელ უთქვამს მინისტრს, რომ სამწუხაროდ, ნარკომანია საქართველოში პრესტიჟულია და ეს იქნება იქამდე, ვიდრე არ მივხვდებით, რომ ნარკომანი არის ყველაზე მიუღებელი ადამიანი და სანამ თითოეული ჩვენგანი არ გავიაზრებთ, რომ ნარკომანს არაფერი ესაქმება ჩვენს წრეში, რომ მისი ცოლობა, მასთან მეგობრობა მიუღებელი და არაპრესტიჟულია...და ეს უნდა დავამკვიდროთ თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენს ოჯახებში. ჩვენ ათი-თერთმეტი კლიპი გვაქვს გადაღებული ჩვენი ძალებით, არაპომპეზური, ყველანაირი კუთხით დანახული, არაერთი წერილი-გამოქვეყნებული, ყოველდღიურად გადის ტელევიზიით ვიდეომასალები, რომ დავიჭირეთ, ამოვიღეთ ამდენი ჰეროინი, ოპიუმი... ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი არსებობის მანძილზე რეკორდი მოხსნა, ამოღებული იქნა ოთხი კილო და რვაასი გრამი შავი წამალი. ეს არის ოპიუმი, რომელიც არის ყველაზე ცუდი ნარკოტიკული საშუალება- ეს ნარკოტიკი სპობს გენოფონდს, ერთხელ რომ გასინჯავ შავ წამალს, შეიძლება იმკურნალო სუბუტექსზე, ჰეროინზე, მაგრამ ოპიუმს აქვს ძალიან ცუდი თვისება, ანუ ის ტვინში სვამს ისეთ სიგნალს, რომ როგორც კი მისი ზემოქმედებიდან გამოდიხარ, ავტომატურად გერთვება სიგნალი, რომ მას ისევ უნდა მიაწოდო ოპიუმი, რომ ამ სიგნალმა "ლომკა" არ მოგგვაროს. ახლა ამას რომ ამოიღებ და კიდევ პრესტიჟულად რჩება მისი შემოტანა, ძალიან გვიჭირს ბრძოლა თავისთავად. ჯერ ერთი ტექნიკური საშუალებები ყველაფერი გვაქვს, მაგრამ აი, სუბუტექსი არის საფრანგეთში მიღებული პრეპარატი, პროფილაქტიკაა და მკურნალობენ ალკოჰოლიკებს, ასევე ნარკომანებს, თუ არ ვცდები, ეს დასალევი პრეპარატია, რომელსაც იღებ და არ ვარდები ე.წ. კაიფში, მაგრამ ჩვენთან, ქართული "ნოუ ჰაუა"- წყალში ადუღებენ, იკეთებენ და კაიფდებიან. რამდენიმე ხნის წინ აქ იყვნენ ფრანგები და იმათაც თქვეს, რომ საფრანგეთიც იწყებს სუბუტექსის წინააღმდეგ ბრძოლას - ჩვენ პრეპარატი გამოვუშვით იმის გამო, რომ ჰქონდა პროფილაქტიკის დანიშნულება, მაგრამ შედეგი სხვა მივიღეთო - ვიღაც გამჭრიახმა ქართველმა იქაც შეიტანა მისი ამგვარი მოხმარება. მე მაღალფარდოვანი ადამიანი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ნარკომანები არიან ავადმყოფები. ნარკომანი არ არის ავადმყოფი, ის სრულიად ჯანმრთელი იყო და მერე დაიწყო ამ ახალი კოქტეილით ცხოვრება. მე არ მესმის ეს პათეტიკა - ავადმყოფები, ვუმკურნალოთ, გადავარჩინოთ. მას მთელი ცხოვრება ნაშველი ჰქონდა და გახდა ნარკომანი, იმიტომ რომ, ალბათ ძალიან ბევრი ფული ჰქონდა და არ იცოდა სად გადაეყარა ის ფული, ან მიაჩნდა რომ ეს იყო ძალიან პრესტიჟული, რომ მაგარ ნაშასთან ებლატავა, რომ მე ვარ ნარკომანიო, "კიმარში" ებლატავა ან, უბრალოდ, ვიღც მეგობარმა წააქეზა და ასეთი არაპრესტიჟული ცხოვრება დაიწყო. თუ არ გინდა იყო ასეთი იარლიყის მატარებელი, მაშინ არც უნდა დაიწყო, არ უნდა გახდე საზოგადოებისთვის მიუღებელი. რაც შეეხება მკურნალობას, ეს ჩვენი საქმე არ არის , შინაგან საქმეთა სამინისტროსი. ეს ერთგვარად ჯანდაცვის სამინისტროს და არასახელმწიფო ფონდების საქმეა, რა ვიცი, ნაკლებად ვარ ჩახედული ამ სამკურნალო დაწესებულებებში. ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ ვაკავებთ და ვიჭერთ პოლიციელ ნარკომანს, ნარკოლეარიზატორს, მაგრამ რეაბილიტაცია უნდა მოახდინოს თვითონ საზოგადოებამ, რომელმაც უნდა დაანახოს, რომ ეს არის ძალიან ცუდი საქმე, ძალიან ცუდი თვისება და ეს არის საზოგადოებაში, ქვეყანაში ძალიან მიუღებელი. კანონისთვის ნარკომანი დამნაშავე ხდება-ოჯახიდან იპარავს, მეგობრებს ჰპარავს, ქურდი ხდება, რომ წამალი შეიძინოს, რადგან ყოველდღიური შემოსავალი ძალიან დიდი არ არსებობს, საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, და ამით ისწორებს ცხოვრებაში. ძალიან ბევრია შემთხვევა, როცა საკუთარ დედას პარავენ.

**- უფრო დიდი დანაშაულია ნარკოტიკის რეალიზაცია. საზოგადოებამ არ უნდა გარიყოს ნარკომანები.**რეალიზატორის მიმართ უნდა იყოს განსაკუთრებული სიმკაცრე. მოზარდი ხედავს, რომ ზრდასრული კაცი ნარკომანია, ერთ დღესაც ნახავს, თუ საიდან მოდის ეს წამალი, თვითონაც შეიძენს და ასე იწყება.

**დონაძე - ასე არ არის. დავსაჯოთ თუ არ დავსაჯოთ რეალიზატორები?**

**კანონს აქვს მკაცრი ზომები, გააჩნია ნარკოტიკის რაოდენობას, სარეალიზაციოდ რამდენი ჰქონდა. თუ ეს აღემატება გარკვეულ წონა-ზომას, მაშინ მას ელის სამუდამო პატიმრობა. ამ ერთი წლის განმავლობაში 18 ნარკოლეარიზატორი გვყავს დაკავებული, უკვე სასამართლოზეა გადაცემული და დამთავრებულია ძიება, მათ სამუდამო პატიმრობა ელით იმიტომ, რომ მათ ძალიან დიდი რაოდენობა აქვთ. ის, რომელსაც 4 და 800 შავი ოპიუმი აღმოაჩნდა, სამუდამო პატიმრობაში იჯდება, 20 წელი მინიმალურია და მერე რა მოხდება, არ ვიცი, შეიძლება კოლუმბიად გადავიქცეთ, ფული გადაიხადონ და ყველა გარეთ გამოუშვან. მე ვფიქრობ, რომ ნარკომანთან ურთიერთობა უნდა გაწყდეს- "მე შენ არ გენდობი". მე, მაგალითად, ოჯახში ნარკომანს ვერ შევიყვან, საკუთარი დედის გვერდით ვერ დავსვამ. ის რომ "წააკიმერებს", ძალიან შეურაცხმყოფელი იქნება ჩემი ოჯახისთვის. თუ თითოეული ასე მოექცევა ნარკომანს, ის მერე დაფიქრდება ამაზე და გამოუსწორებელი ამქვეყნად ერთი რამ არის, როცა ღმერთი წაიყვანს ადამიანს, ის აღარ ბრუნდება.**

**დანარჩენი ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.**

-ასე თქვეს, რომ პოლიციას უფლება აქვს, თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს, ესროლოსო...

**დონაძე-სრულყოფილი ინფორმაცია არა გაქვთ. შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ ბოლო ხანებში გახშირდა პოლიციელთა მკვლელობის ფაქტები სპეცოპერაციების დროს, ანუ შეიარაღებული კრიმინალები, როცა ხედავენ, რომ პოლიცია მათ აკავებს, ხსნიან ცეცხლს და ორმხრივი შეტაკების დროს ან პოლიციელი იღუპება ან დამნაშავე. გაიცა ასეთი ბრძანება, თუ ნებისმიერი კრიმინალი ან კრიმინალური დაჯგუფება შეუქმნის საზოგადოებას ან პოლიციას საფრთხეს, ის ადგილზე უნდა იქნეს ლიკვიდირებული. ეს, მე ვთვლი, რომ აბსოლუტურად სწორია, რადგან ის კრიმინალი ხშირად მართლდება გარკვეული ჯგუფების მიერ, ისინი ერთგვარ დოტაციაზე არიან, ასე ვთქვათ, კრიმინალებისგან იკვებებიან. შევარდნაძის დროს იყო ბევრი "კანონიერი ქურდი" და ბევრი ადვოკატი იცავდა მათ პიროვნულად და არა კანონით. მე მახსოვს, ნებისმიერი კანონიერი ქურდის დაკავების დროს მათ ოჯახში იყო ადვოკატი, რომელიც ატეხავდა ვაივიშს, არ ხდებოდა მათი დაცვა, როგორც ეჭვმიტანილის, ან როგორც ბრალდებულის. კრიმინალი ყოველთვის საშიშია საზოგადოებისთვის. მე მართლაც ვერ ავიტან, რომ ქუჩაში დამაყაჩაღონ.**

**ბოლოს ჩვენ თორმეტი ადამიანი დაგვეხოცა. ამიტომ არის ეს ბრძანება და ეს მხოლოდ ნარკოტიკის რეალიზატორზე არ არის, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს, ადგილზე უნდა იქნეს ლიკვიდირებული - თუ ის მე მკლავს, მე უფლება უნდა მქონდეს, რომ თავი დავიცვა და ის მოვკლა. ჩემს გაქვავებას მისი გაქვავება უნდა მერჩიოს. ჩვენ მკვლელები კი არ ვართ, ვიცავთ თავს და კანონს, რომელიც გვაძლევს თავდაცვის უფლებას. ბოლო ფაქტი იყო, თამარაშვილის ქუჩაზე დააყაჩაღეს ოჯახი, ცოლ-ქმარი აწამეს და მერე ყაჩაღებმა საბურთალოს სასაფლაოს შეაფარეს თავი, გახსნეს ცეცხლი და დაჭრეს ერთი თანამშრომელი.**

**-ეს ცნობილი ფაქტებია, რომ კლავენ პოლიციელს. რაიმე მატერიალურ დახმარებას თუ იღებენ მათი ოჯახები.**

**დონაძე- ვერანაირი დახმარება ვერ გამოისყიდის მათი ოჯახის ტრაგედიას. არის სპეციალური ბრძანებულება, ერთჯერადი დახმარება არსებობს, პრეზიდენტი უშუალოდ ანიჭებს დამსახურებისთვის . რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, ეს არის ერთჯერადი სახით, თუმცა მინისტრის და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ამ ადამიანების ოჯახებს ჩვენ ვპატრონობთ - იქმნება მისი ფონდი, არ ღირს ახლა ამ დეტალებზე საუბარი, მაგრამ უმეთვალყურეოდ მისი ოჯახი არ რჩება.**

**-მერე დახმარებების გაცემას არ სჯობს ჯავშანჟილეტები ჩააცვათ პატრულს.**

**დონაძე -საპატრულო პოლიცია არის სხვა მიმართულებით მომუშავე, კრიმინალური პოლიცია არის სხვა მიმართულებით მომუშავე, სპეცოპერატიული დეპარტამენტი არის სხვა, არის სხვადასხვა სამმართველო, თუმცა გუნდური პრინციპი არსებობს, ამათ ყველას შსს აერთიანებს, მე მგონი, ჯავშანჟილეტით პოლიციელის საზოგადოებაში გასვლა მიუღებელია - ის ომში არ არის. საუბარია იმაზე, რომ პოლიციას დაცვა სჭირდება. შეიძლება საზოგადოების წევრს კრიმინალური დაჯგუფებიდან არაფერი ემუქრება, მაგრამ კრიმინალმა შური იძიოს ახლობელზე, რომელიც პოლიციამ დააკავა, დასაჯა და ა.შ. კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა თაობა წამოიწყებთ კამპანიას ცივი იარაღის აკრძალვის შესახებ. გადაცემა, რომელიც ტელევიზიით გადის კვირაში სამ-ოთხჯერ არის, რომ ქუჩაში მივდიოდი და უეცრად დანა ამომიღო, მომეციო და დამარტყა ფეხში... არაერთი შემთხვევა იყო, რომ დანით მიყენებული ჭრილობის გამო გარდაიცვალნენ ... კრიმინალი ყოველთვის იქნება ქვეყანაში, განვითარებულ ქვეყნებშიც ასეა... აი, კამპანიაში, რომ ცივი იარაღი აიკრძალოს, ახალგაზრდა თაობა ჩაერთოს ,რაღაც წრე შეიკვრება. თუ ნარკომანს, დანიან ადამიანს არ მივიღებთ ჩვენს წრეში... ცუდია, როცა ტიპი დადის დანით, ეს ზრდის კრიმინალურ შემთხვევებს, რატომ შეხედე ჩემს გოგოს და ამგვარები... ძალიან მნიშვნელოვანია ნარკოტიკი, მაგრამ დავიწყოთ დანების ტარების წინააღმდეგ ბრძოლა.**

**-კარგი იქნება, მაგრამ ხალხი იმიტომაც დადის დანით, რომ ბნელ მოსახვევში ვინმე არ დახვდეს.**

**დონაძე - იმიტომაც იზრდება უბედურებების რიცხვი, შეიძლება იმან შენივე დანა დაგარტყას.**

**- ხდება თუ არა პოლიციელების დაფასება, მერე ვაჯილდოებთ...**

**დონაძე - დეკემბრის ბოლოს უნდა შეიქმნას დაღუპულ პოლიციელთა ფონდი, რომელსაც განკარგავენ საზოგადო მოღვაწეები, გარდაცვლილ პოლიციელთა ოჯახის წევრები, ჟურნალისტები. ყველანაირ თანხას, შესულს და გასულს ჩვენ არ შევეხებით ჩვენ დავაარსებთ ფონდს, ამას ათკაციანი კომისია გააკონტროლებს.**

**-დღეს დააბრუნეს გატაცებული ბავშვი. ბავშვის დედამ განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ ვერაფერი გააკეთა და ოსებმა დაგვიბრუნესო შვილი. მე პირადად არ მჯერა, რომ ასე მოხდა. ოსები ქართველებზე მეტად გაისარჯნენ.**

**დონაძე- მე რომ ვიყო პოლიტიკოსი, სხვაგვარ შეფასებას მივცემდი ამ ფაქტს, მაგრამ გეტყვით რომ, გუშინ "რუსთავი2"-მა გაუშვა ინფორმაცია, რომ ხაჭაპურიძის დანაწევრებული გვამი გაუგზავნეს ოჯახს და ეს ხდება კოკოითის ხელისუფლებაში, რომელსაც ეს ფაქტი საერთაშორისო სკანდალად გადაექცა. ამჯერად გატაცებული ბავშვის დაბრუნებით მათ სცადეს აღედგინათ შელახული სახელი, თორემ, ჩემი აზრით, ეს ბავშვი მათ ჰყავდათ გატაცებული, ეს იყო მათ ტერიტორიაზე, ჩვენ შევუთვალეთ, რომ ვიცოდით ბავშვის ადგილმდებარეობა და მივეცით საშუალება, რომ კარგად მოქცეულიყვნენ.**

**- ტელევიზიით გადმოიცა, რომ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს კანონი ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით. უმეტესობა, ცივი იარაღის მატარებლებისა, არის მცირეწლოვანი.**

**- ერთი პერიოდი საქართველოში აკრძალული იყო ცივი იარაღის ტარება. სხვა ქვეყნებში ვყოფილვარ, მაგრამ რიგითი მოქალაქის ხელში მე დანა არ მინახავს-ბრელოკები, გასახსნელები, კი ბატონო... მე ვფიქრობ, რომ სასჯელი უნდა იყოს ის, რომ პირველ რიგში მას უნდა მიეცეს გაფრთხილება, ჩამოერთვას ეს ცივი იარაღი, მეორე შემთხვევაში აუცილებლად სადამსჯელო ღონისძიება გატარდეს, ვთქვათ სკოლაში კლასში ჩარჩენა, მესამე შემთხვევაში კი უკვე გამოძიებულ უნდა იქნას ამ ადამიანს ერთი და იგივე შეიარაღება რისთვის სჭირდება.**



**-პატრული კარგია, მაგრამ სადარბაზოებში...**

**- ახალი გადაწყვეტილებაა, მინისტრს ვასწრებ, მაგრამ ძალიან მალე იქნება სპეციალური სამსახური, რომელიც უშუალოდ პატრულირებას განახორციელებს უშუალოდ სადარბაზოებში, უბნებში მთელ საქართველოს მოედება. სადარბაზოში შეიძლება ლამაზად ჩაცმული პატრული შეგხვდეთ და გადაგამოწმოთ, ოთხ საათზე საიდან მოდიხართ, შემდეგ კი სახლის კარებამდე მიგაცილოთ. პროფილაქტიკა ნელ-ნელა იწყება. ყველაფერი ერთ წელიწადში ვერ გაკეთდება. ჩვენ სამსახურს ბევრი აკრიტიკებს, არის პრეტენზიები, მაგრამ მე რომ აქ მოვედი, ერთი ოთახი და ერთი სავარძელი დამხვდა, დღეს ერთ ოთახში გამჭვირვალე ტიხრები, უკვე სამი სტუდია გვაქვს ეს ჩემს სამსახურს რაც შეეხება. ასევე სამინისტროში რა სიტუაცია დაგვხვდა და რა გვაქვს, თუ დანაშაული ხდებოდა შუა ქუჩაში თავშეყრის ადგილებზე, ეს 80 პროცენტით მოიხსნა.**

**-როგორ ხდება გამოძახება, როგორ მიდიხართ გადასაღებად და დღეს ტელევიზიით ვნახე ახალი გადაცემა, მგონი, "უბნის ინსპექტორი".**

**დონაძე- ჩვენ სცენებს არ ვდგამთ. ეს არის დაბოლმილი ხალხის ნათქვამი. კორუმპირებული ჟურნალისტების ნათქვამიც, პირდაპირ ვიტყვი.**

**აი, გადმოიცა შეტყობინება ხდება დაყაჩაღება. ეკიპაჟი გადის გადამოწმებაზე. ჩვენ ჩვენი ოთხი ეკიპაჟი გვყავს. მობილური ჯგუფები, კარგი აღჭურვილობით და კავშირგაბმულობით სულ გვესმის ერთმანეთის. იქიდან ხდება დაფიქსირება. აი ახლა შეგიძლიათ მოისმინოთ ყველაფერი, რაც ხდება ქალაქში.**

**თითოეული ეკიპაჟის ოპერატიულ მასალებს მოჰყვება ძველი დანაშაულების გახსნა. იყო შემთხვევა, როცა სცვანებოის დაჯგუფება დააკავეს, თორმეტი საქმე გაიხსნა ერთდროულად ...**

**-202-ზე რომ პატრულს დასცინიან, ამაზე რას იტყვით?**

**- მე ვნახე ჩანაწერი. პატრული ყველაზე მაღალრეიტინგულია, და ვინც გააკრიტიკებს, ეს კარგია.**

**- აქვს თუ არა დამნაშავეს უფლება დამალოს თავისი სახე?**

**დონაძე- ეჭვმიტანილს საზღვარგარეთ არ აჩვენებენ. ჩვენთან ჯერ სხვა პრობლემებია და ამას ყურადღებას ვერ ვაქცევთ, არ მივიჩნევთ ძალიან პრობლემა ტურად, მაპატიეთ. ჩვენ სახე თუ არ გამოვუჩინეთ, ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ თუ გვეუბნებიან, რომ ჩემი სახე არ აჩვენოთო, ვცდილობთ, დავფაროთ შავი ლაქით.**

**-კარგია პატრული, მეც დაცულად ვგრძნობ თავს, მაგრამ პატრული სხვა ქალაქებში ხომ არ არის.**

**-თუ არ არის მოთხოვნა, არ გაგვაქვს. შესაბამისად, სადაც იყო მოთხოვნა და საჭიროება, ყველგან გავიდა ავტოპატრული, ახლა სოფელ მუხრანში რომ პატრულმა იაროს, არ გვჭირდება, რადგან სოფელ მუხრანს აქვს გვერდით სოფელში პოლიციის განყოფილება, იქ არ ხდება ისეთი დანაშაული, რომ პატრულირება ხდებოდეს. ცენტრალურ უბნებში არის.**

**-რატომ არ შეიძლება, რომ ერთი უბნის პატრულმა მეორე უბანში იმოქმედოს?**

**-დონაძე - თუ ხედავს დანაშაულს, ნებისმიერი კვადრატის პატრული პასუხისმგებელია, მაგრამ თუ დანაშაული შემდგარია და უკვე იქ მოვლენები აღარ ხდება, მაშინ ის მართლა არ არის ვალდებული, რომ აქ რაიმე მოქმედებები ჩაატაროს. აქ უნდა მოვიდეს ამ კვადრატზე პასუხისმგებელი პატრული.**

**თუ ქურდები ადგილზე იყვნენ ის არასწორად მოიქცა და პატრული უნდა დაისაჯოს.**

**-როგორ მივიქციოთ პარტულის ყურადღება. გვქონდა შემთხვევა, როცა მე და ჩემმა მეგობრებმა ვიპოვეთ საფულე და ქუჩაში პატრული ვერ გავაჩერეთ. საფულეში ბევრი რამე იყო, არ ვიცოდით სად მიგვეტანა.**

**- უნდა დავამკვიდროთ პოლიციასა და საზოგადოებას შორის ახალი დამოკიდებულება.**

**ხშირად მეც დავდივარ ქუჩაში და ბევრს დაუქნევია ხელი, სახლამდე გამიყვანე, მაგრამ თუ თქვენ რაიმე ინფორმაციის გადაცემა გსურთ არსებობს უფასო სატელეფონო კავშირი 022 და ნებისმიერ დროს გიპასუხებენ "პოლიცია გისმენთ" და თქვენ გადასცემთ. აი, დავრეკოთ და მოისმენთ როგორ სწარაფად გიპასუხებენ...ანალოგიურად უნდა მოქცეულიყავით თქვენც.**

**თქვენ მუშაობდით რუსთავი ორზე, ახლა იურიდიულ სფეროში მუშაობთ. დაგეხმარათ იურიდიული პრაქტიკა?**

**დონაძე - უმაღლესი განათლებით ვარ ეკონომისტი, მოხეტიალე ჟურნალისტობით დავიწყე, რომ ვხედავდი ცუდს, განცდა მქონდა. შემთხვევით აღმოვჩნდი სამცხე-ჯავახეთის ბოლო სოფელში, სომხეთის საზღვართან, 93-94 წლებია. უნივერსიტეტში ვსწავლობდი და შემთხვევით მეგობარმა გაგვიყვა იქ. ქართულმა ოჯახებმა რომ დამინახეს ქართულად მოლაპარაკე, შემომეხვივნენ, და დიალოგში წამოვიდა საუბარი, რომ ძალიან ცუდად არიან და ყურადღებას არავინ აქცევს, უნდა წავიდეთ და სოფელი საზღვართან რჩება ქართული ოჯახის გარეშე, სტრატეგიულ ადგილზე. ამან ცუდად იმოქმედა და ამ ხალხს შევპირდი, რომ ჩავიდოდი და გადავიღებდი და თბილისში წავიღებდი ამ კადრებს. ვიქირავე ძველმანი კამერა, ჩავედი, გადავიღე, ჩამოვიტანე დავით კიკალიშვილთან, მაშინ ინტერნიუსში მუშაობდა და ვთქვი, რომ ასეთი პრობლემა აქვთ. აქედან დამებადა ის გრძნობა, რომ ადამიანებს როცა უჭირთ, ჟურნალისტს შეუძლია დაეხმაროს ...**

**იქ ვიმუშავე ოთხი წელი რუსთავი 2-დან, მერე თბილისში გადმოვედი.**

**-სკოლაში ბავშვებს, რომ ვკითხე, ყველას ახსოვდა გურამ დონაძე რუსთავი2-ზე. ცამეტიდან სამმა მიიჩნია რომ შსს-ს პრესმდივნად უკეთესიაო, დანარჩენებმა თქვენი ჟურნალისტობა არჩიეს. ხომ არ აპირებთ დაბრუნებას?**

**- ნამდვილად არ ვაპირებ. ვფიქრობ, რომ აქ ჩარჩოებში ჩავჯექი, სახელმწიფო სტრუქტურაში ვარ. რუსთავი 2-ში ვიყავი სრულიად დამოუკიდებელი და იმას ვაკეთებდი და ვამბობდი, რაც მინდოდა. ახლა ხშირად რასაც ვფიქრობ, არ უნდა ვთქვა, ფორმალობაა.**

**- მაშინ ჩანდა თქვენი გაკეთებული ყველაფერი, ახლა არ ჩანს.**

**ცოტა ამბიციურობით რომ შევხედო, მაშინ ყოველდღიურად მიყურებდნენ, აფასებდნენ ჩემს ნამუშევარს. ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი ჟურნალი. გვაქვს პროექტები და ვმუშაობთ.**



# „რენო კლიო" წლის საუკეთესო ავტომობილია

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში, "წლის საუკეთესო ავტომობილი", მხოლოდ ევროპული საავტომობილო გამოცემების ჟურნალისტები მონაწილეობენ, ის მაინც ყველაზე პრესტიჟულია მთელს მსოფლიოში.

ამას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ავტომობილებისადმი ყველაზე მეტ მომთხოვნელობას სწორედ ევროპელები იჩენენ. მათთვის მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ ძრავისა და დაკიდების სისტემის გამართულ მუშაობას, არამედ იმასაც, თუ რამდენად ეფექტურია ინტერიერის შიდა განათება და სიგარეტის მოსაკიდებელიც კი.

კონკურსის ჟიური თავის არჩევანს დაუსწრებლად აკეთებს. ყველა მათგანს ეგზავნება კონკურსში მონაწილე ავტომობილების სია, რომლებიდანაც ფინალური ეტაპისთვის 7 საუკეთესოს ირჩევენ. ბოლო ეტაპზე ჟიურის ყველა წევრს საშუალება ეძლევა, თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილოს 25 ქულა. ოღონდ, ერთი პირობით – ერთი ავტომობილისთვის 10 ქულაზე მეტის მინიჭება არ შეიძლება.

უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი კონკურსის ერთ-ერთი ფინალისტი ერთბაშად სამი ავტომობილი იყო. საქმე ისაა, რომ "ტოიოტა აიგო", "სიტროენ C1" და "პეჟო 107" ფაქტობრივად ერთი ავტომობილია. სამივე ერთ ქარხანაში მზადდება, ოღონდ სამი სხვადასხვა მარკით მიეწოდება მყიდველს. მათ საერთო პლატფორმა, ერთნაირი აგრეგატები და ფასიც თითქმის თანაბარი აქვთ. ამიტომ, კონკურსშიც ერთად იყვნენ ნომინირებულნი.

ბევრი ელოდა, რომ პირველობისთვის ამ სამეულს ყველაზე სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა "ფოლკსვაგენ პასატი", რომელსაც დებიუტისთანავე პრესაში საუკეთესო გამოხმაურება ჰქონდა. მაგრამ საბოლოო შედეგებით, პირველობა ფრანგულ "რენო კლიოს" მესამე თაობის მოდელს ერგო.

ამ ავტომობილს არც რევოლუციური სიახლეები გამოარჩევს და არც წინა თაობის მოდელისგან ძლიერ განსხვავებული დიზაინი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ "კლიო" ევროპაში ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი ახალი ვერსიის გამოჩენას ყველა მოუთმენლად ელოდა. სწორედ ამით აიხსნება კონკურსში მისი გამარჯვება.

"კლიომ" ყველაზე მეტი ქულა კი დააგროვა, მაგრამ მას პირველობა ჟიურის 58-დან მხოლოდ 11-მა წევრმა მიანიჭა. ამ მხრივ, "ჩემპიონი" გახდა "პასატი", რომელსაც 14 პირველი ადგილი ერგო, მე-3 სერიის "ბეემვეს" კი, რომელიც საბოლოოდ მოწინავე სამეულს მიღმაც კი დარჩა – 12-მა ჟურნალისტმა არგუნა პირველობა.



მაგრამ კონურსი "წლის საუკეთესო ავტომობილი" იმითაცაა საინტერესო, რომ ჟიურის 58 წევრი ქულებს ისე ანაწილებს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. ჰოდა, ისეც ხშირად ხდება, რომ პირველსა და მეორეზე გასულ ავტომობილებს მხოლოდ ერთი ქულა აშორებთ.

ასეა თუ ისე, ჟიურის წევრთა უმეტესობამ აღიარა, რომ "კლიოში" თითქმის იდეალურადაა შერწყმული ავტომობილის ძირითადი სამომხმარებლო თვისებები – მართვადობა, კომფორტი, თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვა და სხვა. ამასთან, ახალი "კლიოს" ფასი თითქმის არ შეცვლილა. ეს იმ დროს, როდესაც "პასატი" საგრძნობლად გაძვირდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კონკურსში პირველ 4 ადგილზე გასული ავტომობილები სულ 53-მა ქულამ დააშორა. უფრო მეტიც, "კლიომ" სულ 4 ქულით აჯობა მეორეზე გასულ "პასატს". სხვათა შორის, შარშანდელ კონკურსში გამარჯვებულმა, ჰიბრიდულმა "ტოიოტა პრიუსმა" "სიტროენ C4" 139 ქულით ჩამოიტოვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მესამეზე გასული სედანი "ალფა 159". ჯერ ერთი, მან უკან მოიტოვა ისეთი სერიოზული კონკურენტები, როგორებიცაა მე-3 სერიის "ბეემვე" და "მაზდა5". მეორეც, როგორც წესი, ბიზნეს-კლასის ავტომობილები კონკურსის ჟიურის წევრებს შორის დიდი პოპულარობით არასოდეს სარგებლობენ.

დაბოლოს. "კლიო" უკვე მეორედ ხდება წლის საუკეთესო ავტომობილი. პირველად აღიარება "კლიოს" პირველი თაობის მოდელმა 1991 წელს მიიღო, როცა 312 ქულა დააგროვა და უკან მოიტოვა ისეთი სერიოზული კონკურენტები, როგორებიც იყვნენ "ნისან პრიმერა" და "ოპელ კალიბრა". სულ კი "რენოს" მოდელებმა უკვე მეექვსედ მოიპოვეს წლის საუკეთესო ავტომობილის წოდება. ამ მაჩვენებლით ფრანგულ კომპანიას მეორე ადგილი უკავია "ფიატ-ის" შემდეგ.

"რენოს" პროდუქციამ პირველი აღიარება 1966 წელს მოიპოვა. მაშინ საუკეთესო გახდა მოდელი "რენო 16". 1982 წლის საუკეთესოს წოდება მიენიჭა "რენო 9-ს". 1991 წლის ლაურეატი გახდა პირველი თაობის "კლიო". 6 წლის შემდეგ იგივე ტიტულს დაეუფლა "რენო მეგან სცენიკი". კიდევ 6 წელი და მეორე თაობის "მეგანიც" აღიარეს.

რაც შეეხება "ფიატს", კონკურსის არსებობის 41 წლის განმავლობაში მისმა ავტომობილებმა 8 პირველი ადგილი დაიკავეს.

**კონკურს "2006 წლის საუკეთესო ავტომობილი" საუკეთესო შვიდეული**

| | |
|---|---|
| 1. რენო კლიო | 256 |
| 2. ფოლკსვაგენ პასატი | 251 |
| 3. ალფა რომეო 159 | 212 |
| 4. ბეემვეს მე-3 სერია | 203 |
| 5. მაზდა5 | 198 |
| 6. სიტროენ C1/პეჟო 107/ტოიოტა აიგო | 187 |
| 7. ტოიოტა იარისი | 143 |

# „კლიო" - „რენოს" ახალი ფავორიტი

კომპაქტური "რენო კლიო", რომელიც ევროპის კლასიფიკაციით, B კლასს განეკუთვნება, მსოფლიოს ავტობაზარზე 1990 წელს გამოჩნდა და 15 წლის განმავლობაში, 9-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. საინტერესოა, რომ ეს ტირაჟი მხოლოდ ორი თაობის "კლიოზე" მოდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპაში ამ პატარა ავტომობილს ბევრი მუშტარი ჰყავს.

თუმცა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ჯერაც ბესტსელერთა შორისაა, მეორე თაობის მოდელი უკვე საკმაოდ მოძველდა და დროულ შეცვლას საჭიროებდა. ჰოდა, ფრანგულმა კომპანიამაც დაიჭირა თადარიგი და ფრანკფურტის ავტოსალონის დამთვალიერებელს მესამე თაობის "კლიო(ები)" წარუდგინა. "კლიოები" იმიტომ, რომ საბაზო მოდელთან ერთად, კომპანიის პავილიონში იდგა სპორტული "კლიოც", რომელიც ბაზარზე მოგვიანებით გამოჩნდება.

ადრე თუ "კლიო" ერთგვარი "მშვიდი" გარეგნობით გამოირჩეოდა, მესამე თაობის მოდელი უფრო აგრესიული და სპორტული სტილისაა. სხვათა შორის, "კლიოს" სერია სათავეს 70-80-იანი წლებიდან იღებს, როდესაც ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ "რენო 4" და "რენო 5". და ისინიც, თუ არ ჩავთვლით სპორტულ მოდიფიკაციებს, "მშვიდი" გარეგნობისანი იყვნენ.

ახალ ავტომობილს კი აგრესიულ იერს სძენს მკვეთრად დახრილი წინა საქარე მინა. რადიატორით ის "მეგანს" ჰგავს, წინა მაშუქებიც ტიპიური "რენოსია". სამაგიეროდ, უკანა ნაწილში გამოყენებულია ევროპაში პოპულარული სხვადასხვა კომპანიის მოდელების ელემენტები. მაგალითად, სტოპ-მაშუქებით ის "ოპელ ასტრას" მოგვაგონებს, უკანა შუშის ფორმა კი – "მაზდა3-სას". უფრო საინტერესო კი ის არის, რომ ეს, სხვადასხვა ავტომობილიდან აღებული ელემენტები, ერთ, "რენოს" სტილშია გაერთიანებული და "კლიოს" ინდივიდუალობას უსვამს ხაზს.

წინა თაობის მოდელებისგან ახალ "კლიოს" ბევრი რამ განასხვავებს. მაგალითად, მეორე თაობის "კლიოს" სისუსტეები იყო სალონის სივიწროვე და აწყობის დაბალი ხარისხი. ჰოდა, ახალი ავტომობილის საზოგადოებისათვის წარდგენისას, მწარმოებელმა ხაზგასმით სწორედ ის ფაქტი აღნიშნა, რომ ეს ორივე ნაკლი გამოსწორებულია. ახალი ავტომობილი მოხდენილიცაა, კომფორტულიც და ხარისხიანიც. ამასთან მართვის სიმარტივითა და კარგი დინამიკური მახასიათებლებითაც გამოირჩევა. როგორც ამბობენ, ამ ავტომობილში ახვეული თვალებით რომ ჩაჯდე, ვერ მიხვდები, რომ "რენო კლიოს" სალონში ხარო – მისი კომფორტი უფრო მაღალი კლასის ავტომობილისას უფრო შეეფერება.

ახალი ავტომობილი მოდელ "მოდუსის" პლატფორმაზეა აგებული. მის შესამუშავებლად და წარმოებისთვის მოსამზადებლად "რენომ" 900 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა. სხვათა შორის, მესამე თაობის "კლიო" სულ რაღაც 28 თვეში მომზადდა, ეს კი თითქმის ორჯერ ნაკლებია იმ დროზე, რაც წინა ორი თაობის "კლიოს" შესაქმნელად დაიხარჯა.





კომფორტის გაუმჯობესება პირველ რიგში, გაბარიტების ზრდამ გამოიწვია. მისი სიგრძე თითქმის 4 მეტრია (3.99 მეტრი), თვლების კვალი 1.52 მეტრი, თვლებს შორის ბაზა კი – 2.585 მეტრი. ყველაფერი ავტომობილის სალონის მოცულობის ზრდაში აისახა. შედეგად კი სიახლე არამხოლოდ წინამორბედზე მოცულობითი და კომფორტულია, არამედ ამ მაჩვენებლით საუკეთესოც კია თავის კლასში.

კომფორტსა და მანევრულობას უზრუნველყოფს "კლიოს" საკიდარი, რომელიც ფაქტობრივად, "რენო მეგანის" საკიდარის მოდერნიზებული ვარიანტია. განიერი კვალისა და გრძელი ბაზის წყალობით, ავტომობილის სიმძიმის ცენტრიც დაბლაა დაწეული, რამაც მისი მართვის გაადვილება გამოიწვია. ამასთან, ავტომობილი "მყარად" დგას მოსახვევებში, რაც მის მძღოლს თავდაჯერებულობას მატებს.

რახან მძღოლის თავდაჯერებულობა ვახსენეთ, აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული სტანდარტებით, ქრეშ-ტესტებზე ახალმა "კლიომ" ხუთი ვარსკვლავი (უმაღლესი შეფასება) დაიმსახურა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ყველა სიკეთესთან ერთად, მესამე თაობის "კლიო" აღჭურვილია სამუხრუჭე ძალის გამანაწილებლით და სისტემით, რომელიც მძღოლს ექსტრემალური დამუხრუჭებისას ეხმარება.

ავტომობილი აღიჭურვება ბენზინის სამი და ამდენივე დიზელის (მათ შექმნაში მონაწილეობა მიიღეს "ნისანის" კონსტრუქტორებმა) აგრეგატით. ამასთან, ბენზინის ძრავებს განსხვავებული ლიტრაჟი (1.2, 1.4 და 1.6 ლიტრი) და შესაბამისად, განსხვავებული სიმძლავრე (75, 98 და 111 ცხ.ძალა) აქვთ, დიზელის ყველა აგრეგატის მუშა მოცულობა კი 1.5 ლიტრია, თუმცა მათ სხვადასხვა სიმძლავრე (68, 86 და 106 ცხ.ძალა) გააჩნიათ. სხვათა შორის, ამ აგრეგატებიდან უფრო მძლავრები მაღალი მაბრუნი მომენტითა და ეკონომიურობითაც გამოირჩევიან – მათგან ყველაზე ეკონომიური ყოველი ასი კილომეტრის გასავლელად ოდენ 4.5 ლიტრ საწვავს მოიხმარს. ყველა ამ აგრეგატთან შეწყვილებულია მექანიკური, 5-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი.

დიდი ყურადღება დაეთმო ავტომობილის უსაფრთხოებას. ამის დასტურად საკმარისია იმის თქმაც, რომ მესამე თაობის "კლიო" უსაფრთხოების 6 ბალიშითაა აღჭურვილი, რაც ამ კლასის ავტომობილისთვის იშვიათობაა. საყურადღებოა ისიც, რომ საკისრეები სავარძლებშია ინტეგრირებული და დაჯახების დროს, მძღოლისა და მგზავრების კისერს და ხერხემალს უფრო ეფექტურად იცავს ტრავმებისგან.

ავტომობილის მრავალფეროვანი აღჭურვილობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი გასაღები. საკმარისია, პატრონი "კლიოს" ერთი მეტრის სიშორემდე მიუახლოვდეს და ავტომობილი მას მაშინვე იცნობს. როცა მძღოლი კარის სახელურს შეეხება, საკეტი თავისით გაიხსნება. "ჭკვიანი" კარის ამგვარ ოპერატიულობას ოპტიკური გადამწოდები უზრუნველყოფს. ინტერიერის გაწყობისას კი კონსტრუქტორებმა გამოიყენეს კონცეპცია "ტაჩ დიზაინ" (შეხების დიზაინი), რაც შეიძლება ასე განიმარტოს – ყველაფერი იმდენად სასიამოვნოა, რომ შეხება გინდება.

მყიდველს ახალი "კლიო" ხუთი ვერსიითა (აუთენტიკ, ექსპრეშნ, პრივილეჯ, დინამიკ და ინიციალ) და სამი დონის (პაკ, კომფორტ და ლუქს) კომპლექტაციით მიეწოდება. რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნება მათი ფასებიც. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ახალი ავტომობილის ფასი პრაქტიკულად უცვლელი რჩება. საბაზო მოდელის ღირებულება 8895 ევროა, ყველაზე მდიდურალდ აღჭურვილისა კი – 12650 ევრო. ამ ფასებით კი ის უხისტეს კონკურენციას გაუწევს ევროპული B კლასის სეგმენტის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა "ფორდ ფიესტა", "ოპელ კორსა" და "ფოლკსვაგენ პოლო".

დაბოლოს. ახალ "კლიოს" გამოუშვებს "რენოს" ფრანგული და თურქული ქარხნები. რაც შეეხება სლოვენიურ ქარხანას, ის წინა თაობის "კლიოს" წარმოებას გააგრძელებს, ოღონდ ამ ავტომობილს სახელი "კამპუსით" შეეცვლება.

"რენო" იმედოვნებს, რომ წლიურად 600 000 ცალი ახალი "კლიოს" გაყიდვას შეძლებს, რითაც დაიბრუნებს ლიდერობას ბაზრის აღნიშნულ სეგმენტში.

# მსოფლიოს ავტობაზარს ლიდერი ეცვლება

დიდი ხანია, "ტოიოტა" მსოფლიოს საავტომობილო ბაზარზე გაბატონებას ცდილობს და როგორც ჩანს, არც ის დროა შორს, როცა მიზანსაც მიაღწევს. კონცერნი თავისი მიზნის მისაღწევად ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა, თანდათან ზრდიდა წარმოების მოცულობას, მყიდველს უამრავ ახალ მოდელს სთავაზობდა, მისთვის ახალ რეგიონულ ბაზრებს ითვისებდა, კონკურენტებს მოქნილი სამარკეტინგო აქციებით აოცებდა და რაც მთავარია, მყიდველს თავისი პროდუქციის უმაღლესი ხარისხით ხიბლავდა.

და აი, დადგა მომენტი, როცა შეიძლება "ტოიოტა" მსოფლიოს ავტოინდუსტრიის ლიდერი გახდეს.

დღეს ეს პოზიცია ამერიკულ გიგანტს, "ჯენერალ მოტორსს" უკავია, რომელიც უკვე 70 წელზე მეტია, არავის უთმობს მსოფლიოს უდიდესი ავტოკომპანიის სტატუსს. "გენერლებს" ჰქონდათ თითქმის ამოუწურავი ფინანსური რესურსი, რისი წყალობითაც, მთელს მსოფლიოში ყიდულობდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ კომპანიებს. თანაც, ამ პერიოდში, მისი ძლიერების მთავარ საყრდენს მსოფლიოში უდიდესი, აშშ-ის ავტობაზარი წარმოადგენდა, სადაც მყიდველთა უმეტესობა სწორედ "ჯენერალ მოტორსის" მარკებით წარმოებული ავტომობილების ყიდვას ამჯობინებდა. თუმცა, დრონი მეფობენო...

ჯერ "ჯენერალ მოტორსი" და საერთოდ, ამერიკული "დიდი სამეული" (ჯენერალ მოტორსი, ფორდი, კრაისლერი) აშშ-ის ბაზარზე იაპონურმა კონკურენტებმა (ტოიოტა, ნისანი, ჰონდა) შეავიწროვეს. ამას მოჰყვა რიგი პრობლემები უცხოურ ბაზრებზე, რამდენიმე პროექტის ჩავარდნა, წლების განმავლობაში, ევროპულ ბაზარზე წამგებიანი მოღვაწეობა, მილიონობით ავტომობილის უკან გახმობა ტექნიკური გაუმართაობის აღმოსაფხვრელად და რაც მთავარია, უსაზმნოდ დახარჯული მილიარდები.

ყოველივემ "ჯენერალ მოტორსი" უმძიმეს კრიზისამდე მიიყვანა, რამაც შეიძლება მისი გაკოტრებაც კი გამოიწვიოს. სიტუაციის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, კონცერნის აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ ვაგონერმა პირველი გადამწყვეტი ნაბიჯები უკვე გადადგა. კერძოდ, გადაწყდა, რომ ხარჯების შესამცირებლად, 2008 წლისთვის კანადასა და აშშ-ში კონცერნი 8 ქარხანას დახურავს, 4-ში კი ცვლებს შეამცირებს.

ამგვარად, ამ ქვეყნების ბაზრებს "ჯენერალ მოტორსისგან" დაახლოებით მილიონი ავტომობილი დააკლდება. კონცერნის წარმოების მოცულობა კი ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე 4.2 მილიონ ავტომობილამდე შემცირდება. ქარხნების დახურვას 30 000 თანამშრომლის დათხოვნა მოჰყვება. თუ ამჟამად "გენერლების" საერთო შტატი 325 000-ს შეადგენს, შეკვეცის შემდეგ, ის 9.2%-ით შემცირდება. ვაგონერი იმედოვნებს, რომ ამგვარი რადიკალური ნაბიჯებით, უკვე მერმის შეძლებს 7 მილიარდ დოლარის დაზოგვას.

შარშან კონცერნმა სულ 9.1 მილიონი ავტომობილი აწარმოვა და 3.7 მილიარდი დოლარის სუფთა მოგება ნახა. სამაგიეროდ, მიმდინარე სამოდელო წლის პირველ 9 თვეში უკვე იზარალა დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი. უფრო სავალალო კი ის ფაქტია, რომ აშშ-ის ბაზარზე "ჯენერალ მოტორსის" წილი უკვე 26,2 პროცენტამდეც კი დაეცა. არადა, ათი წლის წინ, იმავე ბაზარზე კონცერნის წილი დაახლოებით მესამედი იყო.

ამერიკული ავტოგიგანტის ამგვარი გასაჭირი "ტოიოტას" თავისი მთავარი მიზნის განხორციელებაში ძლიერ დაეხმარება. იაპონელები ინვესტირების განხორციელებამდე ყოველთვის სიფრთხილეს იჩენენ, რისი წყალობითაც, საავტომობილო გლობალიზაციის პროცესს თითქმის დანაკარგების გარეშე გადაურჩნენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც "ტოიოტას" აშშ-ის ბაზარზე პოზიციები გაამყარებინა, არის ის, რომ იაპონურ იენას იაპონელ ექსპორტიორთათვის "ხელსაყრელი" კურსი აქვს. იაპონელებს არ ავიწყდებათ, რომ მათთვის აშშ-ის ბაზარს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მთავარ ყურადღებას სწორედ აშშ-ში საქმიანობას უთმობენ.

შედეგად, აშშ-ის ბაზარზე "ტოიოტას" წილი შარშანდელი 15.4%-დან 17.9%-მდე (მკაცრი კონკურენციის პირობებში თითქმის წარმოუდგენელი ზრდაა) გაიზარდა. იაპონურმა კონცერნმა უკვე გადაასწრო მეორე ამერიკულ გიგანტ "ფორდს" და მნიშვნელოვნად მიუახლოვდა "ჯენერალ მოტორსს". "ტოიოტას" აშშ-სა და კანადაში უკვე აქვს რამდენიმე ქარხანა, მაგრამ ამას არ სჯერდება და მალე დაიწყებს კიდევ ერთი, აგრეგატების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობას.

მერმისიდან "ტოიოტა" შტატ ტექსასის ქალაქ სან ანტონიოში დაიწყებს პიკაპების (ეს კლასი ყველაზე პოპულარულია აშშ-ში) წარმოებას. ამ ქარხნის სიმძლავრე წლიურად 200 ათასი ავტომობილის წარმოების საშუალებას იძლევა. ამას 2008 წელს დაემატება კანადაში დამზადებული 100 ათასი ცალი უგზოობის ავტომობილი RAV4, რომელიც მთელს მსოფლიოში უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს.

ეგეც არაფერი - "ტოიოტას" მადა იმდენად გაეხსნა, რომ თხოვნით მიმართა თავის ახალ პარტნიორს, კორპორაცია "ფუძი ჰევი ინდასტრიზს", რათა ამან შტატ ინდიანაში მდებარე ქარხანაში (ეს ქარხანა "ფუძის" კუთვნილებაში მყოფი "სუბარუს" ავტომობილებს უშვებს) "ტოიოტას" მოდელების დამზადების უფლება მისცეს. ამ ქარხნის სიმძლავრე წლიურად 120 ათასი ავტომობილია. "ტოიოტას" იქ თავისი ჰიბრიდული მოდელების გამოშვება სურს. პარალელურად, თავისი ტექნოლოგიის გაზიარებას "სუბარუსაც" პირდება.

სხვათა შორის, "ფუძი" ოქტომბრამდე სწორედ "ჯენერალ მოტორსის" პარტნიორი იყო, რომელთანაც ხუთი წლის განმავლობაში ჰქონდა საერთო ბიზნესი. მას შემდეგ კი, რაც "გენერლებმა" "ფუძისთან" ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადეს, მათი ადგილი "ტოიოტამ" დაიკავა. "ჯენერალ მოტორსმა" გაყიდა "ფუძის" აქციების 20 პროცენტი, რომელიც მას ეკუთვნოდა. სამაგიეროდ, "ტოიოტამ" აქციების 8,7 პროცენტში "ფუძის" უკვე გადაუხადა 315 მილიონი დოლარი.

ერთადერთი გარემოება, რამაც "ტოიოტას" შეიძლება ხელი შეუშალოს მსოფლიოს უდიდესი კომპანიის წოდების დაუფლებაში, არის ის, რომ "გენერლებს" მყარი პოზიცია უკავიათ აზიის, კერძოდ კი ჩინეთის სწრაფად მზარდ ბაზარზე. სხვათა შორის, იმ 3 მილიარდ დოლარიან ზარალში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არაა გათვალისწინებული "გენერლების" საქმიანობის შედეგები ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში, სადაც კონცერნი მოგებაზე მუშაობს. ცნობისათვის, პირველ სამ კვარტალში "გენერლების" გაყიდვები ჩინეთში 27,8%-ით გაიზარდა და 472 468 ავტომობილს მიაღწია.

რაც შეეხება "ტოიოტას", შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მის მიერ რეალიზებული ავტომობილების რაოდენობა პირველ ათ თვეში დაახლოებით 8.6%-ით გაიზარდა და 6 831 849 ავტომობილს მიაღწია. ამავე პერიოდში, საკუთრივ იაპონიაში "ტოიოტას" მიერ წარმოებული ავტომობილების რაოდენობამ 3 819 169 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.6%-ით მეტია. სამაგიეროდ, საგრძნობლად იზრდება წარმოება უცხოეთში, სადაც მატებამ 17.2% შეადგინა (3 012 680 ავტომობილი).

იაპონიაში გაყიდული ავტომობილების რაოდენობა 0,4%-ით გაიზარდა და 2 008 580 ავტომობილი შეადგინა. ექსპორტი კი 4,9%-ით (1 802 139 ავტომობილი) გაიზარდა. თავის ანგარიშში "ტოიოტა" ითვალისწინებს თავის და მის მფლობელობაში მყოფი კომპანიების, "დაიჰაცუსა" და "ჰინოს" წარმოების მონაცემებსაც.

ამ წარმატებათა ფონზე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ "ტოიოტა" მსოფლიოს ლიდერია ჰიბრიდული ავტომობილების წარმოების საქმეში. კომპანიამ წელს უკვე შეძლო ნახევარ მილიონზე მეტი (513 000) ავტომობილის რეალიზება და არ მალავს, რომ 2010 წლისთვის მთლიანადნ ჰიბრიდული ავტომობილების წარმოებაზე გადაერთვება.

იაპონურმა კონცერნმა ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო მსოფლიოში პირველი სერიული ჰიბრიდული მოდელის (პრიუსი) წარმოება, სამი წლის შემდეგ კი ეს ავტომობილები აშშ-ისა და ევროპის ბაზარზეც კი შეიტანა. 2001 წელს კონცერნმა იაპონიაში კიდევ სამი ჰიბრიდული მოდელის გამოშვება დაიწყო, ერთი წლის შემდეგ კი თავის პირველ ჰიბრიდულ აგრეგატს მოდერნიზაცია ჩაუტარა. შარშან "პრიუსი" ევროპის წლის საუკეთესო ავტომობილად დაასახელეს.

ჰიბრიდების საქმეშიც "ტოიოტა" პირველია. კონცერნის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ავტომრეწველობის მომავალი ჰიბრიდულ ავტომობილებს ეკუთვნის. იაპონელთა მტკიცებას ბევრი კონკურენტი კარგა ხანს ფანდად აღიქვამდა. ამიტომ, ევროპელები და ამერიკელები დიდხანს არც ფიქრობდნენ ჰიბრიდული ავტომობილების წარმოებაზე.

მაგრამ მას შემდეგ, რაც "პრიუსმა" საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ესენიც გამოცოცხლდნენ და გამალებით შეუდგნენ ალიანსების შექმნას იმისათვის, რომ მოკლე ვადებში შეძლონ ჩამორჩენის ლიკვიდირება და ფეხი აუბან იაპონელთა წარმატებულ წამოწყებას.

ამ წამოწყებას რომ მომავალი აქვს, ამაში დაეჭვებაც არ შეიძლება. ჯერ ერთი, თანდათან ილევა ნავთობის მსოფლიო მარაგი, რაც კაცობრიობას მალე დააყენებს ენერგიის ალტერნატიული წყაროს გამოყენების აუცილებლობის წინაშე. მეორეც, სულ უფრო ძლიერ ბინძურდება გარემო, რამაც განვითარებული ქვეყნები აიძულა, გაემკაცრებინათ მოთხოვნები გამონაბოლქვ აირებში ნახშირჟანგისა და ნახშირორჟანგის შემცველობის შემცირებაზე. ორივე გარემოება ავტომწარმოებლებს ჰიბრიდული ავტომობილების წარმოებისკენ უბიძგებს. ამ საქმეში კი ლიდერის პოზიცია ჯერჯერობით მყარად უკავია "ტოიოტას", რომელიც მერმის შეიძლება მსოფლიოს უდიდესი ავტომწარმოებელიც გახდეს!

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

# ისევ ბალანჩინი

### სამი ამბავი მისტერ ბის ცხოვრებიდან

*26 ნოემბერს და მის მომდევნო დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასმა ახალი სპექტაკლი წარმოგვიდგინა. ბალანჩინის სამ დადგმას კიდევ ამდენივე დაუმატეს, ახალი კოსტიუმები ჩაიცვეს და ისევ ის ფარდა ჩამოაფარეს, რომელზეც ჯორჯ ბალანჩინი ერთ-ერთ პას გვიჩვენებს.*

სოფო კილასონია

ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ეს უკანასკნელი სპექტაკლი, ცალკე აღებული, მეტად დასამახსოვრებელი წარმოდგენა გახლავთ, მაგრამ ძალიან დახვეწილი და ნატიფი ნამდვილად არის. სპექტაკლს ესწრებოდა რამდენიმე ისეთი ადამიანი, რომელიც, საპრემიერო დადგმების ბუნებიდან გამომდინარე, რეპერტუარში ამ წარმოდგენის არსებობის აუცილებლობას და მის საპირისპირო აზრს განიხილავდა, მაგრამ ჩემთვის დღეს ის უფრო საინტერესოა, რა გამოცდილებას იღებს ჩვენი დასი ამა თუ იმ თემაზე და ამა თუ იმ ქორეოგრაფთან მუშაობით და რა სჭირდება მას პირველ რიგში. ამ ეტაპზე ბალანჩინის სხვადასხვა ეტაპის და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დონისა და "ხარისხის" დადგმები დასს ალბათ სჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ მყარი კლასიკისა და ხანდახან ნეოკლასიკის გრამატიკა ისწავლოს, მაგრამ მაყურებლის, თუნდაც უმრავლესობის აზრიც ოდესმე მაინც უნდა გაითვალისწინოს. თუნდაც ის, რომ მყარი პლასტიკური ფორმები, თუნდაც იდეალური, თანამედროვე ადამიანს ვეღარ კვებავს და უკვე სულ სხვა რამ გვჭირდება, თუნდაც, აკადემიური თეატრის სცენაზე. ასეა, მაგრამ ვივარაუდოთ, რომ დრამატული თეატრები თუ ვერ ახერხებენ, არაერთხელ ნახსენები და ჩვენგან ნაქები ქართული ბალეტი სულ მალე არა მხოლოდ შესრულების დონით, არამედ რაღაც ახალი მიგნებებითაც გაგვახალისებს. მანამდე კი იმ სამ საბალეტო დადგმას მივხედოთ, რომელიც რამდენიმე დღის წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ვიხილეთ. სამივე მათგანი განსაკუთრებით საინტერესო ისტორიებს ინახავს.

პირველი დონიცეტის მუსიკაზე დადგმული ვარიაციები გახლდათ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ყველაზე ნაკლებად "ნაირფეროვანი" ბალეტი, რომელიც ბალანჩინის სახელს უკავშირდება. წამყვან პარტიებს დავით ხოზაშვილი და ცისია ჩოლოყაშვილი ასრულებდნენ.

ოპერა "დონ სებასტიანი" დონიცეტის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია, რომელიც დღეს ძალზე იშვიათად იდგმება. არც ჯორჯ ბალანჩინი დაინტერესებულა ამ მუსიკით 1960 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან შექმნა 60-ზე მეტი საბალეტო ნომერი საოპერო დადგმებისთვის და თავად იყო ათეულობით საოპერო დადგმების ავტორი. ეს ბალეტი პირველად 1960 წლის ნოემბერში "ნიუ იორკ სითი ბალეს" მიერ იტალიური მუსიკის ფესტივალზე იყო წარმოდგენილი. ქორეოგრაფმა მას "დონიცეტი-ვარიაციები" უწოდა. ბალეტი აბსტრაქტული ხასიათისაა, სადაც ოპერის ლიბრეტოს ცოდნა საჭირო არ არის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დონიცეტის ოპერის მთავარი გმირი - დონ სებასტიანი - დონ კარლოსის (ჯუზეპე ვერდის ამავე სახელწოდების ოპერის მთავარი გმირი) ბიძაშვილი, საკმაოდ ცნობილი და ტრაგიკული ბედის მქონე ისტორიული პიროვნება იყო. დონიცეტის თანამედროვე კრიტიკოსები სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ მსუბუქი და თავისუფალი მუსიკა არ შეესაბამებოდა ოპერის მძიმე სიუჟეტს. სამაგიეროდ, ჯორჯ ბალანჩინის მიერ დადგმული ბალეტი კარგად მოერგო გაეტანო დონიცეტის პარტიტურას.



ჯორჯ ბალანჩინის ეს ბალეტი ტექნიკურად დახვეწილი საბალეტო ნომრებისგან არის აგებული. "ბალეტის ქორეოგრაფიული ლექსიკა შეიცავს მსუბუქი სატირის ელემენტებს, რომელიც მაყურებელს მე-19 საუკუნეში გავრცელებულ ჟანრს - საოპერო დადგმებში ჩართულ საბალეტო ნომრებს - ახსენებს."

მეორე ბალეტი "მოცარტიანა" ბევრად მომხიბვლელი და თვალწარმტაცია. ამგვარი შთაბეჭდილება შეიქმნა თუნდაც იმიტომ, რომ მოცეკვავე ქალბატონები, მით უფრო სოლისტი ნინო გოგუა ისევ ისეთი უნაკლო გახლდათ, როგორც ყოველთვის...

ჯორჯ ბალანჩინის მიერ 1933 წელს თავისი პატარა დასისთვის "ბალე 33" პარიზში დადგმული ბალეტის "მოცარტიანას" მუსიკალური საფუძველი გახდა ჩაიკოვსკის მიერ გაორკესტრებული მოცარტის საფორტეპიანო პიესები. ეს იყო მისი პირველი შეხვედრა ჩაიკოვსკის მუსიკასთან. იმავე წელს ბალანჩინი ნიუ იორკში გადავიდა, სადაც მოკლე დროში დადგა ამ ბალეტის შეცვლილი ვერსია.

1981 წელს ჯორჯ ბალანჩინმა ამ ბალეტის ახალი რედაქცია წარმოადგინა. მისი მეორე "მოცარტიანა" შექმნილი იყო ისეთი მაყურებლისთვის, რომელიც აფასებდა და კარგად იცნობდა XX საუკუნის კლასიკურ ბალეტს. ეს კამერული ხასიათის ნაწარმოები ბალანჩინის შემოქმედებაში ერთ-ერთი უკანასკნელი აღმოჩნდა, ისევე როგორც მოცარტისთვის "რეკვიემი" და ჩაიკოვსკისთვის "მეშვიდე სიმფონია". "სამგლოვიაროდ არიან გამოწყობილი ბალეტის პერსონაჟები. ელეგანტური შავი კოსტიუმი აცვია სამეფო კარის მოცეკვავესაც. ამ სამგლოვიარო სამოსის ქვეშ ბალერინას (ეს როლი სპეციალურად სუზან ფარელისთვის იყო შექმნილი) მოუჩანს თეთრი მაქმანი, რომელიც მარადიულობისა და სრულყოფილების სიმბოლოა."

"მოცარტიანაში", როგორც ქორეოგრაფის შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ, ბალანჩინი ეთხოვებოდა ყველას და ყველაფერს, რის და ვის გარეშეც ცხოვრება არ შეეძლო.

ჯორჯ ბალანჩინი საოპერო მუსიკაზე ბალეტის შექმნას რთულ და დაუფასებელ საქმედ მიიჩნევდა. ერთადერთი ოპერა, რომლის მუსიკაც მან საკუთარი იდეების განსახორციელებლად გამოიყენა, გლუკის "ორფეოსი და ევრიდიკე" იყო. და შეიქმნა მისი ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი, ყველაზე სანტიმენტალური და რომანტიკული "ჩაკონა". ყველა ეს თვისება ჩვენი დასის ახალი წამყვანი მოცეკვავის ანა მურადელის ლირიზმში საკმაოდ წარმატებით გაერთიანდა.

1936 წელს, მეტროპოლიტენ ოპერაში მთავარ ქორეოგრაფად მუშაობისას, ჯორჯ ბალანჩინმა თეატრის ადმინისტრაცია დაიყოლია, რომ მომღერლები საორკესტრო ორმოში განეთავსებინა, მთელი ოპერა კი, პირველი ნოტიდან ფინალამდე, დიდ საცეკვაო წარმოდგენად ექცია. 1963 წელს ქორეოგრაფი ამ გენიალურ ნაწარმოებს ხელახლა დაუბრუნდა და ჰამბურგის ოპერის სცენაზე უფრო ტრადიციული დადგმა განახორციელა, რომელიც გლუკის მიერ პარიზის ოპერისთვის დაწერილი საცეკვაო ფინალით მთავრდებოდა.

ახალ წარმოდგენას ზაზა კალმახელიძე დირიჟორობს. ბალანჩინის ამ დადგმების ხილვა მაყურებელს 2 და 3 დეკემბერსაც შეეძლება.

# ეკა და აგენტები

**ეკა კვესიტაძე**: სულ ცოტა ხნის წინ ნავიგაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს 100 ათას დოლარს ძალავდნენ. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ისინი "საქაერო ნავიგაციის" აფეთქებით იმუქრებოდნენ. ნავიგაცია ქვეყნის სტრატეგიულ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც არა მარტო საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიცაა. დღეს ჩვენი სტუმარია "საქაერო ნავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი. თქვენი შეფასებით, ეს იყო დივერსია, რომელშიც შიდა და გარე ჯგუფები იყვნენ ჩაბმული. თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ეს რომელიმე ქვეყნის ინტერესებთან არის დაკავშირებული, ანუ, კონკრეტულად, რუსეთის ინტერესებთან?

**გიორგი კარბელაშვიული**: დღეს ეს სფერო მხოლოდ ფრენებთან, ავიაციასთან არ არის დაკავშირებული. მას უფრო მეტად სადაზვერვო სამსახურის მნიშვნელობა აქვს. დღეს რუსეთი მთლიანად აკონტროლებს საქართველოს ცას. წარმოიდგინეთ, რომ ნებისმიერ თვითმფრინავს აკონტროლებდა რუსეთი. როცა მინისტრის მოადგილე ვიყავი ტრანსპორტის კომუნიკაციებში, მაშინაც ვერ ვაკონტროლებდი და ბოლომდე არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა საქართველოს ნავიგაციაში. მე არ წარმომედგინა, თუ ასეთი სიტუაცია დამხვდებოდა. ადამიანების 10 პროცენტი იქ რუსეთის დავალებით მუშაობდა. ინფორმაცია გაედინებოდა რუსეთის სადაზვერვო სამსახურებში, საქართველოს ცა იყო სრულიად დაუცველი. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა გავხდეთ დამოუკიდებელნი. იმ ტექნოლოგიებით, რომლებიც მონტაჟდება, მოვახერხებთ სხვა ქვეყნების კონტროლს. აქედან გამომდინარე, რა ინტერესები აქვს რუსეთს? პირველი არის ფინანსური. სატრანზიტო ფრენები მნიშვნელოვანი შემოსავლებია. რუსეთი კარგავს მათ, რადგან ისინი გადმოვიდა საქართველოში. შარშანწინ გვქონდა 40 ფრენა, დღეს გვაქვს 250. მილიონებზეა საუბარი. ამას გარდა, რუსეთი კარგავს კონტროლის მექანიზმს. ჩვენი საჰაერო გზის ნდობის ფაქტორი ძალიან ამაღლდა. დღეს დაინახეს, რომ ეს ყველაფერი მათთვის დაიკარგა.

**ეკა კვესიტაძე**: რა მექანიზმები არსებობს, რომ მათ მართვის საშუალება დაიბრუნონ?

**გიორგი კარბელაშვილი**: მექანიზმები არის ის, რომ ჰყავდეთ თავიანთი აგენტები, რომლებიც რეალურად არსებობენ კიდეც. ნავიგაცია იყო სტრუქტურა, რომელშიც დაახლოებით ორი წლის წინ ქართული მეტყველება არ არსებობდა. ქართულად არც ერთი თანამშრომელი არ მეტყველებდა. ქართველი არც ერთი თანამშრომელი არ მუშაობდა. როცა საქართველოს დროშა შევიტანეთ, ყოველ დილით დახეული გვხვდებოდა. დივერსანტი თანამშრომლებისგან ორგანიზაცია ამჟამად გაწმენდილია. ამას გარდა, კადრები გაზრდილი იყო ნათესაური კავშირების საფუძველზე. საინტერესოა, რომ თანამდებობის პირები, ყველანი, ვინც ჩვენ გავათავისუფლეთ, დღეს რუსეთში ცხოვრობენ, თანაც ერთ-ერთ დახურულ ინსტიტუტში მუშაობენ. ჩვენი ნავიგაციის თანამშრომლებს ყველას ბინა აქვს მოსკოვში ან პეტერბურგში, რუსეთის მოქალაქეები არიან და მათი უმეტესობა არ თვლის თავს საქართველოს წარმომადგენლად.

**ეკა კვესიტაძე**: გამოჩნდა თუ არა რაიმე კონკრეტული ინფორმაცია იმ ჯგუფთან დაკავშირებით, რომელიც თქვენი ლიკვიდაციითა და "საქაერო ნავიგაციის" შენობის აფეთქებით იმუქრებოდა, არის თუ არა კონკრეტული ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ადამიანებს რუსეთთან ჰქონდათ კავშირი?

**გიორგი კარბელაშვილი**: გამოძიების პროცესის შესახებ საუბარი ნაადრევი და არასასურველია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ისევ შიგნიდან, ისევ ზურგში დანის ჩარტყმით მოხდა ყველაფერი. ამ ეტაპზე დაკავებულია ერთი თანამშრომელი. ეჭვი რამდენიმეზეა. რაც მთავარია, ეს შეთქმულება ისევ ჩვენმა თანამშრომელმა გამოააშკარავა. სხვაგვარად ინფორმაციას ვერ მივიღებდით. ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში იქ მუშაობდა, ადამიანი, რომელიც ქართველია, ადამიანი, რომელმაც თავი გადადო 100 ათასი დოლარის გამო. სხვათა შორის, ჩვენამდე არსებული ხელმძღვანელობა იხდიდა გარკვეულ თანხას. ზუსტად არ ვიცი, ვის უხდიდა, მაგრამ ჩვენი მისვლის შემდეგ ეს შეჩერდა. ეს იყო ახალი ტალღა. ჩვენთან ძალიან მაღალი ხელფასებია. ამიტომ ქუჩიდან მოდიოდნენ და თანამშრომლებს ხელფასის 20 პროცენტს სთხოვდნენ. ნავიგაციის თანამშრომლებს ქუჩაში ურჩევდნენ საქმეს. ხალხი დაბეჩავებული იყო. დღეს ყველაფერი იცვლება. მითხრეს: გიორგი, უნდა გვიშველო! – და პრობლემები გამოაშკარავდა. კარბელაშვილი არასასურველი პიროვნება გახდა ვიღაცებისთვის. მაშინ ჩემი ლიკვიდაციის შესაძლებლობა დაუშვეს და ასე დაიწყო ყველაფერი.

**ეკა კვესიტაძე**: არსებობს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელშიც "საქაერო ნავიგაციაც" გაეხვა. კომპანია "სიერა ოილ ინტერპრაისის" მიმართ არსებული ვალის გამო "საქაერო ნავიგაციის" ანგარიშები შვეიცარიაშიც დაყადაღდა. საინტერესოა, რატომ მოხდა ეს?

**გიორგი კარბელაშვილი**: არ ვიცი რა მოხდა. ამ კითხვას ალბათ მალე ენერგეტიკის სამინისტრო უპასუხებს. საკვირველია, რომ საუბარი იყო მილიონნახევარზე და უცებ ექვსი მილიონი გახდა ვალი. წარმოიდგინეთ, რამხელა პროცენტებზეა საუბარი. ამ ვალს როგორმე მოევლება, მაგრამ ხვალ და ზეგ უამრავი ასეთი ვალი შეიძლება ამოტივტივდეს. საერთოდ, საშიშროების წინაშეა ნებისმიერი ქართული კულტურული მემკვიდრეობა. ეს არის ხელოვნურად შეთხზული პრობლემა, რომელიც რუსეთში ჩასაფრებულმა ადამიანებმა ააგორეს, რათა საქართველოს ქონება, თანხა, რომელიც საქართველოს ნავიგაციას აქვს, თავად ჩვენს ქვეყანაში არ დაიხარჯოს და ამ პრობლემების მოგვარებას მოხმარდეს.

# ვიოლინო და ოდნავ ნერვულად

### არამაიაკოვსკისებურად, არამედ პოლეჟაევის მიხედვით

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

"ქალი ხარ და ამიტომაც ხარ მართალი," - წერდა ვალერი ბრიუსოვი. "მამაკაცი ხარ და ამიტომაც ხარ დამნაშავე," - განუცხადეს მევიოლინე ანტონ პოლეჟაევს ნიუ იორკის ფილარმონიულ ორკესტრში.

პოლეჟაევი ლენინგრადში დაიბადა. როცა ამ ქალაქს სანკტ-პეტერბურგი ეწოდა, მშობლები (ორივე მუსიკოსი) აშშ-ში, ემიგრაციაში წავიდნენ და თან ვირტუოზი შვილიც გაიყოლიეს. ოჯახი სი-კლიფში დასახლდა. ანტონის საქმე მაშინვე აეწყო. მასზე "ნიუ იორკ ტაიმსიც" კი წერდა. 2004 წელს ანტონი ამ გაზეთის კორესპონდენტთან ამბობს: "მსურს წინ წავიდე, გავხვდე პირველი ვიოლინო ანდა კონცერტმაისტერი".

თითქოს ყველაფერი შეიძლება ასრულდეს. მით უფრო, რომ იმ დროისთვის ანტონი რამდენიმე მუსიკალური კონკურსის გამარჯვებულია, თუმცა, გამარჯვებები საშუალო რანგისაა.

26 წლის ანტონს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სიმფონიურ ორკესტრში საგამოცდო ვადით იწვევენ. გადის რამდენიმე თვე, ანტონი კი კვლავ უშტატოდ რჩება. სამაგიეროდ, სამუშაოდ შვიდ ახალ მევიოლინეს იღებენ და შვიდივე ქალია! ერთ მშვენიერ დღეს კი ანტონს ურეკავენ და ამცნობენ, რომ შეუძლია საკუთარი ინსტრუმენტი შინ წაიღოს და მეგობრებს დაემშვიდობოს, რადგან შეთავაზებული საგამოცდო ვადა წარმატებით ვერ გაიარა.

ანტონი შოკშია და ეს ბუნებრივიცაა. მის მუსიკასთან დაკავშირებული კრიტიკა ხომ მხოლოდ დადებითი იყო. გაბრაზებული მუსიკოსი კლასიკურ ჰარმონიაში დამკვიდრებულ იშვიათ მეთოდს მიმართავს და ფილარმონისტებს სასამართლოში უჩივის. ის მათ სექსიზმში ადანაშაულებს. ანტონის მტკიცებით, სამსახური მხოლოდ იმის გამო დაკარგა, რომ ორკესტრმა ქალ მევიოლინეებს მიანიჭა უპირატესობა. მისი მოთხოვნით, პასუხი რამდენიმე ადამიანს უნდა მოეთხოვოს: ორკესტრის კადრების უფროსს კარლ შიბლერს, კონცერტმაისტერს გლეი დიხტეროვს და მსოფლიოში ცნობილ დირიჟორს, ნიუ იორკის ფილარმონიული ორკესტრის ხელმძღვანელს ლორინ მააზელს. ანტონი ორკესტრში მუდმივ ნიშასა და მორალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს (თანხა არ ხმაურდება).

21 ივნისს საქმე გასარჩევად გადაეცა ნიუ იორკის უმაღლეს სასამართლოს. ამ პერიოდში ორკესტრი გასტროლებზე იმყოფებოდა კოლარადოს შტატში – ვეიელში ყოველწლიურ ტრადიციულ კონცერტს მართავდა.

ანტონის დემარშის შესახებ ორკესტრანტებს საკუთარი აზრი არ გამოუთქვამთ, თუმცა, ადგილობრივი მუსიკალური ორგანიზაციის წარმომადგენლებს ამ გადაწყვეტილებას ღიმილით შეხვდნენ. ერთ-ერთი მათგანი, საიმონი (ის ქალი ბრძანდება) აცხადებს: "მან სამუშაო ადგილი მხოლოდ იმიტომ ვერ მოიპოვა, რომ დაკისრებული მოვალეობები ვერ შეასრულა. დანარჩენი ვარაუდები სისულელეა". მისივე თქმით, მუსიკოსი ქალები არასოდეს სარგებლობდნენ განსაკუთრებული პრივილეგიებით. ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლების განცხადებით, ნიუ იორკის ფილარმონიული ორკესტრისთვის მსგავსი ბრალდება ჯერ არავის წაუყენებია.



პოლეჟაევის დემარშს უარყოფითი რეაქციით შეხვდნენ ამერიკის სხვა მუსიკალური კოლექტივებიც. მაგალითად, ვაშინგტონის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის დირექტორმა რიტა შაპირომ (ისევ ქალმა!) თქვა: "ეს თავმოყვარეობაშელახული ადამიანის გადაწყვეტილებაა. ნებისმიერი ჩვენგანი თავისი შესაძლებლობების მიხედვით პოულობს სამსახურს. სქესი აქ არაფერ შუაშია. სქესის მიხედვით მუსიკოსებს არავინ არჩევს." შეიძლება ასეც უნდა იყოს, მაგრამ ფაქტები საპირისპიროს მეტყველებენ. ამერიკის სიმფონიურ ორკესტრებში მევიოლინე ქალების რაოდენობა გამოკვეთილად დომინირებს. ნიუ იორკის ფილარმონიულ ორკესტრში კი 33 მევიოლინიდან 20 ქალია.

ანტონ პოლეჟაევი ორკესტრში, რომელსაც ახლა უჩივის, 2002 წლის სექტემბერში მეორე ვიოლინოს სტატუსით მიიღეს. კონცერტმაისტერ დიხტეროვს ანტონთან საუბრისას არაერთხელ უთქვამს, რომ "მის დაკვრასთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს". უკმაყოფილო არც შიბლერი ყოფილა. 2003 წლის თებერვალში კი ანტონი სამსახურიდან ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს. პოლეჟაევის ადვოკატი ლენორს ლიდსი ამბობს: "არავინ უარყოფს მუსიკოსის ნიჭიერებას და უდავო ტალანტს. მაშინ არ გვესმის, სამსახურიდან რატომ დაითხოვენ. ასეთი ნაბიჯი მხოლოდ სქესობრივი დისკრიმინაციით იხსნება."

მოკლედ "შელშე ლა ფამ" - ეძებეთ (ან იყავით) ქალი - თუ გინდათ, რომ სამსახური გქონდეთ.

პოლეჟაევი ძალიან რისკავს. სასამართლომდე მისული საქმე შესაძლოა, მის კარიერაზე უარყოფითად აისახოს. ცნობილ მუსიკალურ კოლექტივთან კონფლიქტი მისთვის წამგებიანია. თუ ანტონი ე.წ. "შავ სიაშიც" მოხვდა, მუსიკოსისთვის ყველა ამერიკული ორკესტრის კარი დაიხურება. მას ეს კარგად ესმის. "ისინი ჩემს კარიერას ერჩიან და სხვა კოლექტივების წინაშე მაკომპრომეტირებენ, - ამბობს პოლეჟაევი, - შესაძლოა, მალე დაღდასმულივით ვიყო, იქნებ სამუდამოდაც, მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ჩემთვის მთავარია ხმის ამაღლება დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ამ მიმართულებით რაღაცის შეცვლა".

ძნელი სათქმელია, ანტონ პოლეჟაევი პოლიტკორექტულობის მსხვერპლია თუ ქალებმა "აჯობეს". თუმცა, ზედმეტი უსიამოვნებისგან თავის დასაზღვევად, ვურჩევდი, მშობლიური სანკტ-პეტერბურგის სიმფონიური ორკესტრისთვის მიემართა, თუ, რა თქმა უნდა, იქაც მატრიარქატი არ სუფევს.




მარიონეტების თეატრი
3,4,10,11,17 და 18 დეკემბერი
"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დამდგმელი რეჟისორი
რეზო გაბრიაძე
სპექტაკლის დასაწყისი
19 საათზე
იოანე შავთელის ქ.№26

CSL
სიახლე!
კავკასიისუნივერსიტეტში
(ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლა - CSB)
2006 წლის იანვრიდან პირველად ფუნქციონირებას იწყებს ახალი სამაგისტრო პროგრამა - "საჯარო და ინფორმაციული სამართალი LL.M". საგანმანათლებლო სერვისი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო, ჟურნალისტიკის, ინფორმატიკისა და საბანკო საქმის ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტებისათვის. საბუთების მიღება იწყება 17 ნოემბრიდან.
ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:
ქ. თბილისი, 0175
კოსტავას ქ. 77 სტუ.VI კორპ. IV სართული.
ტელ: 941 691 364 680. მობ: 899 530 751
ფაქსი: 313 226
ელ.ფოსტა:info@csl.ge
ვებ-გვერდი:www.csl.ge
საკონტაქტო პირი:გიორგი ფირცხალაშვილი

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. საშობაო-საახალწლოდ 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევთ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207